პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეცხრე წელიწადი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შელავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— კანონი „რესპუბლიკის დაცვის შესახებ“ გერმანიაში ორი წლით გააგრძელეს კიდევ.
— საბჭოთა ხელოვნების გამოფენის გახსნა ტოკიოში.
— დუმერგი და ბრიანი ლონდონში.
— მრავალრიცხოვანი მიტინგები საფრანგეთში ომის საფრთხის წინააღმდეგ.
— პროფინტერნის მიწვევა სამხრეთ - სლავიის დამოუკიდებელი პროფკავშირების კონგრესზე.
— უკრაინელების დევნა პოლონეთში გრძელდება.
— მისისიპის ადიდება საშიშ ხასიათს იღებს.
— ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია მოსკოვში.

ხუთშაბათი, 19 მაისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 111 (1856)

ჩ ვ ე ნ ი ნ ო ტ ა

არკოსზე და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაზე თავდასხმა ლონდონში და ამის შემდეგ მომხდარი ამბები უდავოდ მოწმობენ, ოთხ რამეს:

სასკანდალოა და უმსგავსოა, უპირველესად ყოვლისა ინგლისთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი სახელმწიფოს სავაჭრო წარმომადგენლობაზე თვით თავდასხმის ფაქტი. „განათლებული“ ყაჩაღების საქმენი მურგეტ - სტრიტზე არის უხეში დარღვევა — იმ ვალდებულებათა, რომელნიც იკისრა ინგლისის მთავრობამ საბჭოთა კავშირის მიმართ, და რომელნიც თვით, ჩვენი ვაჭრობისათვის აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენენ. მეორე, სასკანდალო და აღმაშფოთებელია, თავდასხმის პროცედურა. თავდასხმა მოხდენილ იქნა ბანდიტური ხელოვნების ყველა წესების მიხედვით. ხიკსის დამქაშების უეცარი თავდასხმა არკოსზე, „მუშაობა“ მბურღავი მანქანებით, სეიფების დამტვრევა, დოკუმენტებისა და შიფრების მოპარვა, ჩვენი თანამშრომლების დაპატიმრება და შეურაცხყოფა, „ჩხრეკა“ მოწმეთა დაუსწრებლად, — ასეთია ყაჩაღური თარეშის საზიზღარი სურათი, „დიდ ცივილიზაციურ ქვეყანაში“, მსოფლიო სავაჭრო ცენტრში — ლონდონის სიტში. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დეილი ტელეგრაფი“ სკოტლანდ - იარდის ვაჟბატონების მოქმედებას თვითონვე უწოდებს „თავდასხმას“. ბრიტანეთის ოფიციოზი, ამგვარად, ამ „ბორ მანქანებიან“ ჯენტლმენებს და აგრეთვე მათ სულის ჩამდგმელთ, თვითონვე აძლევს თავდამსხმელების, ე. ი. არსებითად, ბანდიტების ატესტაციას.

მესამე, სასკანდალოა, თავდასხმის „შედეგები“, რომელნიც დღემდე გვაქვს. მთამ (გაიძვერობის და ცინიზმის მთამ) თაგვიც კი ვერ შობა, არამედ ცარიელი ადგილი. სერ ჯოინსონ ხიკსმა თავაზიანად განმარტა, რომ მითიური „დოკუმენტი“ ვერ იქნა აღმოჩენილი ჩვენი სავაჭრო დელეგაციის შენობებში. პატივცემული სერი, სხვანაირად რომ ვსთქვათ, სახტად დარჩა. საბაბი, რომლის გამოც შუბლმაგარ კოგორტამ მოინდომა მთელი მსოფლიოს ახმაურება, ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება და რასაკვირველია, არც შეეძლო გამართლებია. ჯოინსონ ხიკსის თვით მხილება საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით ნიშნავს, რომ თავდასხმის აქტით და მისი შედეგებით ინგლისის მთავრობამ მორალური სილა გააწნა თავის თავს.

მეოთხე, ყველაზე უფრო ცუდი და სახიფათოა, ის პოლიტიკური აზრი, რომელიც აქვს თავდასხმას ეხლანდელ საერთაშორისო პირობებში, რომელიც გაჟღენთილია საფრთხით მშვიდობიანობისათვის.

იმ დროს, როცა ჩვენ გვაქვს აღებული შეურყეველი კურსი ინგლისთან საქმიანი და სამეურნეო ურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოებისაკენ, იმ დროს, როცა ჩვენ მათ სამრეწველო წრეებთან ვსდებთ სავაჭრო შეთანხმებებს ათი მილიონი მანეთების რაოდენობით, და ინგლისის ფირმებში ვანაწილებთ ჩვენს შეკვეთებს, ხიკსების და ჩემბერლენების იანიჩარები შლიან ჩვენს მუშაობას თავიანთი მოქმედებით და იწვევენ სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტას. კიდევ მეტი, თავდასხმებით და ჩხვლეტის პოლიტიკით კონსერვატიული ხროვა საშინელ თამაშს და ჟონგლიორობას ეწევა ომის ანთებული ჩირაღდანებით.

ჩვენი პასუხი თავდასხმაზე, — საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტა დიდ ბრიტანეთის მთავრობისადმი, კიდევ ერთხელ მოწმობს ჩვენს თავდაჭერილობას და მშვიდობიანობის დაცვის სურვილს. ჩვენი ნოტა ისტორიაში შევა, როგორც მშვიდობიანობის ნოტა, რომელიც ჩვენ დავსწერეთ მსოფლიოსათვის სახიფათო საათში. ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობისაგან განსხვავებით ჩვენ ნოტებს ვსწერთ არა უცნაური საბაბის გამო, როგორც მაგ., კარიკატურები პრესაში, არა იმისათვის, რომ საერთაშორისო მდგომარეობა გავამწვავოთ, არამედ იმისათვის, რომ ღირსეულ პასუხს ვაძლევთ კონსერვატორების მიერ საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევაზე, იმიტომ, რომ პროტესტს ვაცხადებთ აქტის აშკარა რეალური სიყალბის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ გვსურს და წინადადებას ვაძლევთ ინგლისის მთავრობას, რომ მდგომარეობა გამოარკვიოს. ჩვენ ნოტას ვსწერთ იმისათვის, რომ ბოლო მოუღოთ ინგლისის არანორმალურ და მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი.

პროვოკაციის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს კონსერვატიული მთავრობა, რადიკალურად ეწინააღმდეგება ინგლისის მშრომელთა მასების ინტერესებს. ჩემბერლენის ნოტა და თავდასხმა არკოსზე არის „ღონისძიებანი“, რომელიც ტარდება ინგლისის პროლეტარიატის ნებისყოფის წინააღმდეგ. პირიქით, ჩვენი პოლიტიკა სავსებით ნაკარნახევია საბჭოთა კავშირის მასების და მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების ინტერესებით. ჩვენს ნოტაში გაისმის მშრომელთა ხმა, მძლავრი მასიური პროტესტი, გრანდიოზული პროლეტარული დემონსტრაციები მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში და სხვაგან, სკოტლანდ — იარდის შაიკის და მისი შუბლმაგარი ატამანების გამოსვლების წინააღმდეგ.

ჩვენ კვლავ ვააშკარავებთ ჩვენს სურვილს მშვიდობიანობისადმი და ინგლისის მთავრობისაგან მოვითხოვთ გარკვეულობას.

სურს თუ არა მას საქმიანი ურთიერთობა ჩვენთან? სხვაგვარი ურთიერთობა ჩვენი არ გვინდა. არა სიტყვით, არამედ საქმით არ შეუშლის იგი თუ არა ხელს ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის ნორმალურ მუშაობას და უზრუნველჰყოფს იგი თუ არა პირობათა აუცილებელ მინიმუმს ასეთი მუშაობისათვის? ფიქრობს თუ არა ინგლისის მთავრობა შესწყვიტოს პოგრომული გამოსვლები, ჩხვლეტის, კბენის და სავაჭრო ურთიერთობის ჩაშლის პოლიტიკა, პროვოკაციების და სისხლიანი კატასტროფების პოლიტიკა? იძლევა თუ არა ინგლისი მშვიდობიანი მუშაობის გარანტიას? ჩვენ მოვითხოვთ ამ გარანტიას, პროტესტს ვაცხადებთ ამ აღმაშფოთებელი თავდასხმის წინააღმდეგ და ვიტოვებთ უფლებას, წარვადგინოთ მოთხოვნა იმის გამო, რომ დიდბრიტანეთის მთავრობამ დაარღვია ხელშეკრულობით გათვალისწინებული ვალდებულება, რომ პოლიციამ თავისი მოქმედებით შეურაცხყოფა და ნივთიერი ზარალი მიაყენა ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობას.

ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა და საქმიანი მუშაობა. ჩვენს მტკიცე სურვილს, მისწრაფებას მშვიდობიანობისაკენ, დაინახავს მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი, მიუხედავად იმპერიალისტური გაზეთების ისტერიული განგაშისა, და მიუხედავად სოციალისტური პრესის დუმილისა, შუბლმაგართა საძაგლობის გამო. ჩვენი ნოტის პირდაპირ და ნათელ დებულებებს და საკითხებს ბრიტანეთის მთავრობამ გარკვეული პასუხი უნდა გასცეს. დეე, იგი ფრთხილად მოეპყრას საბჭოთა კავშირის მუშურ - გლეხური მასების მოთმინებას.

მოსკოვი, 18 მაისი.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

ფინ-იუ-სიანის ჯარი მედგრად და წარმატებით მიიწევს წინ. დღევანდელი დეპეშის ცნობით მისი ჯარი 80 კილომეტრით ლოიანს გასცილებია აღმოსავლეთით და ამ მიმართულებით აუღია ქ. ჩინ-ზე-გუანი, ჩი-ტენ-ჩულინი და ამჟამად უახლოვდება კუნ-სენს; მაშასადამე უკვე თითქმის მისდგომია ჩენ-ჯოუ—კაიფინს, ე. ი. იმ ადგილს, სადაც ლუნხაის რკინისგზა უერთდება ხანკოუ—პეკინის რკინისგზას და სადაც მოქმედებენ ხანკოუს ჯარების ნაწილები. დეპეშის სიტყვით, ფინ-იუ-სიანის ჯარს მოწინააღმდეგე თვალსაჩინო წინააღმდეგობას ვერ უწევს. ეს ცნობა მიღებულია **შანხაიდან** და ალბად სიმართლესთან ახლოს არის. მართლადაც ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიიწევს ფინ-იუ-სიანის ჯარი წინ, რომ ალბად თითქმის არავითარ დაბრკოლებას არ ხვდება მოწინააღმდეგის მხრით. მუკდენელების ჯარი წინააღმდეგობას ვერ უწევს და შორს არ არის ის მომენტი, როდესაც ფინ-იუ-სიანის ჯარი შეუერთდება ხანხოუს მხრიდან მომქმედ რევოლიუციონურ ჯარების ნაწილებს და მათთან ერთად დაადგება პეკინისაკენ მიმავალ პირდაპირ გზას.

მართალია დეპეშის ცნობით, ვითომ უ-პეი-ფუ მკვდრეთით ამდგარა, მიუღია ჩან-ძო-ლინისაგან ფულით დახმარება და კვლავ სათავეში დასდგომია თავის განადგურებულ ჯარის გადარჩენილ ნაწილებს, რომელთა საერთო რიცხვი დეპეშის ცნობით 50 ათას უდრის. მეტად საეჭვოა ეს ცნობა. შეიძლება ხენანში მომქმედ ჯარების უფროსად ჩან-ძო-ლინმა უ-პეი-ფუ დანიშნა, მაგრამ ამ გენერლის წარსული თავდებია, რომ ეს მუკდენელების წაგებულ საქმეს ხენანში ვერ უშველის.

აღსანიშნავია გუან-დუნის პროვინციაში რევოლიუციონურ გლეხობის მოქმედება. ამას წინად კანტონიდან მოსული დეპეშები გვაუწყებდენ, ვითომ კანტონის რეაქციონურ მთავრობის რეგულიარულმა ჯარებმა შესძლეს გლეხთა რაზმების დამარცხება და სვატოუს რაიონი გაანთავისუფლეს აჯანყებულებისაგან. მაგრამ უკანასკნელი დეპეშა კი სულ სხვა სურათს გვიხატავს. ამ ცნობით გლეხთა მოძრაობა გუან-დუნის პროვინციაში პირიქით, ფართოვდება და ღრმავდება. გლეხთა რაზმების საკმაოდ დიდი ძალა იქვე სვატოუსთან იმყოფება და ემუქრება კანტონის მთავრობას, რომლის ჯარი უძლურია ჩააქროს ეს აჯანყება.

რა ხდება ნანკინის ჩრდილოეთით, სადაც მემარჯვენე გომინდანელების სიტყვით ჩან-კაი-შიმ განაახლა ოპერაციები სუნ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ და საგრძნობლადაც დაამარცხა იგი, ცნობები არ მოსულა.

საკვირველია და გაუგებარი ერთგვარი პასივობა თვითონ ჩან-ძო-ლინის, რომლისთვისაც ფინ-იუ-სიანის ოპერაცია კაი-ფინის მიმართულებით მეტად სერიოზულ შედეგების მომასწავებელია. ამ დროს ჩან-ძო-ლინი თითქმის არავითარ ზომებს არ იღებს. არის ეს სრული უძლურების ნიშანი, თუ სხვა რაიმე იმედი აქვს ჩან-ძო-ლინს, ამას ახლო მომავალი გვეტყვის.

ი. გედევანიშვილი.

საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა ინგლისის მთავრობას

„სურს თუ არა ინგლისის მთავრობას ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის დაცვა და განვითარება, თუ განზრახვა აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს მას?“

„სავაჭრო ურთიერთობის გაგრძელება შესაძლებელია იმ პირობით, თუ ინგლისის მთავრობა სისწორით შეასრულებს სავაჭრო შეთანხმებას და საბჭოთა სამეურნეო ორგანოებს მიეცემა ნორმალური მუშაობის გარანტია“

პოლიციამ გაანთავისუფლა საბჭ. სავაჭრო წარმომადგენლობის და არკოსის შენობა

ინგლისის კომპარტია შუბლმაგართა პროვოკაციის წინააღმდეგ.--მუშათა პარტია პროტესტს ამზადებს

უცხოეთის პრესა აღნიშნავს ინგლისელ კონსერვატორების პროვოკაციის სრულ მარცხს

საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა

მოსკოვი, 18 მაისი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა დიდი ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულის მოვალეობის დროებით აღმასრულებელს მოსკოვში პიტერსს გადასცა საბჭოთა მთავრობის შემდეგი ნოტა:

სერ!

1. თავის ნოტაში ამა თვის 12 თარიღით საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულის მოვალეობის დროებით აღმასრულებელმა ინგლისში როზენგოლცმა უკვე განუცხადა დიდი ბრიტანეთის მთავრობას ფორმალური პროტესტი 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევის წინააღმედგ, რაც გამოიხატა იმაში, რომ ინგლისის პოლიცია თავს დაესხა საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის შენობას ლონდონში, გაჩხრიკა და გაიტაცა შენობიდან დელეგაციის დოკუმენტები, მათ რიცხვში მისი შიფრები და კოდები. როზენგოლცმა თავის ნოტაში პროტესტი განაცხადა აგრეთვე აღნიშნულ თავდასხმის დროს პოლიციის აგენტების შეურაცხმყოფელ მოქმედების და ძალადობის წინააღმდეგ. ვადასტურებ და გადაჭრით მხარს უჭერ რა როზენგოლცის პროტესტს, მე საჭიროდ ვსთვლი დიდი ბრიტანეთის მთავრობის ყურადღება მივაქციო შემდეგს:

2. შეუდგა რა ეკონომიური ურთიერთობის დამყარებას დიდ ბრიტანეთთან და სხვა სახელმწიფოებთან, საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა კავშირის ინტერვენციის და ბლოკადის შეწყვეტისთანავე, ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ თუ კომერციულ საიდუმლოების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა კერძო სავაჭრო ფირმების ურთიერთობაში, მაშინ საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის დროს მთავრობის ორგანოები, რომელთა ხელშია სახელმწიფოს მთელი საიმპორტო და საექსპორტო საქმიანობა და რომელნიც ამ ოპერაციებს ატარებენ წინდაწინვე შემუშავებულ სახელმწიფო გეგმების ფარგლებში, განსაკუთრებით უნდა ცდილობდენ მიაღწიონ მათ მიერ საზღვარგარედ გაგზავნილი სახელმწიფო დოკუმენტების, ინსტრუქციების, ცირკულიარების, დაკვეთების და სხვ. ხელშეუხლებლობის სრულ გარანტიას. ამიტომ დიდ ბრიტანეთთან და სხვა დასავლეთ სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკების დროს საბჭოთა მთავრობა ყოველთვის ენერგიულად ატარებდა თავის მოთხოვნას მის სავაჭრო აგენტურებისათვის საზღვარგარედ სრული იმუნიტეტის და ხელშეუხლებლობის უზრუნველყოფის შესახებ. საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდა აგრეთვე იმ მტრულ ატმოსფერას, რომელშიაც კაპიტალისტურ ქვეყნებში მოუხდება მუშაობა პირველ საბჭოთა სახელმწიფოს სავაჭრო აგენტებს, და იმ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომელიც მათ შეუძლიათ მიიპყრონ ამ ქვეყნების რეაქციონურ-პოლიტიკურ წრეების მხრივ.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციების და წარმომადგენლების ხელშეუხლებლობის პრინციპი ამჟამად ცნობილია თითქმის ყველა ქვეყნების მიერ, რომლებთანაც საბჭოთა კავშირს დადებული აქვს ხელშეკრულებები. ეს პრინციპი არავითარ წინააღმდეგობას არ იწვევდა აგრეთვე დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხრივ მაშინდელ ვაჭრობის მინისტრის ხორნის სახით, რომელიც 1921 წელს მოლაპარაკებას აწარმოებდა განსვენებულ კრასინთან. ის პრინციპი, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ინგლის-საბჭოთა კავშირის 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულების მეხუთე მუხლში, ამჟამად ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ დარღვეულია უაღრესად უხეში და შეურაცხმყოფელი ფორმით.

3. არსებულ ცნობების თანახმად, სასამართლოს ორდერს, რომლის ძალით გაჩხრეკილ იქნა „საბჭოთა სახლი“ მურგეტ-სტრიტზე, ორდერს, რომელიც წარდგენილ იქნა ჩხრეკის დაწყებიდან მხოლოდ ერთი საათის შემდეგ, მხედველობაში ჰქონდა როგორც სააქციონერო საზოგადოება არკოსი, ისე სავაჭრო დელეგაცია. თუმცა არკოსი ფორმალურად წარმოადგენს სააქციონერო საზოგადოებას, რომელიც რეგისტრაციაში გატარებულია კანონების მიხედვით, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ბრიტანეთის ხელისუფლებას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ის უმთავრესად, თუ მთლად არა, ასრულებს საბჭოთა სამეურნეო ორგანოების დავალებებს. პოლიციის თავდასხმა მსხვილ სავაჭრო საზოგადოებაზე, რომელსაც კარგათ უყურებენ ინგლისის საქმიან წრეებში, რომელიც აწარმოებს ოპერაციებს ათეულ მილიონ გირვანქა სტერლინგის რაოდენობით წელიწადში და პირნათლად ასრულებს თავის ვალდებულებებს, სრულიად უმაგალითოა ლონდონის სიტის ისტორიაში. თავდასხმის ერთად-ერთი მიზანი შეიძლებოდა ყოფილიყო ზიანის მიყენება საბჭოთა ინტერესებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია არკოსის საქმიანობასთან, არკოსისათვის სახელის გატეხის და მის ირგვლივ უნდობლობის და მტრობის ატმოსფერის შექმნის გზით. ამ თვალსაზრისით, საბჭოთა მთავრობა სთვლის, რომ მას უფლება აქვს პროტესტი განაცხადოს არკოსზე თავდასხმის წინააღმდეგ.

4. მაგრამ, თუ არკოსის მიმართ ინგლისის ხელისუფლება არღვევს რა თავაზიანობის, კომერციულ ჩვეულებების და თვით მიზანშეწონილობის ელემენტარულ მოთხოვნებს, ეყრდნობა თავის ფორმალურ უფლებას, მაშინ მცირეოდენი ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება იმაში, რომ პოლიციის ძალით შეჭრა სავაჭრო დელეგაციის შენობაში და მისი უხეში მოქმედება იქ წარმოადგენს 1921 წლის ხელშეკრულების აღმაშფოთებელ ფორმალურ დარღვევას.

თუ, ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, საბჭოთა კავშირის ოფიციალურ აგენტს მინიჭებული აქვს უფლება ისარგებლოს შიფრიანი მიმოწერით, აქედან აშკარად გამომდინარეობს, რომ ეს მიმოწერა ისე, როგორც შიფრები, არას გზით არ შეიძლება ჰქნას დათვალიერებული სხვა სახელმწიფოს აგენტების მიერ და არც სხვა რომელიმე გარეშე პირის მიერ, თუ საამისო თანხმობა არ იქნება სავაჭრო დელეგაციის მეთაურისაგან. თუ ხელშეკრულების იმავე მუხლით ოფიციალურ აგენტს დიპლომატიური ხელშეუხებლობის საფუძველზე ენიჭება უფლება, რომ განსაკუთრებული შიკრიკების საშუალებით მიიღოს დაბეჭდილი პაკეტები, მაშინ ამ პაკეტების შინაარსის ხელშეუხებლობა თავისთავად ცხადია. მიუხედავად ამისა, პოლიციის აგენტებმა, რომელნიც შეიჭრენ სავაჭრო დელეგაციის შენობაში და ოფიციალური აგენტის ხინჩუკის პირად ბიუროში, რომელიც სარგებლობს პირადი იმუნიტეტით, ნება მისცეს თავისთავს დაეთვალიერებიათ და თან წაეღოთ განურჩევლად ყველა აქ ნახული ქაღალდები, აგრეთვე შიფრიანი მიმოწერა, კოდები, შიკრიკის ფოსტით მიღებული ქაღალდები და სხვ. ამასთანავე, სავაჭრო დელეგაციის თანამშრომლებს, შიფრის გამხსნელებს—მილერს და ხუდიაკოვს, რომელნიც ასრულებდენ თავისი სამსახურის მოვალეობას და პროტესტს აცხადებდენ პოლიციის უკანონო მოთხოვნათა წინააღმდეგ, მიაყენეს უხეში შეურაცხყოფა და სცემეს კიდეც. შენობაში მყოფი საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულის მოვალეობის დროებით აღმასრულებლის ცოლი, რომელსაც ჰქონდა დიპლომატიური პასპორტი, ძალით იქნა დაჭერილი და გაჩხრეკილი.

ამხ. ლიტვინოვი
საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე

5. არა ნაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს დიდი ბრიტანეთის მთავრობის ზემოთაღნიშნულ ღონისძიებათა პოლიტიკურ მხარეს. პოლიციელების სრულიად უმიზეზო თავდასხმა სხვა სახელმწიფოს მთავრობის დაწესებულებაზე, დამოუკიდებლად ხელშეკრულობით მისთვის მინიჭებულ უფლებათა, თავის-თავად არის მეტად სერიოზული მტრული აქტი, რომელიც უეჭველად წარმოადგენს საფრთხეს დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის კვლავ შენარჩუნებისათვის, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით. რომ სავაჭრო დელეგაციას თავის მოქმედებაში არავითარი საბაბი არ მოუცია ასეთი თავდასხმისათვის, შეიძლება დამტკიცებულ იქნას თუგინდ იმითაც, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობას არც ერთხელ არ განუცხადებია არც ერთი პრეტენზია ან საჩივარი ამ მოქმედების გამო. თვით პოლიციის ხელისუფლებას, რომელმაც მოახდინა თავდასხმა, ალბათ, არ ჰქონდა იმედი, რომ სავაჭრო დელეგაციის შენობაში იპოვნიდა რაიმე დოკუმენტს, რომელიც ოდნავ მიაყენებდა ჩრდილს სავაჭრო დელეგაციის მოქმედებას, ან გამოდგებოდა საფუძვლად მის უკანონო მოქმედებაში ბრალის დადებისათვის, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შეეცდებოდენ ჩხრეკა მოეხდინათ ისეთ პირობებში, რომელნიც შექმნიდენ გარანტიას ასეთ შემთხვევაში შესაძლებელ ბოროტმოქმედებათაგან და უზრუნველჰყოფდენ ნდობას ჩხრეკის შედეგებისადმი.

პოლიციის ხელისუფლებამ სავაჭრო დელეგაციის წარმომადგენლებს წაართვა ჩხრეკაზე დასწრების უფლება და უფლება იმისა, რომ სათანადო აღწერითა და ოქმის შედგენით შემოწმებულიყო წაღებული დოკუმენტების სისწორე, და ამით მან ჩხრეკას დაუკარგა ყოველგვარი ფორმალური მნიშვნელობა. დიდი ბრიტანეთის მთავრობისათვის, რასაკვირველია, ცნობილია საბჭოთა მთავრობის ნოტა პოლიციის თავდასხმის გამო, რომელიც ამას წინედ მოხდა ჩინეთში იმავე მეთოდებითა და ანალოგიურ პირობებში. ჩხრეკის უზრუნველყოფა ელემენტარული კანონიერი გარანტიებით მაინც ამ შემთხვევაში მით უფრო იყო სავალდებულო იმ საძაგელი როლის გამო, რომელიც უკვე ითამაშა ერთმა ყალბმა დოკუმენტმა საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობაში.

6. არ შეიძლება არ მოვიგონოთ ამჟამად ნოტა 23 თებერვლის თარიღით, რომელშიაც სერ ოსტინ ჩემბერლენი, აღნიშნავდა რა ურთიერთობის გამწვავებას საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის, ამ გამწვავების მიზეზებს ეძებდა საბჭოთა პრესის და ზოგიერთი საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების მოქმედებაში. პოლიციის მიერ ეხლა მოხდენილი თავდასხმა საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის შენობაზე და მოტივები, რომელმაც მისცა საფუძველი ასეთი აქტისათვის, ნათლად გვიჩვენებს, თუ სად უნდა ვეძიოთ ბრიტანეთ-საბჭოთა ურთიერთობის გაუარესების ნამდვილი მიზეზები. ცალიერ სიტყვიერ ბრალდებებს, რომელნიც არავითარი საბუთებით არ არიან დამტკიცებული, მაგრამ რომლებსაც ხშირად იმეორებენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რომ თითქოს საბჭოთა მთავრობა არ იცავს თავის-თავზე აღებულ ვალდებულებებს და არღვევს საერთაშორისო სამართლის წესებს, — საბჭოთა მთავრობას შეუძლია დაუპირდაპიროს ის უდავო ფაქტი, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დაარღვია 1921 წლის ბრიტანეთ-საბჭოთა ხელშეკრულება და შეურაცხყოფა მიაყენა დიპლომატიური იმუნიტეტით აღჭურვილ პირებს, რომლის დროსაც სავსებით აუქცია გვერდი საერთაშორისო სამართლის და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ჩვეულებათა მოთხოვნებს.

7. დიდი ბრიტანეთის მთავრობის ეს მოქმედებანი გვიჩვენებს, რომ მას არამც თუ არ აფიქრებს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გამწვავება, რომელზედაც იგი სჩიოდა თავის ნოტაში 23 თებერვლის თარიღით, არამედ იგი თითქოს სცდილობს იმას, რომ ეს გამწვავება უკიდურესობამდე მიიყვანოს. ეს მოქმედებანი აშკარად ეწინააღმდეგება დიდი ბრიტანეთის მთავრობის ხშირ განცხადებებს იმის შესახებ, რომ იგი მიისწრაფის საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვისა და ევროპაში ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ.

ეს მოქმედებანი, რომელთაც აქვთ ადგილი სწორედ იმ დროს, როცა ხდება საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის სხდომები, მოწვეული ერთა ლიგის მიერ, რომლის ხელმძღვანელი წევრია დიდი ბრიტანეთი,—იმ კონფერენციის სხდომები, რომელსაც, როგორც გვარწმუნებენ მისი ორგანიზატორები, მიზნად აქვს დასახული ხელი შეუწყოს საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებას და მოსპოს დაბრკოლებანი ხალხთა ეკონომიური თანამშრომლობის გზაზე,—ეს მოქმედებანი მთელ მსოფლიოს უჩვენებენ, თუ სად იმყოფება ნამდვილი ძალა, რომელიც აძლიერებს ეკონომიურ ქაოსს ინგლისსა და ევროპაში.

8. საბჭოთა მთავრობა ყველაზე უფრო მაღლა აყენებდა მშვიდობიანობის ინტერესებს და სცდილობდა უზრუნველეყო მშვიდობიანი პირობები შინაური აღმშენებლობისათვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში, რის გამო იგი დიდი ხნის განმავლობაში მოთმინებით იტანდა უხეშ გალაშქრებებს და პროვოკაციულ გამოწვევებს დიდი ბრიტანეთის მთავრობის ცალკე წევრებისა და თვით მთავრობის მხრივ. საბჭოთა მთავრობას თავის მხრივ არა ერთხელ განუცხადებია, რომ იგი მზად არის მიიღოს ყოველგვარი მისგან დამოკიდებული ზომები, ნორმალური ურთიერთობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე მოლაპარაკების ფარგლებში, რომ მოგვარებულ იქნას ორთავე სახელმწიფოს შორის არსებული ყველა გაუგებრობანი და სადავო საკითხები. იგი ამ მიზნით არ სწყვეტდა სავაჭრო ურთიერთობას დიდ ბრიტანეთთან, სცდილობდა ამ ურთიერთობის გაფართოებას იმდენად, რამდენადაც ამას ხელს უწყობდენ დიდი ბრიტანეთის საქმიანი წრეები და რამდენადაც ამას ხელს არ უშლიდა დიდი ბრიტანეთის მთავრობა. საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა ყურადღება საბჭოთა ბაზრისადმი ლონდონის სიტის მხრივ და იზრდება ნდობა საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებისადმი ლონდონის ბანკების მხრივ, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ ამ დღეებში, თავდასხმამდე, ერთ-ერთ ბანკთან დადებულ იქნა შეთანხმება 10 მილ. გირვ. სტერლინგის კრედიტის შესახებ. მაგრამ, ამასთან ერთად, თავისი უხეშობით და მძულვარების გაუგონარი მტრული კამპანია, რომელიც უკანასკნელ ხანებში ძლიერდება და რომელსაც აქეზებენ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წევრნი, კამპანია, რომლის უმაღლეს პუნქტს წარმოადგენს თავდასხმა სავაჭრო დელეგაციის შენობაზე,—აიძულებს საბჭოთა მთავრობას მთელის სერიოზულობით და პირდაპირობით, რასაც მოითხოვს შექმნილი გართულებული მდგომარეობა, დაუსვას დიდი ბრიტანეთის მთავრობას საკითხი: სურს თუ არა მას ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის კვლავ დაცვა და განვითარება, თუ აქვს განზრახვა წინააღმდეგობა გაუწიოს ამას.

9. თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა კატეგორიულად აცხადებს, რომ სავაჭრო ურთიერთობის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ დიდი ბრიტანეთის მთავრობა სისწორით შეასრულებს სავაჭრო შეთანხმებას და საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანოებს მიეცემა შეუწყვეტელი, მშვიდობიანი და ნორმალური მუშაობის შესაძლებლობის გარანტია. ასევე გადაჭრით აცხადებს საბჭოთა მთავრობა, რომ იგი, ანხორციელებს რა მის მიერ დასახულ შინაური აღმშენებლობის ამოცანებს განსაზღვრული სამეურნეო გეგმით და უთანხმებს რა ამ გეგმას თავის ოპერაციებს საგარეო ვაჭრობის დარგში,—მას არ შეუძლია შეურიგდეს იმას, რომ ამ ოპერაციების გატარება დამოკიდებული გახდეს ინგლისის შემთხვევითი შინაპარტიული კომბინაციებისაგან, საარჩევნო მანევრების, ან ამა თუ იმ მინისტრის ფანტასტიურ მოსაზრებებისაგან. საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია დიდი ბრიტანეთის მთავრობისაგან მოითხოვოს ნათელი და გარკვეული პასუხი, რომლიდანაც შესაძლო იქნება სათანადო დასკვნების გამოყვანა. საბჭოთა მთავრობა ამასთანავე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დაკმაყოფილება დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ ხელშეკრულების დარღვევისა, შეურაცხყოფისა და პოლიციის მოქმედებით მიყენებული ნივთიერი ზარალის გამო.

გთხოვთ, სერ, ზემოხსენებული აცნობოთ დიდი ბრიტანეთის მთავრობას. მიიღეთ ჩემი სრული პატივისცემა.

ლიტვინოვი.

მოსკოვი, 1927 წ. 17 მაისი“.

თ ა ვ დ ა ს ხ მ ი ს შ ე მ დ ე გ

კომპარტიის მოწოდება.

ლონდონი, 17 მაისი. ინგლისის კომპარტიის ცეკამ არკოსის და სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაზე თავდასხმის გამო მოწოდებით მიმართა მუშებს. მოწოდება აფრთხილებს მუშებს, რომ ძალადობა საბჭოთა ორგანიზაციებზე ლონდონში დაუყოვნებლივ იქონიებს არაკეთილ სასურველ გავლენას ინგლის-საბჭოთა ვაჭრობაზე და რამოდენიმე ათი ათას ინგლისელს დასტოვებს უმუშევრად. „კიდევ მეტი,—ნათქვამია მოწოდებაში,—ეს აქტი არის იმ კამპანიის ნაწილი, რომლის საბოლოო მიზანია სამხედრო გალაშქრების მოწყობა კაპიტალისტური სახელმწიფოების კავშირის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“. ინგლისის კომპარტია მუშებს მოუწოდებს გადაჭრით განაცხადონ პროტესტი საბჭოთა ორგანიზაციებზე თავდასხმის წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ ტრედიუნიონების გენსაბჭომ და მუშათა პარტიის აღმასკომმა „შესწყვიტონ საზოგადოების პოლიტიკა ინგლისის და რუსეთის მუშათა მთლიანობის მიმართ“. კომპარტია მოუწოდებს ყველა აქტიურ მუშებს, გააორკეცონ კამპანია საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის სასწრაფოდ მოსამზადებლად პროფკავშირთა შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირთან ომის საფრთხისა და ბოლდუინის მთავრობის წინააღმდეგ (ადს).

პოლიცია წავიდა

ლონდონი, 17 მაისი. 16 მაისს ღამით პოლიციამ დასტოვა საბჭოთა სახლი. „არკოსმა“ და საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ 17 მაისს განაახლეს მუშაობა (ადს)

ლიტვინოვის ნოტა

ლონდონი, 18 მაისი. ლიტვინოვის ნოტა ინგლისის მთავრობისადმი გუშინ საღამოს ლონდონში მიიღეს დაგვიანებით. ამის გამო დილის გაზეთებში მას არ ეხებიან. „ტაიმსმა“ და „დეილი ტელეგრაფმა“ ნოტა დაბეჭდეს სრულად. დანარჩენი გაზეთები აქვეყნებენ ნოტიდან ამოღებულ ზოგიერთ ადგილებს. (ადს).

არ სჯერათ ჯოინსონ ხიკსის

ამსტერდამი, 17 მაისი. საბჭოთა კავშირისადმი თვით მტრულად განწყობილი წვრილი **ბურჟუაზიის წრეები** ინგლისურ ცნობებს არკოსზე თავდასხმის შესახებ უნდობლობით ეპყრობიან. ეს წრეები თავდასხმას უკავშირებენ კანონს პროფკავშირების შესახებ.

მუშათა პარტია პროტესტს ამზადებს,

ლონდონი, 17 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მუშათა პარტიამ დაავალა აღმასრულებელ კომიტეტს გადასდგას შესაფერი ნაბიჯები არკოსზე თავდასხმასთან დაკავშირებით.

მაკდონალდი სდუმს

ლონდონი, 17მაისი. რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ნიუ-იორკელი კორესპონდენტის საუბარს მაკდონალდთან არკოსზე თავდასხმის შესახებ. მაკდონალდმა განაცხადა, რომ დამატებითი ინფორმაციის მიღებამდე ვერაფერს იტყვის თავდასხმის შესახებ (ადს).

ამხ. მიქოიანი ლონდონის ამბების შესახებ

მოსკოვი. 18 მაისი. საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა ყრილობაზე 15 მაისს ამხ. მიქოიანმა სიტყვა წარმოსთქვა ლონდონში მომხდარ ამბების შესახებ.

„არკოსის და აგრეთვე საბჭოთა იმ სამეურნეო დაწესებულების გაჩხრეკა, რომელიც მუშაობს ინგლისში არსებულ კანონების მიხედვით და რომელიც ანხორციელებს ჩვენს მონოპოლიას ინგლისთან ვაჭრობაში და ყოველწლიურად აწარმოებს ოპერაციებს რამოდენიმე ასეულ მილიონ მანეთის რაოდენობით,—აშკარა პროვოკაციული ნაბიჯია. ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარება ამ უკანასკნელი წლები განმავლობაში ხასიათდება შემდეგნაირად: 1923—24 წელს ინგლისიდან შემოვიტანეთ 49177000 მანეთის საქონელი, ინგლისში შევიტანეთ 80726000 მანეთის საქონელი; 1924—25 წელს ინგლისიდან შემოვიტანეთ 110.698.000 მანეთის საქონელი, ინგლისში შევიტანეთ 185.639.000 მან. 1925—26 წელს ინგლისიდან შემოვიტანეთ 129.167.000 მანეთის საქონელი, ინგლისში შევიტანეთ 197.719.000 მან. 1926—27 წელს შემოვიტანეთ 176125000 მან., ხოლო ინგლისში შევიტანეთ 251000000 მანეთის საქონელი. ინგლისის ყველა წრეების აზრით, ჩვენ კეთილსინდისიერად ვასრულებდით ხელშეკრულებებს და არკოსს არა თუ არ დაურღვევია არავითარი კანონი, არამედ ინგლისის ყველა მოთხოვნილებებს ის კანონიერად აკმაყოფილებდა.

მაგრამ ყოველგვარ წესების დარღვევის გზით სავაჭრო დაწესებულებაში—არკოსში, რომელიც მუშაობდა ინგლისში არსებულ კანონების მიხედვით, შეიჭრა ორასი პოლიციელი, რომლებმაც გაიტაცეს შიფრი, გასტეხეს სეიფები, საწყობები და ხელი შეუშალეს არკოსის მნიშვნელოვან მუშაობას. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მოიტანეს დოკუმენტი გაჩხრეკის უფლების შესახებ. ვიცით როგორ ცდილობდენ რაიმე დოკუმენტის გამოძვრენას, მაგრამ არავითარი სახელის გამტეხი დოკუმენტი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ინგლისის ზოგიერთი რეაქციონური გაზეთი ცდილობს გაამართლოს ეს ნაბიჯი და აღნიშნავს, რომ გაჩხრეკა არ არის სავაჭრო შეთანხმების დარღვევაო. ჩვენ ვიცით რა ფასი აქვს ასეთ ჩხირკედელაობას. ვერავითარი სიტყვები ვერ შესცვლის იმ ხელშეკრულების არსებობის ფაქტს, რომლის მიხედვით ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა ხელუხლებელია.

შუბლმაგარ შავრაზმელებს, რომლებიც ძირშიაც მხოლოდ ჩვენთან განხეთქილებას და ომს ხედავენ, იმედი აქვთ, რომ მოახერხებენ ჩვენთან ურთიერთობის ჩაშლას. მათ სურთ, რომ ამ ურთიერთობის ჩაშლის ინიციატივა იკისროს საბჭოთა კავშირმა, რათა, მათი თავხედობის მიუხედავად, პასუხისმგებლობა თავიდან აიცილონ ამ ნაბიჯისათვის.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ინგლისში. ჩვენი სავაჭრო წარმომადგენელი ამხ. **ხინჩუკი** და მისი მოადგილე ამხ. **ბოევი** მოლაპარაკებას აწარმოებდენ ინგლისის მსხვილ ბანკთან, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა ინგლისის მანქანების საალმშენებლო ქარხნების მეპატრონეთა კავშირის წარმომადგენელი **სმიტი.** 11 მაისს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად ჩვენ უნდა მოგვეცეს კრედიტი ასი მილიონი მანეთის რაოდენობით. მთელი კრედიტი დაფარულ უნდა იქნეს 42 თვის განმავლობაში. მოლაპარაკებას ვაწარმოებდით აგრეთვე საფეიქრო მრეწველობის მანქანების საალმშენებლო ფირმებთან: „პლატი“ და „სმოველეი“, რომლებიც გვაძლევდენ კრედიტებს საფეიქრო მანქანებისათვის 25 მილიონი მანეთის რაოდენობით. კრედიტი დაფარული უნდა ყოფილიყო 48 თვის განმავლობაში. ჩვენ კრედიტები შემოგვაძლია აგრეთვე სხვა მრავალმა ფირმამ; მაგალითად, ნავთის ამხსალები მოწყობილობისათვის 20 მილიონ მანეთამდე და უფრო ხანგრძლივი ვადით.

ამრიგად უკანასკნელი ორი—სამი თვის განმავლობაში ინგლისის საქმიანი წრეები მოწადინებული იყვენ დაედოთ ჩვენთან ხელშეკრულება და მოეცათ კრედიტები დაახლოებით 150 მილიონ ოქროს მანეთის რაოდენობით, წინააღმდეგ კონსერვატორების ნებასურვილისა და ყვირილისა. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ ინგლისის საქმიან წრეებს ძალიან უყვართ ბოლშევიკები, არამედ იმიტომ, რომ მათ ესაჭიროებათ ბაზარი ინგლისის მრეწველობის ნაწარმოებთა გასასაღებლად. ჩვენი საშინაო და საგარეო ვაჭრობა იზრდება. ჩვენი საგარეო ვაჭრობის ზრდა, ჩვენი მოღონიერება, კიდევ უფრო მეტ გაბოროტებას იწვევს შუბლმაგართა შორის. ისინი მზად არიან შეაჩერონ ეს ზრდა, მაგრამ მე ვფიქრობ ამას ვერ მოახერხებენ ინგლისელი კონსერვატორები.

ეჭვს გარეშეა, რომ თავდასხმა სავაჭრო წარმომადგენლობაზე და არკოსზე ზიანს მოუტანს ჩვენს კომერციულ ოპერაციების განვითარებას ინგლისში. ამჟამად, როგორც სავაჭრო წარმომადგენლობაში ინგლისში ,ისე ჩვენს სხვა სამეურნეო ორგანოების ხელში არის ლიცენზიები 25 მილიონ მანეთის რაოდენობით, რომელიც გამოწერილია ინგლისისათვის. მე მომივიდა დიდძალი შეკითხვები ჩვენი სამეურნეო ორგანოებიდან, რომლებიც აღნიშნავენ, რომ იმ არანორმალურ პირობებში, რომელშიაც იმყოფებიან ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები ინგლისში, მათ იმედი არა აქვთ, რომ დიდი თანხების დაბანდება შენობების ასაგებად, იმ ფაბრიკების მასალების დასამზადებლად, რომელთათვის მოწყობილობის დაკვეთა განზრახული იყო ინგლისში, სავსებით იქნება გამოყენებული. ისინი მოითხოვენ დაკვეთების გადატანას სხვა ქვეყნებში. ამას უნდა დავსძინოთ, რომ სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის შემდეგ მესამე დღეს ჩვენ მივიღეთ ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთ საფეიქრო და ელექტრო-ფირმებიდან წინადადება მათთვის დაკვეთების მიცემის შესახებ, თუმცა ისინი კრედიტს რამდენიმედ უფრო უარეს პირობებში იძლევიან, ვინემ ინგლისის ფირმები. ამავე დროს ჩვენი საფეიქრო მრეწველობა მოითხოვს, რომ მატყლის შესყიდვა ინგლისიდან სხვა ქვეყნებში იქნეს გადატანილი. წინადადებები, რომლებიც შეეხებიან მთელ რიგ საქონლის: კაუჩუკის, ყავის, კაკაოს და მატყლის შესყიდვას, უკვე მოდის ჰოლანდიისა და სხვა ფირმებიდან. ამასთანავე მთელი რიგი რაიონებისა, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ ოპერაციებით, იძლევა კრედიტის სათანადო პირობებს.

ამრიგად თავდასხმა ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაზე დიდ ზარალს აყენებს ინგლისის მთელ რიგ სამრეწველო და სავაჭრო ფირმებს, რომელთაც ეჭვს გარეშეა წილი არ უდევთ კონსერვატორების წინდაუხედავ პოლიტიკაში. ჩვენ ვაფასებთ ინგლისის ბევრ სამრეწველო ფირმის კეთილსინდისიერებას, ვაფასებთ მათთან ნორმალურ, საქმიან ურთიერთობას, და ვფიქრობთ, რომ უკანასკნელნი წესრიგისაკენ მოუწოდებენ მთავრობას, რომელიც დიდ ზარალს აყენებს მათ და საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების საშუალებას უსპობს. მაგრამ ახეთი დამოკიდებულება ყველაზე კეთილსინდისიერ ინგლისელ კონტრაგენტებთან შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ინგლისის მთავრობას წესრიგისაკენ მოუწოდებენ გაუგონარ ძალადობისა, საერთაშორისო ურთიერთობის დარღვევისა და ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის და მისი დაწესებულებების შეუვალობის შელახვისათვის. მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია მონდომებულია ყოველდღე ჩაშალოს ჩვენი მშვიდობიანი შრომა და ამგვარი თავდასხმებით ხელი შეუშალოს ჩვენს მშვიდობიან მშენებლობას. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ, ჩვენ, ბოლშევიკებმა, ვიცოდით და ვიცით მტრების მოგერიება და მუშაობა ჩვენი მეურნეობის ასაღორძინებლად. (მქუხარე ტაში).

ამხ. ხინჩუკის განცხადება

ჟენევა, 17 მაისი. **ჩხრეკა არკოსის და სავაჭრო წარმომადგენლობის შენობებში კვლავ იწვევს ინტერესს საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის წრეებში.** ამხ. ხინჩუკმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს მათ წაუკითხა განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ **ჩხრეკა აშკარად არღვევს 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულებას.** „მე კატეგორიულად ვაცხადებ,—ნათქვამია ამხ. ხინჩუკის განცხადებაში,—რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ასეთი განსაკუთრებული ზომების მიღებისათვის და ჩხრეკას არავითარი შედეგის მოცემა არ შეუძლია“. ამხ. ხინჩუკი შემდეგ აღნიშნავს, რომ თავის მოქმედებაში, რომელიც მიმართული იყო უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისაკენ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის საქმიან წრეებს შორის, იგი ყოველდღე ხვდებოდა წინააღმდეგობას „შუბლმაგარ“ კონსერვატორთა მხრივ. მიუხედავად ამისა, მაინც ბევრის გაკეთება მოვახერხეთ; კერძოდ, უკანასკნელ ხანებში უკვე დადებულ იქნა რამოდენიმე სავაჭრო გარიგება. ამხ. ხინჩუკმა აღნიშნა, რომ **ინგლისის პოლიციამ ეხლა უდიდესი ზიანი მიაყენა იმ მუშაობას, რომელშიაც დაინტერესებული არიან ინგლისის მსხვილი სავაჭრო, სამრეწველო და საფინანსო წრეები.** ამხ. ხინჩუკის აზრით, ჩხრეკა გამოწვეული იყო იმის გამო, რომ საბჭოთა დელეგაცია სცდილობდა საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე შეექმნა სახალხო მეურნეობის ორი სისტემის (კაპიტალისტური და სოციალისტური) არსებობის შესაძლებელ მეთოდები, და აგრეთვე იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანებში მიღწეულ იქნა წარმატებანი და გაუმჯობესებანი ინგლისის სავაჭრო წრეებთან ურთიერთობაში“. მე ჯერ კიდევ არ ვიცი,—სთქვა დაბოლოს ამხ. ხინჩუკმა,—თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ჩემი მთავრობა. ჩემის მხრივ, მე შემიძლია დავსძინო, რომ სავაჭრო წარმომადგენლობის წარმატებით მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ ამისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფით (ადს).

ბურჟუაზიულ პრესის ცილისწამების წინააღმდეგ

ლონდონი, 18 მაისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ბეჭვდითი სიტყვის განყოფილების მიერ ლონდონში, გამოქვეყნებულია განცხადება, რომელშიაც ნათქვამია:

„— ვინაიდან ინგლისის პრესის ერთი ნაწილი დაჟინებით განაგრძობს ხმების გავრცელებას, თითქოს სავაჭრო წარმომადგენლობის და მის ქვემდებარე ორგანიზაციების მოსამსახურეები მონაწილეობას ღებულობენ ინგლისის პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ან მათთან აქვთ კავშირი, —ბეჭვდითი სიტყვის განყოფილებას საჭიროთ მიაჩნია კატეგორიულათ უარყოს ეს ყალბი ცნობები და განაცხადოს, რომ საბჭოთა დაწესებულებებს მოსამსახურეებს სასტიკათ აკრძალული აქვს ისეთი საქციელი, რომელიც შეიძლება ახსნან, როგორც ინგლისის შინაურ საქმეებში ჩარევა. ასეთი მოვლენის თავიდან ასაცილებლათ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ინგლისში, სავაჭრო წარმომადგენელთან ერთად გამოსცა შესაფერი ინსტრუქცია. გარდა ამისა საბჭოთა კავშირის ის მოქალაქეები, რომელთაც ღებულობენ ინგლისში, საბჭოთა ორგანიზაციების სამსახურში,—მოვალენი არიან წარმოადგინონ ვალდებულება, რომ თავს შეიკავებენ ყოველგვარი ისეთი გამოსვლებისაგან, რაც შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ინგლისის საშინაო საქმეებში ჩარევა. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელნი ყოველ ცალკე შემთხვევაში უკრძალავენ საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეებს ინგლისში ისეთ მიტინგებზე და დემონსტრაციებზე დასწრებას, რომელთაც აქვთ პოლიტიკური ხასიათი“. (ადს).

ამხ. ბოევი ლონდონის თავდასხმის შესახებ

ლონდონი, 18 მაისი. სავაჭრო წარმომადგენლის მოვალეობათა აღმასრულებელმა ბოევმა, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

„მურგეტის ქუჩაზე № 49 სახლში, რომელშიაც მოთავსებულია არკოსი და სავაჭრო წარმომადგენლობა, მუშაობის განახლების შემდეგ—ვიხილეთ, რომ სეიფების კამერა და ყველა სეიფები გატეხილი და გაფუჭებულია. ხინჩუკის სეიფი გახვრეტილია რამოდენიმე ადგილას და გაფუჭებულია ყველა სეიფებზე უფრო. ვინაიდან ხელისუფლება არ იძლევა წაღებული დოკუმენტების სიას და არქივის ქაღალდებიც უწესრიგოთაა დაყრილი, ამიტომ ძნელია თქმა, თუ რა გვაკლია, ან რომელი დოკუმენტია წაღებული.

ჩვენ ვიპოვეთ მხოლოთ ორი შეკვრა ქაღალდი, საიდანაც ნაწილი პოლიციას დაუწვავს. ზოგიერთი წერილები, რომლებიც წარმოადგენდენ საყურადღებო სახელმწიფოებრივ დოკუმენტებს და მათ შორის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებები, გახსნილია პოლიციის მიერ. აღნიშნული დოკუმენტები თავდასხმის წინ ფოსტამ მოიტანა, სავაჭრო წარმომადგენელის ამხ. ხინჩუკის სახელზე და იგი ეწყო ხინჩუკის მაგიდაზე. ჩხრეკის მოხდენის შემდეგ აღარ აღმოჩნდა აგრეთვე დიდძალი სიგარები და პაპიროსები. ლენინის სურათი დასვრილია საღებავებით.

ძალიან ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა გაამართლოს პოლიციამ თავისი საქციელი, რომელიც თითქოს გამოწვეული იყო ერთი დოკუმენტის პოვნის მიზნით და რომელიც მათივე განცხადებით ვერ უპოვნიათ“. (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება კომკავშირის ა.-კ. კონფერენციაზე

პარტია მიესალმება თავის ხვალინდელ სახეს

ამხანაგებო! საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა დამავალა მივესალმო ა.-კ. ახალგაზრდობის ავანგარდის კონფერენციას (აპლოდისმენტები).

თქვენი სახით პარტია მიესალმება თავის ხვალინდელ სახეს, რომელიც, ეჭვგარეშეა იქნება უფრო ნათელი, ვიდრე სხვა პირობებში აღზრდილი და გამობრძმედილი წინანდელი თაობის სახე.

თქვენი სახით პარტია მიესალმება იმ რაზმს, რომლის ხვედრია ამიერ-კავკასიაში დამთავროს ინტერნაციონალიზაციის პროცესი, რომელიც დაიწყო საბჭოთა გადატრიალებით ა.-კ. რესპუბლიკაში. თქვენი მუშაობით არა მარტო მკლავით, არამედ ტვინითაც, ჩვენ ვსპობთ იმ მხეცური შოვინიზმის უკანასკნელ ნაშთებს, რომელიც თავისუფლად დათარეშობდა ამიერ-კავკასიაში ნაციონალისტური რეჟიმის დროს. პარტიას კომკავშირის გარეშე ვერ წარმოუდგენია იმ ამოცანების გადაჭრა, რომელიც ჩვენი საბოლოო გამარჯვებისათვის მთავარ ამოცანებს წარმოადგენენ, სახელდობრ სამეურნეო ხასიათის, ჩვენი ეკონომიკის სოციალისტურ გარდაქმნის ამოცანების გადაჭრა. დეე, თქვენი კონფერენცია იქნეს ნაყოფიერი ეტაპი ჩვენი პარტიის, ჩვენი კავშირის სავალ ფართო გზაზე, შეურყეველი ინტერნაციონალიზმის და ჩვენი ხვალინდელი დღის—კომუნიზმის სოციალისტური საძირკვლის შენების გზაზე.

ეხლა თვალი გადავავლოთ ჩვენი საგარეო პოლიტიკური და შინაური სამეურნეო ცხოვრების ზოგიერთ საკითხებს, ვნახოთ რა ხასიათის ახალი პროცესები მწიფდება ჩვენს საბჭოთა ბანაკს შიგნით და მის გარეშე.

ევროპის ფაშიზაცია

ჩვენს დროში პოლიტიკური მიმოხილვა არ წარმოადგენს მხოლოდ „მიმდინარე მომენტის“ მიმოხილვას. ჩვენს დროში მიმდინარე მომენტი წარმოადგენს მეტად ხანგრძლივი ხასიათის მოვლენას. ეს მომენტი დაიწყო იმპერიალისტური ომის გამოცხადებიდან, განსაკუთრებით ვერსალის „ზავის“ დადებიდან. ბურჟუაზია არწმუნებდა ყველას იმაში, რომ ეს არის უკანასკნელი ომი და ამის შემდეგ ქვეყნად დამყარდება მშვიდობიანობა და კაცთა შორის სათნოება. მაგრამ ნაცვლად ამისა ევროპა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მთელი თავისი კოლონიებით წარმოადგენს წყვდიადით მოცულს, უბედურების მომასწავებელ სურათს.

არასოდეს ისტორიაში კაცობრიობა ასე აშკარად არ ყოფილა გაყოფილი ორ ბანაკად. ერთი მხრით ბანაკად პროლეტარული რევოლიუციისა, რომელმაც დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე გაიმარჯვა, იმ ბანაკად კოლონიალური ერების რევოლიუციისა, რომელნიც დედამიწის ¾ ნაწილში—ჩინეთში, აფრიკაში და სხვ. იბრძვიან ახლა განთავისუფლებისათვის; მეორე მხრით ბურჟუაზიის ბანაკად, რომელნიც ამჟამად შავი ფაშისტური ფერით არის შეღებილი. ამჟამად ფაშიზმი, ეს შავი რეაქცია, შეიქნა ერთი შეხედვით ყველაზე უფრო დემოკრატიულ მოწინავე ქვეყანაში, ბრიტანეთის კუნძულზე. ფაშიზმმა აქ გაიკეთა მტკიცე ბუდე და ამ „დემოკრატიული“ ქვეყნის იმპერიალისტური მთავრობა ამჟამად წააგავს ერთგვარ მახრჩობელა გველს, რომელიც ქვეყნის შიგნით შემოხვეული აქვს მშრომელ მასებს და აჯანყებულ კოლონიალურ ერების სხეულს.

ინგლისის დღევანდელი მთავრობა, რომელიც მუსოლინის კვალს მისდევს, არსებითად წარმოადგენს რუსეთის ყოფილი მეფის, ამ ევროპის ჟანდარმის, მემკვიდრეს.

რა უდევს ამ მოვლენას საფუძვლათ, რად წარმოადგენს ევროპა იმპერიალისტური ომის დამთავრებიდან თითქმის 15 წლის შემდეგ ასეთი შავი რეაქციონური გარდაქმნის მაგალითს?

ომის შემდეგ ევროპა დაიყო 26 სახელმწიფოდ. კაპიტალიზმის წინაშე, რომელიც ომის შემდეგ ძლივს გადურჩა დაქუცმაცებას, აღმართულია 26 საბაჟო ზღუდე. კაპიტალიზმი ამჟამად განიცდის ნაწილობრივი მერყევ სტაბილიზაციის ეტაპს და იგი ეძებს გამოსავალს ამ მდგომარეობიდან, რადგან დიდ სამრეწველო სახელმწიფოთა საწარმოო შესაძლებლობანი ამჟამად უფრო მეტია იმ შესაძლებლობებზე, რომელიც მოცემულია მთელ რიგ იმ პატარა სახელმწიფოთა არსებობის ფაქტით, რომელთაც ომის დროს გაიჩინეს თავისი მრეწველობა. ბაზრების პრობლემა ამჟამად არის ცენტრალური სამეურნეო პრობლემა ევროპისა და ამერიკის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. აი ამ ფესვიდან იზრდება ბოროტი ყვავილები თანამედროვე იმპერიალიზმი, რომელიც ეურჩება თავის ახლანდელ მსხვერპლს და უთვალთვალებს ახალ მსხვერპლს, მაგრამ მსხვერპლი ამოძრავდა, კოლონიები ასაჯანყებლად დგებიან; დგება აგრეთვე შინაური მტერი, ბურჟუაზიის მესაფლავე პროლეტარიატი, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია; რომელიც განმტკიცდა ევროპის აღმოსავლეთში, მომწოდებელ შუქით უნათებს გზას ევროპის პროლეტარიატს და დაჩაგრულ ერებს. აქედან გამომდინარეობს თანამედროვე ბურჟუაზიის ბრაზმორეული კონტრრევოლიუციონერობა, მისი რეაქციონური გამოთაყვანება.

ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუცია დაირაზმა და აბჯრით შეიმოსა პროლეტარული რევოლიუციის საწინააღმდეგოდ. ის, რაც ამჟამად ხდება ინგლისში; საფრანგეთში და საშუალო ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში, გერმანიაში და ამერიკაში მოასწავებს ომის შემდგომი კაპიტალიზმის ეკონომიურ დასნეულებას. ეს კრიზისი დაძლეული უნდა იქნეს ან რევოლიუციონური წესით,—ეს იქნება საკითხის პროლეტარული გადაწყვეტა,—ან რეაქციონური წესით ეს იქნება საკითხის ფაშისტური გადაწყვეტა, ჩემბერლენის, ჰინდენბურგის, პუანკარეს და მუსოლინისებურათ. ამ ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტა გადახლართულია ბურჟუაზიისათვის ყველაზე უფრო მრისხანე ამოცანას, სახელდობრ იმ რევოლიუციის დაძლევის საკითხის გადაწყვეტასთან, რომელიც ვითარდება როგორც შიგნით, ისე ნახევრად დამოკიდებულ ქვეყნებში. აი როგორი ამოცანები ჩაჰყურებს ამჟამად სახეში ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიას და მათ აღმასრულებს ე. ი. მთავრობებს.

იმპერიალისტური გველი იკლაკნება

ევროპის ფაშიზაციის პროცესი ფაქტია. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ გერმანიის მთავრობა, რომელმაც იერიში მიიტანა მუშათა კლასის უფლებებზე იმით, რომ დაასამარა რვა საათის სამუშაო დღე. გერმანიის ბურჟუაზია ამჟამად საქვეყნოდ აცხადებს, რომ მას კვლავ სურს გახდეს კოლონიათა მფლობელი და ამ მიზნით პირველ მაისის შემდეგ, რომელმაც გამოაშკარავა მუშათა კლასის ორგანიზაციული დარაზმულობა, მუშათა კლასის პროლეტარული რევოლიუციისათვის ბრძოლის წყურვილი; მოაწყო „ფოლადის მუზარადის“ ფაშისტური დღე, რომელსაც უნდა ეჩვენებია ჰინდენბურგის გერმანიის რეაქციონური ჯარის ძლიერება—ერთი მხრით და ამავე დროს მთელი ქვეყნის წინაშე გამოეშკარავებია ოფიციალური გერმანიის ნებისყოფა გერმანიის გახდომისა ისეთ კოლონიალურ ქვეყნად, ე. ი. ისეთ სახელმწიფოდ; რომელიც იქნება იმ კოლონიების მფლობელი და მბრძანებელი, რომელიც მან სამხედრო დამარცხების შემდეგ დაჰკარგა.

აქ შეიძლება გავიხსენოთ საფრანგეთის „ევროპის მოწინავე დემოკრატია“, რომელმაც შემოიღო რეაქციონური სამხედრო კანონები.

ინგლისის დემოკრატიამ ცოტა ხნის წინად პარლამენტში შეიტანა და მოკლე ხანში შემოიღებს კანონს მუშათა კლასის უფლებების წინააღმდეგ, იმ უფლებების, რომლებიც ინგლისის მუშათა კლასის მთელ თაობათა მიერ პირდაპირ ოფლითა და სისხლით არის მოპოვებული.

ეს რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ნამდვილად დადგა უკანასკნელი საათი, როდესაც მთავრობას უხდება აირჩიოს რევოლიუცია ან გაფართოებული კონტრ-რევოლიუცია. რასაკვირველია, იგი ირჩევს კონტრრევოლიუციას. მუშათა კლასის ძირითად უფლებებზე იერიშის მიტანით, ინგლისის კონსერვატიული მთავრობა უზრუნველყოფს თავისთვის ერთგვარ შესაძლებლობას აწარმოოს მანევრები პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც მას უახლოვდება. სახელმწიფოს შიგნით მუშათა კლასის დამორჩილებით, თავის საკუთარი ბურჟუაზიის იერიშებით პროლეტარიატის მიერ საუკუნეებით შეძენილ უფლებების წასართმევათ, ინგლისის ფაშისტური მთავრობა ფიქრობს ხელები გაიხსნას საგარეო ავანტიურებისათვის. ტრედიუნიონების წინააღმდეგ მიმართული უკანასკნელი რეაქციონური კანონის აზრი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ კონსერვატიულ მთავრობას ესაჭიროება უზრუნველ ჰყოს თავისი თავი სახელმწიფოს შიგნით. ამისათვის საჭირო გახდა პროლეტარიატისთვის აღეკვეთათ ყოველგვარი შესაძლებლობა გაიმეოროს ის, რაც მოხდა ინგლისის საყოველთაო გაფიცვის დროს, რომელმაც პირველ ნაბიჯთა გადადგმისთანავე, პირველ თავის რეპეტიციისთანავე, უკვე საკმაოდ შეარყია ინგლისის არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამეურნეო ძლიერებაც. ამ გაფიცვის მორიგი ეტაპი, შემდგომი განვითარება რაღაც უფრო მეტს საშიშროებას მოასწავებს. ამიტომ ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას უხდება აწარმოოს წინასწარი გამაფრთხილებელი ომი პროლეტარიატის ყველა ფრონტზე იმ ანგარიშით, რომ თავი დააღწიოს იმ შედეგებს, რომელთაც მიჰყავთ იგი პოლიტიკურ და მაშასადამე ისტორიულ სამარისკენ. საჭიროა საკუთარ მუშათა კლასის დამორჩილება იმისათვის, რომ გაიხსნას ხელები საგარეო პოლიტიკის საწარმოებლად კომუნისტური რევოლიუციის დასამორჩილებლად, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების წინააღმდეგ ინტრიგების საწარმოებლად. მაგრამ ეს კიდევ არ სწყვეტს ამოცანას. შეიძლება ჩხუბის გუნებაზე იყო, შეიძლება მორჩილებაშიც გყავდეს საკუთარი მუშათა კლასი და ამავე დროს ჯავშნიან მუშტით ემუქრებოდე კოლონიებს და ნახევრად კოლონიებს, შეიძლება ახლოს იყოლიო მეორე ინტერნაციონალის გველის წიწილები, მუშათა წრიდან გამოსული სოციალ - გამცემლები, მაგრამ ეკონომიკის კანონები მაინც მოითხოვენ პასუხის გაცემას იმ საჭირბოროტო კითხვებზე, რომელიც ომის შემდეგ ბურჟუაზიას მოსვენებას არ აძლევს.

ბურჟუაზიის ეკონომიური კონფერენციები

ბაზრების და მრავალრიცხოვანი ზღუდეების პრობლემები საჭიროებენ გადაწყვეტას. ბურჟუაზია ამ პრობლემებს თავისებურად სწყვეტს. ჯერ კიდევ ბრიუსელის ფინანსიურ კონფერენციაზე 1920 წელში იყო ცდები მოესპოთ ის დაპირდაპირება, რომელიც არსებობდა მაღალ ვალიუტისა და დაბალ ვალიუტის სახელმწიფოებს შორის. ეს კონფერენცია უშედეგოთ დამთავრდა.

გენუის კონფერენცია ნედლეულობის ბაზრების დანაწილების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. ჩვენი კავშირი მიწვეული იყო ამ კონფერენციაზე იმ იმედით, რომ შესძლებდენ საბჭოთა რესპუბლიკების გადაქცევას ევროპის მრეწველობისათვის ნედლეულობის მიმწოდებელ ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებად. ჩვენმა წარმომადგენლებმა ჩიჩერინის მეთაურობით წამოაყენეს მთავარი ამოცანები და პრობლემები, რომელნიც კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა ევროპის ეკონომიური ატმოსფეროს გასაჯანსაღებლად. ამასთან ერთად ჩვენმა დელეგაციამ დასვა საკითხი სახელმწიფოების ნამდვილ განიარაღების შესახებ, მაგრამ დაეჯახა კონფერენციის ბურჟუაზიული ნაწილის სიბლაგვესა და რეაქციონური ყოყოჩობის ყრუ კედელს. მაშინ ლოიდ ჯორჯი ჭკუას არიგებდა ჩიჩერინს არ დაეტვირთა კონფერენციის გემი ზედმეტი ბარგით ე. ი. ისეთი საკითხებით, როგორიც არის სახელმწიფოთა განიარაღება და სხვა. გენუის კონფერენციიდან, როგორც ვიცით, არაფერი არ გამოვიდა.

1925 წლის დამდეგს გამოკრულ იქნა ფართომაუწყებელი განცხადებები ევროპის ეკონომიურ კონფერენციისათვის მზადების შესახებ, განსაკუთრებით, ამ განცხადების გამო, დავლურს უვლიდა ყველა ქვეყნების სოციალ-დემოკრატია. წელიწადნახევრის შემდეგ ეს კონფერენციაც შეიკრიბა ჟენევაში და ჩვენ ვხედავთ არა მარტო ამ კონფერენციის ავტორების სიღატაკის სრულ სურათს, არამედ სიღატაკეს საერთოდ მთელი ბურჟუაზიული გონებისა, რომელიც ამ კონფერენციას უნდა გამოეაშკარავებია. კონფერენციის დღის წესრიგში ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც ერთს მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოს მუშათა კლასის ინტერესებს ეხება; ჩვენ იქ ვხედავთ მხოლოდ საკითხებს, რომელნიც აინტერესებს იმ 180 ბანკირს და მრეწველს, რომელთაც გასული წლის ოქტომბერში გამოაქვეყნეს ე. წ. „ბანკირების მანიფესტი“. ამ მანიფესტში აშკარად ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ საბაჟო ზღუდეები,რომელნიც უხვად მოედვენ ევროპის ომის შემდეგ, შეუძლებელს ხდიან თავისუფალ ვაჭრობას, და წინადადება იყო ეს ზღუდეები მოხსნილიყო. ეს იყო მანიფესტი ამერიკული კაპიტალისა, რომელიც საკმაოდ სისხლჭარბია იმისათვის, რომ ისურვოს ევროპაში საბაჟო ზღუდეების მოხსნა, რომ ფართოდ გაიღოს ევროპის ყველა სახელმწიფოს კარები. ამერიკულ მრეწველობას იმედი აქვს და დარწმუნებულია, რომ თავისუფალი კონკურენციის საშუალებით ის ყველა კონკურენტებს დაამარცხებს, ხოლო დაუმარცხებლებს შეუკავშირდება უფრო სუსტი სახელმწიფოების დასამორჩილებლად.

იგივე სურათია ეხლაც ჟენევის ეკონომიურ კონფერენციაზე. ეს კონფერენციაც პირველ მთავარ საკითხად აყენებს საბაჟო ზღუდეების საკითხს და საკითხს კარტელების შესახებ ე. ი. ისეთ საერთაშორისო სამრეწველო გაერთიანებათა შესახებ, რომელთა დანიშნულება იქნება წარმოებისა და ბაზრების „მოწესრიგება“.

ცხადია ის, რაც ვერ გადასწყვიტა ომმა, ბურჟუაზიას სურს ეხლა გადასწყვიტოს სხვა გზით, ერთი შეხედვით, მშვიდობიანი ეკონომიური კონფერენციების საშუალებით. ამ კონფერენციებით იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ძლიერი არიან არა მარტო სამხედრო მუშტით, არამედ თავიანთი ინდუსტრიითაც, უნდათ თავზე მოახვიონ თავის სამრეწველო ჰეგემონია უფრო სუსტ სახელმწიფოებს.

საბაჟო ზღუდეების გაუქმებით ე. ი. სუსტი მრეწველობის მქონე, სუსტი სამრეწველო ხერხემლის მქონე, პატარა სახელმწიფოების სრული გაშიშვლებით, მათ უნდათ შეიყვანონ ისინი თავიანთი სამრეწველო გავლენის სფეროში და სათანადო საერთაშორისო გაერთიანებათა კარტელების მოწყობით უკარნახონ, როგორც წარმოების, ისე პროდუქციის განაწილების პირობები. ამ გზით მათ სურთ ეკონომიურად დაიმონონ და თავის „ქარავანს“ მიაბან ევროპის მცირე ერები. ამ კონფერენციაზე ერთიმეორის წინააღმდეგ დაპირდაპირებულია საბჭოთა მეურნეობისა და ბურჟუაზიული მეურნეობის სისტემები. ეს დაპირდაპირება მოასწავებს იმას, რომ ამჟამად მცირე ერების დამცველი, მათი არა მარტო დღევანდელი, არამედ ხვალინდელი ინტერესების, ნამდვილი, ისტორიული ინტერესების გამომხატველი არის ჩვენი საბჭოთა დელეგაცია. ოსინსკის, ხინჩუკის, სოკოლნიკოვის და სხვა დელეგატების პირით საბჭოთა მთავრობა უპირდაპირებს ჩვენი სოციალისტური საბჭოთა მეურნეობის საფუძვლებს კაპიტალისტური მეურნეობის სისტემას, რომელსაც მოაქვს მცირე სახელმწიფოებისათვის ჩაგვრა და მონობა; იქ ჩვენ ფარდას ვხდით მსხვილ ბურჟუაზიულ მთავრობების ცდებს, რომელთაც ფლიდი და ორპირი დიპლომატიით სურთ გვერდი აუხვიონ პატარა სახელმწიფოებს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებს, რომელნიც სოციალიზმს აშენებენ.

ეს კონფერენცია ჩვენთვის იმის მაჩვენებელი დემონსტრაციაც არის, თუ რას წარმოადგენს ჩვენი მეურნეობა. გენუაში ლოიდ - ჯორჯი მედიდურად გვიყურებდა იმ იმედით, რომ უახლოეს ხანში საბჭოთა ხელისუფლება თუ არ წამოიჩოქებდა ბურჟუაზიულ ქვეყნის წინაშე, თუ არ დასთმობდა ყველა თავის პოზიციებს, შიგნით ეკონომიურად მაინც ამოლპებოდა. ეხლა სხვა მდგომარეობაა. ეხლა ჩვენ წარმოვადგენთ ორ თანაბარ ქვეყანას, რასაკვირველია, არა ფორმალური თვალსაზრისით, არა იმ ფაქტის წყალობით, რომ ერთა ლიგამ მიგვიწვია ამ კონფერენციაზე, არც იმ „სტუმართმოყვარეობის“ გამო, რომლითაც ჩვენს დელეგაციას შეხვდა შვეიცარიის „თავაზიანი“ მთავრობა, არამედ იმ ფაქტით, რომ ჩვენი სისტემა განმტკიცდა, რომ მან ღრმად გაიდგა ფესვები. ეს სოციალისტური სისტემა გამოდის ამ კონფერენციებზე. დაუპირდაპირებს თავის პრინციპებს, თავის საფუძვლებს ბურჟუაზიულ სისტემას. ბურჟუაზიაც კი გაურბის პოლემიკას. საფრანგეთის მრეწველობის წარმომადგენელი ლუშერი, რომელსაც აქვს ლაპარაკის მშვენიერი ნიჭი იმისათვის, რომ ვეკამათოთ და გვებრძოლოს, იძულებულია გაექცეს პოლემიკას კეთილ - გონიერ მომიზეზებით. გაურბიან ამ პოლემიკას იმიტომ, რომ ეს პოლემიკა 1927 წელს ჟენევის კონფერენციაზე მეტისმეტად მავნებელი იქნებოდა იმ სისტემისთვის, რომლის მოციქულნი და გლადიატორები არიან ლუშერი და ძმანნი მისნი. ამიტომ მათ მართებთ მიიღონ სახე საქმიანი ხალხის, რომელიც გვერდს უვლის ასეთ საკითხებს და გარკვეული არიან მხოლოდ მეტად „ღრმა“ საქმიანი საკითხებით. მაგრამ ეს საქმიანი საკითხები ჟენევის კონფერენციაზე ისეთი ხასიათის არიან, რომ ვერ მოგვცემენ, რასაკვირველია, იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომელსაც აყენებს კაცობრიობა. ვერ მოგვცემენ, რადგან არ ეხებიან სწორედ მთავარ გადამწყვეტ საკითხებს და, რამდენადაც კონფერენცია გვერდს უხვევს ამ მთავარ საკითხების გადაწყვეტას, მისი მუშაობა უკეთეს შემთხვევაში იქნება ორი სისტემის დემონსტრაცია: ერთი—იმ სისტემის, რომელიც ევროპის ეკონომიკაში მოქმედებს, და, მეორე—იმ სისტემის, რომელიც დამყარებულია და ვითარდება ოქტომბრის რევოლიუციის ქვეყნებში.

ჯავშნიანი მუშტი ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ

ბურჟუაზია ცდილობს თავის ქვეყნის შიგნით და ევროპის ფარგლებში ჩაახშოს რევოლიუციონური მოძრაობა, ერთის მხრით კანონმდებლობით, ქვეყნის შიგნით რევოლიუციონური ელემენტების დასუსტების საშუალებით, მეორეს მხრით მშვიდობიანი ეკონომიური კონფერენციების თვალთმაქცური ცდებით. საგარეო პოლიტიკაში კი იგი სრულიად აშკარად მოქმედებს. თუ დღემდე შეიძლებოდა ლაპარაკი ერთგვარ შეიარაღებულ მშვიდობიანობაზე იმპერიალისტებს შორის აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, სამაგიეროდ ეხლა შეიარაღებული მშვიდობიანობის ეპოქა უკვე წავიდა. დღეს ჩვენ მოწმენი ვართ იმპერიალისტების ფაქტიური ომისა რევოლიუციონური ჩინეთის წინააღმდეგ.

მდგომარეობა ჩინეთში მაჩვენებელია იმისა, თუ რას წარმოადგენს ამჟამად ბურჟუაზიული ევროპა, რომელიც იბრძვის „ცივილიზაციური“ ზომებით, და რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს მშვიდობიანობის ისეთი იარაღი, როგორიცაა ერთა ლიგა; და არა მარტო თავისი შავი ინტერნაციონალი, არამედ მწვანე მეორე ინტერნაციონალიც.

მსოფლიო ბურჟუაზიამ მთლიანი ფრონტით შემოარტყა ალყა რევოლიუციონურ ჩინეთს, მან აამოქმედა მთელი თავისი არსენალი, დაწყებული თვალთმაქცური დიპლომატიით და გათავებული საზღვაო გემებიდან ზარბაზნების დაშენით; მან ამ მიზნით გამოიყენა აგრეთვე ისეთი ტიპის დამხმარენი, როგორიცაა ჩან-ძო-ლინი და მოღალატე ჩან-კაი-ში. ჩინეთის რევოლიუციისათვის დროებით შეიქმნა მძიმე მდგომარეობა, იმპერიალიზმის ჯავშნიანმა მუშტებმა და რევოლიუციისაგან ჩინეთის ბურჟუაზიის ჩამოშორებამ გაართულა მდგომარეობა და ეს გზა-კვალს უბნევს ბევრ ისეთ პირებს, რომელნიც საერთოდ არ უნდა დაიბნენ ასეთ საკითხებში.

ჩინეთის რევოლიუციის საკითხები

ჩინეთის რევოლიუციის საკითხები უკანასკნელ ხანებში ყველა ქვეყნების მშრომელთა ყურადღების ცენტრია. ჩინეთის რევოლიუცია მსოფლიო რევოლიუციის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ იმის ნათელ წარმოდგენას, თუ რა ხასიათისაა ეს რევოლიუცია, როგორია მისი პერსპექტივები, უაღრესი მნიშვნელობა აქვს ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებისათვის. მოკლედ უნდა შევეხოთ ზოგიერთ საკითხებს, რომლებიც ისედაც გზადაბნეულებს უბნევს გზა-კვალს.

ჩინეთში ეხლა არის რევოლიუციის ერთგვარი პაუზა.

როგორი ხასიათისაა ეს რევოლიუცია?

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თუ სოციალისტური?

თითქოს საკითხი ნათელია: ქვეყანაში, სადაც დღემდე კიდევ არსებობს ფეოდალიზმის ნაშთები; სადაც ჩვენ გვაქვს უცხოეთის იმპერიალიზმის ძლიერი ძალა, სადაც არის მილიტარისტების მთელი ფენა, რომელნიც შეუხმატკბილდენ უცხოეთის იმპერიალისტებს; სადაც არის ჩინეთის მოსახლეობა, რომელსაც ტყავს აძრობენ და სადაც თითქმის მთელი მრეწველობა უცხოეთის კაპიტალისტების ხელშია; სადაც არის ისეთი კუთხეები, რომლებშიაც გაბატონებულია გუბერნატორების განუკითხავი ძალა-უფლება; სადაც ყოველი პროვინცია შემოფარგლულია საბაჟო ზღუდეებით; სადაც არსებობს მთელი რიგი პროვინციებისა, რომელნიც საშუალო საუკუნოების საჭირბოროტოს მოგვაგონებენ,—ამ ქვეყანაში ლაპარაკი ბურჟუაზიულ წყობილების არსებობაზე, ცხადია შეუძლებელია.

მაგრამ არის ისეთი პირები, რომელნიც მარქსისტებად სთვლიან თავს, ყოველშემთხვევაში იყვნენ მარქსიზმის სკოლაში, ამ საკითხში [illegible] თვალსაზრისზე დაადგნენ, თუ მათ დაუჯერეთ, გამოდის, რომ ჩინეთში არ არსებობს ფეოდალიზმის ნაშთები, არ არის იმპერიალისტური ჩაგვრა, მაშასადამე, იქ არის ბურჟუაზიული წყობილება და ჩინეთის რევოლიუციონური განვითარების შემდეგი ეტაპი იქნება სოციალისტური რევოლიუცია, ე. ი. ბურჟუაზიული წყობილების ლიკვიდაცია; და არ არსებობს არავითარი საერთო-ეროვნული ამოცანები, თუნდაც რევოლიუციის პირველი საფეხურის ამოცანები არ არსებობს მშრომელთა და ბურჟუაზიის მთლიანი ფრონტი უცხოეთის გაბატონებული იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ ცხადია, რომ ეს ასე არ არის. ჩინეთის რევოლიუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათისაა, რომელიც თავისებურ პირობებში ხდება, იგი მიდის პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონურ-დემოკრატიული დიქტატურისაკენ რევოლიუციის პირველი რიგის ამოცანების გადასაწყვეტად. ეს ამოცანები შემდეგია: იმპერიალიზმის განდევნა, უცხოეთის კაპიტალისტების ძლიერების დამხობა, ჩინეთის გადაქცევა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, პროლეტარიატის და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურით, როცა ჰეგემონი და ხელმძღვანელი სწორედ პროლეტარიატი იქნება.

გაერთიანებული ჩინეთის რევოლიუციონური მთავრობის შემდეგი ნაბიჯი იქნებოდა ყველა სამრეწველოების დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, რაიც საბოლოოდ გამოუთხრის ძირს არა მარტო უცხოეთის გაბატონებულ კაპიტალს, არამედ საერთოდ კაპიტალს. ეს უკვე სოციალისტური ჰანგების დასაწყისია, ეს უკვე პირველი ნაბიჯია სოციალისტური გადატრიალების მიმართულებით.

პირველი ეტაპია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ წყობილების დაპყრობა. ამ საკითხში ჩვენ სავსებით გარკვეული აზრი უნდა გვქონდეს, მაგრამ ეს გარკვეულობა არ აქვს იმ ჯგუფს, რომელიც სიბრძნის ჩემპიონობს, იმ პირებს, რომელთაც თავისას ვერ შეამჩნიეს რევოლიუციის დამახასიათებელი პროცესები. ეს ხალხი, კერძოდ საქართველოში, ვერ გაერკვა გლეხთა და მუშათა კლასის შორის ურთიერთობის საკითხში. ეს ხალხი მოექცა კომინტერნის ოპოზიციაში, ისინი ეხლა სავსებით ამახინჯებენ იმ პერსპექტივებს, რომლებიც აქვს ჩინეთის რევოლიუციას. ჩვენ ჩინეთში დღემდე გვქონდა ორი ბანაკი,—ერთის მხრით, მილიტარიზმი, იმპერიალიზმი, ბურჟუაზიის ზოგიერთნი, ეგრედ წოდებული კომპრადორების მომხრეები, მეორეს მხრით, მთელი ეროვნული ჩინეთი,—გლეხობა, ქალაქების წვრილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ჩვენ ვხედავთ, რომ მეორე პერიოდში კლასიურ ძალთა გადაჯგუფება ხდება პროლეტარიატის სასარგებლოდ, რომელიც პროფკავშირებში არის შეკავშირებული, მაგრამ, რომელსაც ჯერ - ჯერობით მცირე რიცხოვანი კომპარტია ჰყავს. ეს პროლეტარიატი ხდება მოძრაობის ჰეგემონი და აძლევს ტონს იმ პარტიას, რომელსაც გომინდანი ეწოდება, ეს პარტია ბლოკში იმყოფება წვრილ ბურჟუაზიასთან, ე. ი. რევოლიუციონური ჩინეთის ხალხოსნურ ჯგუფთან.

თუ ჩვენ ეხლა მიუახლოვდით მესამე პერიოდს, როცა გვაქვს მთლიანი ეროვნული ფრონტის გარღვევა ჩინეთში, როცა ჩრდილოეთით ჩვენ გვყავს ჩან-ძო-ლინი თავისი ხროვით, ნანკინში კი ზის ჩან-კაი-ში, რევოლიუციის მოღალატე, და უხანში ჩინეთის ნამდვილი ჰეგემონი—რევოლიუციონური მთავრობა,—ეს მოწმობს იმას, რომ მარქსიზმის მიერ გამოაშკარავებულ ისტორიული განვითარების კანონმა მიგვიყვანა ისეთ მდგომარეობამდე, როგორიც მოსალოდნელი იყო. არ იყო მოულოდნელი ყოველივე ის, რაც მოხდა. ეს გათვალისწინებულია კომინტერნის აღმასკომის მე-7 გაფართოებული პლენუმის რეზოლიუციაში.

მთლიანი ფრონტი დაირღვა, ბურჟუაზია ჩამოშორდა რევოლიუციას. იმის შემდეგ, რაც ეროვნული მთავრობა სათავეში ჩაუდგა მოძრაობას, არა მარტო წმინდა სამხედრო გალაშქრებას ჩრდილოეთის წინააღმდეგ, და როცა გომინდანი გახდა ჩინეთის რევოლიუციის შემაკავშირებელი ცენტრი, როცა ეს მთავრობა გახდა მუშათა კლასის გამარჯვების ელემენტი, როცა ჩინეთის ბურჟუაზიამ დაინახა, რომ ეს არის ჩინეთის რევოლიუციის არა მარტო ტერიტორიალურად გაფართოება, რომ აქ გაისმა ნამდვილი რევოლიუციის ჰანგი, მაშინ მისმა კლასიურმა ინტერესებმა უკარნახა მას ჩამოშორებოდა რევოლიუციას და დაეკავებია მისი საწინააღმდეგო პოზიცია. როცა ჩინეთის ბურჟუაზიამ შეიგნო და დაინახა, რომ აქ საქმე ეხება არა მარტო ჩინეთის კაპიტალის განთავისუფლებას უცხოეთის კაპიტალისაგან, რომ გამოდის ახალი ძალა, რომელიც მეტოქეობას უწევს მას პირველობაში, ხელისუფლების აღებაში და ჰეგემონიაში, რომელიც გაფიცვებითა და ახალი სოციალური კანონმდებლობით ფიქრობს ეკონომიკის გარდაქმნას სხვა საფუძვლებზე, — მაშინ, აქ კლასიურმა ინტერესებმა წამოჰყო თავი და ბურჟუაზია ჩამოშორდა რევოლიუციას, და ბურჟუაზიის რევოლიუციიდან გათიშვის პოლიტიკური გამომხატველი და ბელადი გახდა ჩან-კაი-ში. იგი სათავეში ჩაუდგა იმ მოძრაობას, რომელიც მომწიფდა ჩინეთის ბურჟუაზიულ წრეებში და რომელსაც უკარნახებდა იმ ბურჟუაზიის ნამდვილი კლასიური მიზნები, რომელსაც ყველაზე უფრო ეშინია თავისი შინაური მტერის, შინაური მესაფლავეს—პროლეტარიატის და ურჩევნია შეუთანხმდეს უცხოეთის დამპყრობლებს.

განა იგივე არ იყო ევროპისა და რუსეთის ქვეყნებში? ჩინეთის ბურჟუაზიის კლასიური ინტერესები დაუპირდაპირდა რევოლიუციას და მან არჩია საწინააღმდეგო პოზიციის დაჭერა.

როგორია ხვალინდელი დღის პერსპექტივები? არის ორი გზა, ორი პერსპექტივა: ან გაიმარჯვებს ჩინეთის ბურჟუაზია, რომელიც შეუხმატკბილდა საერთაშორისო იმპერიალიზმს, და შეეცდება რევოლიუციის სტაბილიზაციას განსაზღვრულ ბურჟუაზიულ დონეზე. ეს არის ჩინეთის კაპიტალისტური განვითარების გზა, კაპიტალისტური ურთიერთობის სტაბილიზაციის გზა, რომლის დროსაც ჩინეთის ბურჟუაზია განამტკიცებს ერთგვარ უფლებას თავისი საკუთარი პროლეტარიატის ექსპლოატაციისათვის, თავისი საკუთარი გლეხის ექსპლოატაციის გაძლიერებისათვის. ამის იქით კი აღარ წავა.

მაგრამ არის სხვა პერსპექტივა, ჩინეთის რევოლიუციის განვითარების პერსპექტივა პროლეტარული კალაპოტით.

ეხლა უხანში არის მემარცხენე გომინდანი, რომელსაც გამოეყო მემარჯვენე, არსებითად ბურჟუაზიული ფრთა. უხანში მემარცხენე გომინდანი არის გლეხთა აგრარული რევოლიუციის სიმბოლო. პროლეტარიატი, რომელიც მეთაურობს აგრარულ რევოლიუციას, რომელიც თავის ირგვლივ რაზმავს ჩინეთის გლეხობას, და ამით ქალაქების წვრილ ბურჟუაზიას და ინტელიგენციის იმ ელემენტებს, რომელნიც მზად არიან ემსახურონ მშრომელთა ინტერესებს,—ეს გომინდანი წარმოადგენს ჩინეთის რევოლიუციის, ჩინეთის აგრარული რევოლიუციის მთავრობას.

ცხადია, რომ განვითარების ეს მეორე გზა არა თუ შეუძლებელია, არამედ ყველა ფაქტები მოწმობენ, რომ სწორედ ეს გზა დამთავრდება უახლოესი გამარჯვებით, რომ ჩან-კაი-შის, რომელიც მეთაურობს ბურჟუაზიულ რეაქციას რევოლიუციის წინააღმდეგ, ჩან-კაი-შის, რომელიც ფიქრობს თავის ირგვლივ დარაზმოს რეაქციონური გომინდანი რევოლიუციონური გომინდანის წინააღმდეგ, ისეთივე ბედი ეწევა, როგორც კადეტურ მთავრობებს კოლჩაკის, დენიკინის და ვრანგელის დროს.

უახლოესმა ხანამ რეალურად უნდა გვიჩვენოს, თუ როგორი სახით ჩამოყალიბდება ჩინეთის მებრძოლ მხარეთა ურთიერთობა. იმპერიალისტები, რომელნიც ზეიმობენ და ჩემბერლენის პირით სიხარულს გამოსთქვამენ ეროვნულ რევოლიუციონურ განმათავისუფლებელ მოძრაობის ვითომდა სრული დამარცხების გამო, სცდებიან თავიანთი ანგარიშით. მათი სიხარული ნაადრევია. ისტორიას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა და არავინ იცის, თუ როგორი განწყობილება ექნება ჩემბერლენს ხვალ. ეხლანდელ სიხარულს ბოლოს მოუღებს ჩინეთის რევოლიუციის ის გამარჯვება, რომელიც მოხდება ამ ახლო მომავალში. უხანის მთავრობამ მობილიზაცია უყო თავის ძალებს, იგი რაზმავს ამ ძალებს პეკინზე გალაშქრებისათვის, ე. ი. იმ ბუდის წინააღმდეგ, სადაც მოკალათებულია იმპერიალისტები, რომელნიც თავისი, ჩან-ძო-ლინის და ჩან-კაი-შის ხელებით ფიქრობენ ჩინეთის რევოლიუციის ჩახშობას.

ამიტომ ამ დროს დაბნეულობის გამოჩენა, იმის თქმა, რომ ჩვენ ეხლა ჩინეთში გვაქვს ისეთი მდგომარეობა, რომ უნდა გავიდეთ გომინდანიდან, რომ უნდა დავემყაროთ საბჭოებს ეროვნული ჯარების ზურგს,—ჩვენი პარტიის ოპოზიციის ნაშთებს თუ „შეშვენის“. სწორედ ამ საკითხში ჩვენი ოპოზიცია არა მარტო სავსებით მოსწყდა პროლეტარული მასების ცხოველ მყოფელ გავლენას, არამედ მას სრულიად გამოეცალა ნიადაგი, ვინაიდან არ შეიძლება ლენინიზმმა 1927 წელში არ იცოდეს, თუ რა არის საბჭოები, არ ჰქონდეს წარმოდგენა იმაზე, თუ როდის უნდა მოეწყოს ისინი. ეს ნიშნავს ლენინიზმისაგან სრულ ჩამოშორებას. საბჭოები ჩინეთში იქნება აჯანყების ორგანოები და უშუალო მმართველობის ორგანოები პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ. წარმოიდგინეთ პროვინცია, სადაც მართავს რევოლიუციონური გომინდანი კომუნისტებთან ერთად და მათ ზურგს უკან იქმნება საბჭოები. საკმაოა წარმოვიდგინოთ ეს, და ნათელი გახდება, რომ ასეთი ნაბიჯი საუკეთესო შემთხვევაში იქნება გულუბრყვილო კონტრ-რევოლიუციონური. გომინდანიდან გამოსვლა ნიშნავს იმას, რომ ეს, ყველაზე უფრო პოპულარული პარტია ჩინეთში დაუტოვო მემარჯვენეებს, დასტოვო იმპერიალიზმის ჩასაყლაპავად, დასტოვო უკეთესშემთხვევაში საშინელ მძიმე მდგომარეობაში. ჩინეთის კომუნისტურ პარტიას გომინდანში უდიდესი გავლენა აქვს და ამით მას აქვს გავლენა რევოლიუციონური ბრძოლის ბედ-იღბალზე ჩინეთში.

აქედან გამოსვლა ნიშნავს გომინდანის დასუსტებას და, მაშასადამე, რევოლიუციის დაუძლურებას.

მათ ეს ჩვენი პარტიის „სიწმინდისა და უბიწოებისათვის“ უნდა გააკეთონ?

განა ბრძოლის დროს საკავშირო კომუნისტურ პარტიას, ყველაზე წმინდა პარტიას მარქსიზმისა და რევოლიუციონური ლენინიზმის თვალსაზრისით, არ ჰქონდა რევოლიუციის განვითარების განსაზღვრულ საფეხურებზე, განსაზღვრული კავშირი არაკომუნისტურ ელემენტებთან, მემარცხენე ესერებთან? განა 17 წელში მან უარჰყო ბლოკი მემარცხენე ესერებთან, ბლოკი რევოლიუციის განსაზღვრულ საფეხურში?

თუ ამას ჩვენში ჰქონდა ადგილი, ჩვენში სადაც ქვეყნის შიგნით არ ყოფილა უცხოეთის იმპერიალიზმი, სადაც არსებობდა მხოლოდ მშობლიური ბურჟუაზია, რომელიც ემყარებოდა საკუთარ მრეწველობას, სადაც გვყავდა საკმაოდ ძლიერი მუშათა კლასი, ამავე დროს გვყავდა გამობრძმედილი ბოლშევიკური პარტია, და ისეთი ბელადი, როგორც ლენინი, თუ ჩვენ ასეთ პირობებში დაუშვით ბლოკი და შეთანხმება ხალხოსნურ რევოლიუციონურ პარტიასთან რევოლიუციის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, მით უმეტეს ჩინეთისათვის ბუნებრივია ასეთი ბლოკი. ჩინეთი იმყოფება იმპერიალისტურ გარემოცვაში, მისი მრეწველობა უცხოელების ხელშია, იქ არ არის ძლიერი კომპარტია და მას არ ჰყავს ისეთი ბელადი, როგორც ლენინი, ლენინის სახელი იქ მხოლოდ გაგონილი აქვთ (ჩინელი მუშის ლი-ჩანის სიმღერიდან). ასეთ ქვეყანაში კომუნისტებისათვის წინადადების მიცემა, რომ ისინი გამოვიდენ გომინდანიდან, უკეთეს შემთხვევაში არის წინდაუხედაობა, ხოლო არსებითად კონტრ-რევოლიუციის დამხმარე აქტი. პირველ რიგში ამ წინადადებას აყენებენ ყველა ქვეყნების იმპერიალისტები, ამასვე ცდილობენ ჩემბერლენი და ჩან-კაი-შიც. თქვენ ალბად წაიკითხავდით ჩან-კაი-შის წერილს მისი არმიის მე-6 კორპუსის უფროსისადმი, სადაც ის გასაგები სიტყვებით გამოსთქვამს თავის დამოკიდებულებას ჩვენს ოპოზიციასთან. ჩან-კაი-ში ამბობს, რომ ის წინააღმდეგია საკ. კომ. პარტიის „მემარჯვენე“ ფრთის, რომელსაც სტალინი უდგას სათავეში, წინააღმდეგია იმიტომ, რომ თუმცა ეს ფრთა ჩინეთის ეროვნულ განთავისუფლებას ემხრობა, მაგრამ სამაგიეროდ არ ემხრობა კომუნისტების გამოსვლას გომინდანიდან, და დასძენს, რომ ის მზად არის ითანამშრომლოს საკ. კომ. პარტიის „მემარცხენე“ ფრთასთან, ტროცკისა და ზინოვიევის მეთაურობით, იმიტომ, რომ ისინი ემხრობიან კომუნისტების გამოსვლას გომინდანიდან“.

ნათლად და გარკვეულადაა ნათქვამი, ის რაც სასარგებლოა ჩემბერლენისა და მეორე ინტერნაციონალისათვის ,ამჟამად სასარგებლოა, აგრეთვე, ჩან-კაი-შისათვისაც. მაგრამ ბანს რატომ უნდა აძლევდეს ამას ჩვენი ოპოზიცია?

ჩვენი პარტია, მისი ხელმძღვანელი ორგანოები გადაჭრით ილაშქრებენ ჩვენი ოპოზიციის ასეთი, არა მარტო შემცდარი, არამედ პირდაპირ დანაშაულებრივი წინადადების წინააღმდეგ, და სცნობენ, რომ ხალხის მასების სწორ ტაქტიკურ ორიენტაციას ჩინეთში წარმოადგენს ორიენტაცია კომინტერნისა და ჩინეთის კომპარტიის უკანასკნელი ყრილობის რეზოლიუციებზე.

ძალიან გართულებულია ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ იმდენად დიდია ოქტომბრის გრიგალის ძალა ჩინეთში, რომ ძალიან ძნელია რევოლიუციონური ძალების ჩაყრა იმპერიალისტურ იატაკ ქვეშ .არავინ არ იკვებავს თავს ნუგეშით, რომ ჩინეთის რევოლიუცია, ეს აღმოსავლეთის მძლავრი მოძრაობა, რომლის მიზანია ხალხისა და სამეურნეო მასის ჩამოგლეჯა ბურჟუაზიულ მსოფლიოსაგან, რომ ეს რევოლიუცია მხოლოდ გამარჯვებული ივლის წინ, ჩვენ ვიცით, აგრეთვე, რომ ეს რევოლიუცია დროებით დამარცხებასაც იგემებს. ოქტომბრის რევოლიუცია ჩვენ დავიწყეთ უფრო ხელსაყრელ პირობებში, როდესაც იმპერიალისტები სჭამდენ ერთი მეორეს; მიუხედავათ ამისა ჩვენ უდიდესი წინააღმდეგობები გველოდენ სამოქალაქო ომისათვის მრავალი შინაგანი ღალატის სახით; ვრანგელთან და კოლჩაკთან ბრძოლის დროს იმდენი უბედურობა დაგვატყდა თავზე, რომ საეჭვო ხდებოდა ჩვენი რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება, რომ ლენინი იძულებული ხდებოდა დაეწყო მოლაპარაკება რუსეთში არსებულ თეთრგვარდიელთა მთავრობების ცნობის გარშემო, რომ რუსეთის მთელი ნედლი მარაგის თავდებობის ქვეშ ის იძულებული იყო ეთხოვა ზავი ან დროებითი შეთანხმება, მით უმეტეს გასაკვირალი არ იქნება ჩინეთის რევოლიუციის დროებითი დამარცხებები, როდესაც მას დაპირდაპირებული აქვს ერთიანი იმპერიალისტური ფრონტი და არსებითად მე-2 ინტერნაციონალის ფრონტი. აქ უთვალავ წარმოუდგენელია განუწყვეტელ გამარჯვებათა პირდაპირი გზა. მაგრამ გამარჯვება მაინც იქნება და ის შექმნის ჩინეთის არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობას, ჩინეთის, რომელიც იმყოფება არა მარტო ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ გარემოცვაში, არამედ ჩვენი საბჭოთა კავშირისა და კოლონიების გარემოცვაშიც, იმ კოლონიების, სადაც უკვე დუღს ისტორიის ქვაბი და სადაც მზადდება ჩინეთში მომხდარი ამბების განმეორება.

თუ ამ თვალსაზრისით მიუდგებით ინგლისის მთავრობის მოქმედებას, მაშინ, რასაკვირველია, სავსებით გასაგები გახდება ის, რაც ამ დღეებში—ლონდონში, ხოლო ცოტა ადრე—პეკინში მოხდა. ისტორიის მიერ ჩიხში მომწყვდეული მთავრობა, ისეთი გემრიელი ლუკმის, როგორც ჩინეთია, ხელიდან გავარდნის წინ მზად არის ყოველგვარ ავანტიურაზე.

პეკინში ჩვენს წარმომადგენლობაზე მოხდენილი თავდასხმა არის ავანტიურისტების პირველი ცდა, რომ გამოგვიწვიონ ჩვენ, მაგრამ ჩვენ საკუთარი წარმოდგენა გვაქვს „პრესტიჟზე“, რომ ანგარიში გაუწიოთ მათ ასეთ ხრიკებს, ამით ისინი ვერ გვაიძულებენ ომში გამოწვევას.

ინგლისის იმპერიალიზმი და ფაშიზმი უფრო შორს მიდის; ხუნხუზურ თავდასხმას ჩვენს წარმომადგენლობაზე ის უკვე ლონდონში იმეორებს. ეს არის პროვოკაციის იმ სისტემის გაგრძელება, რომელიც შეითვისა ინგლისის მთავრობამ; ინგლისის მთავრობას სურს გვაიძულოს ისეთი კონტრ-ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც გამოიწვევენ ქაოსს და რომლის დროსაც ის მოიგებს ისტორიული სიცოცხლის ზედმეტ წუთს.

და აქაც ჩვენ არ გამოვალთ პრესტიჟის მოსაზრებებიდან, ამიტომ ძნელი იქნება, საბჭოთა კავშირის წამოგება ამ ანკესზე. ჩვენ არ ვმალავთ ახალი პროვოკაციის სერიოზულ მნიშვნელობას, ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ჩვენს სავაჭრო კავშირს ინგლისთან. ჩვენი კავშირი, ჩვენი მთავრობა, რომელიც იცავს კავშირის ინტერესებს, მუშებისა და გლეხების ინტერესებს, რომლების წარმომადგენელიც ის არის, ღირსეულ პასუხს გასცემს ინგლ. მთავრობის ამ ახალ პროვოკაციას. ჩვენ საქმე გვაქვს გააფთრებულ კლასთან, რომელიც გრძნობს რა თავისი უკანასკნელი წუთების მოახლოვებას, აღარ ერიდება არავითარ საშუალებას და სადაც კი შეუძლია ცოფმორეული თავს ესხმის „მტერს“. საბჭოთა კავშირი არ წამოეგება ამ პროვოკაციაზე, ვინაიდან მის წინაშე მდგარი ამოცანები უფრო მკვიდრი ხასიათისაა, ვიდრე რაღაც ქინძისთავისებური ჩხვლეტა, რომლითაც ფიქრობს ჩვენს მოსპობას ბოლდუინისა და ჩემბერლენის მთავრობა. საბჭოთა კავშირი არ წამოეგება ამ პროვოკაციაზე. მაგრამ ამასთან ერთად ის გამოიტანს ყველა საჭირო დასკვნებს, რომლებიც უნდა გაკეთდეს ინგლისის კონსერვატორ ფაშისტების განზრახვებიდან—ავანტიურებითა და პროვოკაციებით გააკეთონ ის, რის გაკეთებაც ვერ მოახერხეს მშვიდობიანი ურთიერთობის გზით ჩვენთან, ჩვენი პოლიტიკური წყობილების და მეურნეობის ეკონომიური დაძლევის გზით.

ჩვენი ძალა—ჩვენს სოციალისტურ მეურნეობაშია

იზრდება ჩვენი ეკონომიკა. ჩვენი მეურნეობა უფრო და უფრო მტკიცე ნიადაგს ჰქმნის, ის ვითარდება სოციალისტური მიმართულებით. ამასთან ერთად ჩვენი პოლიტიკური სიმტკიცე ცხადია ყველასათვის—როგორც მოყვრების, ისე მტრებისათვისაც.

უკანასკნელ ხანებში, თქვენ, ალბად, აქტიური ან პასიური მონაწილე იქნებოდით იმ მრავალრიცხოვანი ყრილობების, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა, იქნებოდით მონაწილე ამიერ-კავკასიის და, ბოლოს, სრულიად საკავშირო ყრილობების, რომლებიც წარმოადგენდენ ჯამის გამკეთებელ ყრილობებს და რომლებზედაც ერთგვარი ბალანსი უკეთდებოდა ჩვენს განვითარებას როგორც შინაური პოლიტიკურ საკითხების დარგში, ისე სამეურნეო ხასიათის საკითხების დარგშიც. ეს მე საშუალებას მაძლევს დაწვრილებით აღარ შევჩერდე იმ საკითხებზე, რომლებიც ჩემი მოხსენების ამ ნაწილში შედის. ჩვენს სამეურნეო მშენებლობას მტკიცე ნიადაგი აქვს მომზადებული; ამ დარგში ჩვენ არა თუ ვისწავლეთ მშენებლობა, არამედ ურწმუნონიც კი დავარწმუნეთ ამაში. რესპუბლიკური ყრილობები და ამიერ-კავკასიის ყრილობა მიესალმენ ჩვენი ინტელიგენციის ახალ რაზმებს, რომლებმაც გულწრფელად გაუწოდეს ხელი საბჭოთა ხელისუფლებას და აღუთქვეს მას არა მარტო ლოიალური თანამშრომლობა, არამედ მასთან ერთად წინსვლა სოციალიზმისაკენ.

ეს სასიხარულო მოვლენა ანარეკლია იმ მიღწევების, რომლებიც გვაქვს ჩვენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს აგრეთვე მეორე დარგშიც — ჩვენი რესპუბლიკების პოლიტიკური ურთიერთობის დარგში. უკანასკნელმა საბჭოთა არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, უფრო განმტკიცდა, რომ ის უფრო დაუახლოვდა მუშათა კლასს და გლეხობას, ამ უკანასკნელის უღარიბეს, საშუალო და მოჯამაგირე ნაწილს. ამიერ - კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში და მთლიანად ამიერ - კავკასიაში ჩატარებულმა არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ გაიზარდა მოსახლეობის ყველა ფენების აქტივობა, განმტკიცდა სოფლის კულაკური ნაწილიც, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოფლის მოჯამაგირე ნაწილის მდგომარეობა.

მართალია, ჩვენ გადაჭრილათ არ ვთვლით ჩვენს წინაშე მდგარ ყველა ამოცანებს, რადგან ღარიბი გლეხობა არ არის ყოველგან იმდენად განმტკიცებული და ყოველგან იმდენად არ გამოუჩენია მას თავისი პოლიტიკური სახე, რომ შეეძლოს სოფლად ხელმძღვანელობის გაწევა, შეეძლოს თავის გარშემო სოფლის საშუალო ნაწილის თავმოყრა. მაგრამ უკვე დაიწყო პროცესი, დასახა ტენდენცია და ჩვენი შემდეგი ამოცანა იქნება, რომ მეურნეობის სწორი ხელმძღვანელობის გზით, სწორი პოლიტიკის გზით განვამტკიცოთ ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხობასთან და ამითვე გავაძლიეროთ ის ძირითადი ძალები, რომლებიც ჰქმნიან სოფლის პოლიტიკურ და სამეურნეო მდგომარეობას. ამითვე განვამტკიცოთ ქალაქის პროლეტარიატის კავშირი სოფლის გადამწყვეტ ძალასთან.

ეს ამოცანა — მთელ რიგ/წლების ამოცანაა. ჯერ-ჯერობით არჩევნების შედეგმა გვიჩვენა ერთგვარი მიღწევა მოსახლეობის ყველა ფენების აქტივობის გამოღვიძების დარგში, და ჩვენი მოვალეობაა — ისე ვაწარმოოთ ჩვენი შემდეგი მუშაობა, რომ ეს აქტივობა დავდოთ სასწორის რევოლიუციისა და სოციალისტური მშენებლობის მხარეზე, რომ სასწორის მეორე მხარე, სოფლის კულაკური ელემენტებისა და ქალაქის ანტისაბჭოთა ელემენტების მხარე დაძლეულ იქნას სოფლის ღარიბი, საშუალო გლეხობის, პროლეტარიატის, მის გვერდში ამომდგარ ქალაქის ინტელიგენციისა და წვრილი მშრომელი ხალხის მიერ.

მაგრამ რა გვინერგავს იმის იმედს, რომ გადაწყვეტილი იქნება ეს ამოცანა, რომელიც არსებითად წარმოადგენს ოქტომბრის გამარჯვების ბოლომდე მიყვანის ამოცანას? ეს არის ჩვენი მეურნეობა, ჩვენი მეურნეობის მიღწევები.

ეხლა ჩვენ აღარ წარმოვადგენთ ისეთ ქვეყანას, რომელიც ოცნებობდა პურზე და მტკიცე ფულზე, არა ისეთ ფულზე, რომელიც ყოველ 5 წამში ეცემოდა.

ჩვენი სამეურნეო ფრონტის მრავალ ადგილას ჩვენ სრულ გამარჯვებას მივაღწიეთ. ჩვენ არ დავანებებთ გენუაში და არც დავანებებთ ჟენევის კონფერენციაზე ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, რომელიც ჩვენი მეურნეობის ფარს, ჯავშანს წარმოადგენს. ამ ფარს ამოფარებულმა ჩვენ ისე გავაჯანსაღეთ ჩვენი მეურნეობა, რომ აღარ ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ უზრუნველვყოთ საკუთარი თავი პურის საკმაო რაოდენობით; აღარ ვლაპარაკობთ, არამედ უკვე ვანხორციელებთ ინდუსტრიალიზაციის პროგრამას, ე. ი. ვჰქმნით მტკიცე ნიადაგს, რომელზედაც საბოლოოდ უნდა ავაგოთ ჩვენი კომუნისტური წყობილება, რომელსაც ჯერ-ჯერობით არა აქვს მტკიცე დასაყრდენი მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის სახით; ეს უკანასკნელი კი საერთოდ გვხსნის უცხოეთისაგან დამოუკიდებლად და სწყვეტს კომუნიზმის მშენებლობისათვის მტკიცე საძირკვლის ჩაყრის ამოცანას.

წელს ჩვენი მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობისათვის ჩვენ განზრახული გვაქვს გადავდოთ 1.150.000.000 მანეთი, ხოლო თუ ამას მოუმატებთ მთელი მეურნეობისათვის გადადებულ თანხას, მივიღებთ 2 ნახევ. მილიარდ მანეთს. ეს საკმაოდ დიდი თანხაა, აქ ჩვენ ისეთი ტემპი გვაქვს, რომელიც არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არა აქვს. საბჭოთა ინდუსტრიის ტემპი ჩქარი და ჯანსაღია, მაგრამ ინდუსტრიის განვითარების ეს ტემპი აყენებს ახალ დამატებით ამოცანებს.

წარმოებისა და განაღდების რაციონალიზაცია

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ წინსვლაში, ახალი სოციალისტური მეურნეობის ამ მშენებლობაში ადგილი აქვს ზოგიერთ არა ჯანსაღ მოვლენებს, რომლებიც ჩვენი ფრონტის ზოგიერთ ადგილებში აფერხებენ ჩვენს წინსვლას. ჩვენი მეურნეობის რაციონალიზაციას, მის მექანიზაციას უნდა გამოეწვია შრომის ნაყოფიერების ზრდა, ხოლო აქედან პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. დღემდე ამ მხრივ არაფერი წინსვლა არ გვეტყობა, ხოლო ჩვენი ინდუსტრიის ზოგიერთ ნაწილში კი ადგილი აქვს უკუღმა პროცესს. ამჟამად ჩვენი პარტიის დამატებით პროგრამას მთელ რიგ წლებისთვის წარმოადგენს ფასების დაკლება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ივნისისათვის მარტო საცალო ფასები უნდა დავაკლოთ, არა, ფასების დაკლების საკითხი უფრო ღრმაა და ის მთელ რიგ ამოცანებს შეიცავს.

ვისაც წაკითხული აქვს მარქსის „კაპიტალი“, მას ეცოდინება ერთი ფორმულა მეორე ტომის თავში ფ-ს.. მ... ს₁—ფ. ამ ფორმულაში მოცემულია საქონლის წარმოების მთელი მოძრაობა. თუ ჩვენ წარმოებაზე ვაბანდებთ ფულის განსაზღვრულ თანხას და საბოლოო ანგარიშით ვიღებთ დამზადებულ საქონელს და ამ უკანასკნელს ისევე ფულად ვაქცევთ, მაშინ ამ პროცესის ორი პოლიუსი, ე. ი. ჩვენი მრეწველობისათვის ნედლეულის მიწოდება, ამ ნედლეულის გადამუშავება წარმოების პროცესში და მზა საქონლის სახით მომხმარებლისათვის მისი მიწოდება, უნდა მოეწყოს და გაუმჯობესდეს ისე, რომ რაც შეიძლება შემცირებულ იქნეს მანძილი ნედლეულიდან მზა ფაბრიკატის მომხმარებლამდე. ამ ფორმულაში შედის „წარმოებითი პროცესის“, საქონლის ბრუნვის პროცესის რაციონალიზაცია.

ჩვენ უნდა მოვახდინოთ სათანადო არხების ნამდვილი წმენდა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ წარმოებებს ვერავითარ რაციონალიზაციას ვერ მოვახდენთ და, მაშასადამე, ვერც სოციალისტურ საზოგადოებას ავაშენებთ. მე ვიმეორებ, რომ ძალიან ფართეა ფასების დაკლების ამოცანა. ვინაიდან ის არის ჩვენი მრეწველობის გაჯანსაღების არა მარტო შედეგი, არამედ საფუძველიც. საჭიროა არა მარტო საქონლის გამტარებელი გზების, არა მარტო ჩვენი საბჭოთა აპარატის რაციონალიზაცია, არამედ ჩვენი წარმოების რაციონალიზაციაც. ხანდისხან ისეთ შემთხვევებსაც აქვს ადგილი, რომ მიუხედავათ დაბანდებულ დიდ თანხებისა, მიუხედავათ ახალი მოწყობილობისა და მექანიზაციის, პროდუქციის თვითღირებულება მაინც ძველ დონეზე რჩება. ალაგ-ალაგ რაციონალიზაცია მოითხოვს მუშების არსებულ კადრის შემცირებას, ხოლო ეს კადრი კი არ მცირდება და განაგრძობს არსებობას ფაბრიკის ხარჯზე.

ჩვენ, პოლიტიკოსები, კომუნისტები, კომკავშირელები და საბჭოთა მოქალაქეები ფხიზლად, და არა შეცოდებითა ან სიბრალულის გრძნობით, უნდა მიუდგეთ ამას.

ჩვენ ვიცით, რომ ზურგზე ავიკიდეთ ტვირთი, რომელიც ბოლომდე უნდა მივიტანოთ. სინამდვილეს ფხიზელი თვალით უნდა ვუყურებდეთ. რაციონალიზაცია სხვათა შორის მოითხოვს მუშების არსებულ კადრების ერთგვარ შემცირებას; ეს მუშები გამოყენებულნი უნდა იქნენ იმავე წარმოების გასაფართოვებლად, რომელშიაც ისინი მუშაობენ, ან კიდევ სხვა წარმოებაში უნდა იქნენ გადაყვანილი, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, შემცირება უნდა მოხდეს და მუშათა კლასი უნდა დაეთანხმოს ამას, წინააღმდეგ შემთხვევაში მრეწველობისა და წარმოების გაჯანსაღება განუხორციელებელ ამოცანად დარჩება. დროებითი მსხვერპლი აუცილებელია მუშათა კლასის სრული გამარჯვებისათვის.

ზოგჯერ რაციონალიზაციის ინტერესები, რასაკვირველია, მტკივნეულ გავლენას ახდენენ თქვენს ძმებზე, მოზარდ მუშებზე წარმოებაში, მაგრამ აქაც საჭიროა ფხიზელი მიდგომა, მთელი არსებული პირობების, უახლოეს და საბოლოო მიზნების გათვალისწინება. უამისოდ ჩვენ წინ ვერ წავალთ. სოციალისტური რაციონალიზაციას აქვს არა მარტო ვარდები, არამედ ეკლებიც, რომლებიც ჩხვლეტენ მუშა ახალგაზრდობის ნაწილს. თუ საკითხს ასე არ მოუდექით, ჩვენ ვერ ვიქნებით კარგი პოლიტიკოსები და ნამდვილი სამეურნეო მუშაკები, რომლებიც წარმოებისათვის პასუხისმგებლები ვართ არა მარტო საბჭოთა ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის წინაშე, რომელიც თვალყურს ადევნებს ჩვენს მიღწევებს.

ჩვენ მიზნად უნდა ვისახავდეთ იმას, რომ ჩვენი საკუთარი ცოდნით, გამჭრიახობით და დროებით მსხვერპლის გაღების აუცილებლობის შეგნებით მივაღწიოთ რაციონალიზაციას; ამიტომ ამ საკითხს უნდა მიუდგეთ დაკვირვებულად და გონიერად, უნდა გავითვალისწინოთ ყველა პერსპექტივები, დღევანდელი დღის ყველა უსიამოვნებები და გაჭირვება, რაც ხვალ ნაყოფს მოუტანს მთელს მუშათა კლასს. მოიგონეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდი, როცა ჩვენი მუშა ახალგაზრდობა დიდ გაჭირვებაში იყო და როცა თავი იჩინა ძალიან მავნე გადახრამ, რომელმაც ალაგ-ალაგ გამოიწვია არა სალი მოვლენები — ახალგაზრდობის ნაწილის ჩამოშორება კავშირიდან. მაგრამ ჩვენმა ხაზმა გაიმარჯვა, ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გვიჩვენა მეორე მხარე, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი მეურნეობის სოციალისტური აღორძინება. რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ არა თუ მოვღონიერდით, არამედ შევუდექით ინდუსტრიალიზაციას. ამ დროს შეცდომის დაშვება, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის შეცდომების განმეორება დაუშვებელი და მიუტევებელია. მე ამ დარგისაკენ მივაქცევ კომკავშირელების ყურადღებას. პარტიამ აიღო მტკიცე კურსი სახელმწიფო აპარატის, საქონლის გამტარებელ ქსელის და თვით წარმოების რაციონალიზაციაზე. ამ რაციონალიზაციის გზაზე ჩვენ შესაძლოა წავაწყდეთ ისეთ მდგომარეობას, როცა საჭირო იქნება დროებით მუშათა კლასის და მუშა ახალგაზრდობის ამა თუ იმ ნაწილის ინტერესების მსხვერპლად მიტანა, რომ ხვალ გვქონდეს რეალური, უეჭველი მიღწევა მთელი მუშათა კლასისათვის. ამიტომ, ამ დარგში ჩვენ აქ ბოლომდი უნდა მივიდეთ, ერთიანი ფრონტით, კომუნისტური, კომკავშირული ფრონტით გავლენა უნდა მოვახდინოთ მთელი ჩვენი საბჭოთა ოჯახზე, მთელი ძალღონე ამ პრობლემისაკენ უნდა მივმართოთ და უნდა გადავსჭრათ ის უახლოეს ვადაში, ვინაიდან ეს ამოცანა გვიანდერძა ლენინმა და დაადასტურა მე-15 პარტკონფერენციამ; მინიმალურ ისტორიულ ვადაში ჩვენ არა თუ უნდა გავუსწოროთ, არამედ კიდეც უნდა გაუსწროთ მოწინავე ქვეყნებს. ამ უდიდესი ამოცანის გადაჭრა მოითხოვს ჩვენგან ბრძოლას, ერთგვარ მსხვერპლის გაღებას. ბრძოლას ჩვენ შეჩვეული ვართ, მაგრამ ამავე დროს მზად უნდა ვიყოთ იმ აუცილებელ მსხვერპლის გასაღებად, რომელიც ხვალისათვის უზრუნველყოფს ჩვენს საბოლოო გამარჯვებას.

ვფიქრობ, რომ თუ ფასების დაკლების, წარმოების და მთელი ჩვენი სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის საკითხებში ჩვენ გამოვიჩენთ არა მარტო კეთილ სურვილს, არამედ ჩვენს კომუნისტურ ნებისყოფას, მტკიცე გადაწყვეტილებას ვიბრძოლოთ მთელი ფრონტით, ეს იქნება იმის მომასწავებელი, რომ გამარჯვება უზრუნველყოფილია. ვინაიდან, თუ ჩვენ გადავსჭრით ფასების დაკლების, ჩვენი მრეწველობის გაჯანსაღების პრობლემას, ეს იქნება იმ ამოცანის გადაჭრა, რომელზედაც დამოკიდებულია საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვება, მისი კავშირის განმტკიცება გლეხობასთან, რომელმაც სცნო მუშათა კლასის წინამძღოლობა და ხელმძღვანელობა, რომელიც დარწმუნებულია, რომ ბოლშევიკები კარგი ხალხია, რომ ისინი საუკეთესო მებრძოლები არიან მემამულეების, კაპიტალისტების, მღვდლების, იმპერიალისტების წინააღმდეგ, მაგრამ გლეხი მოელის ასეთსავე თავდადებას, ასეთსავე უნარს კომუნისტურ პარტიისაგან სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის დარგშიაც. ჩვენ საერთოდ ვისწავლეთ მშენებლობა, მაგრამ ეხლა უნდა ვისწავლოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უფრო მომჭირნეობით მშენებლობა, მეტი მომჭირნეობით დამზადება იმისი, რაც ესაჭიროება გლეხს, როგორც მომხმარებელს, თავის მეურნეობაში. ჩვენ არ გვაქვს საგარეო ბაზარი, ჩვენი მრეწველობა შინაურ ბაზრებს ემყარება. ამ ბაზრების ტევადობაზეა დამოკიდებული თვით ჩვენი მრეწველობის არსებობაც. ამიტომ საერთო ინტერესს, საერთო სარგებლობას წარმოადგენს უფრო მეტი მომჭირნეობის შეტანა წარმოებაში. ფასების დაკლება უფრო და უფრო გააფართოვებს ჩვენი მრეწველობის მომხმარებელთა წრეს და გაადიდებს ჩვენი შინაური ბაზრის ტევადობას. ეს გავლენას იქონიებს ჩვენს მრეწველობაზე, ჩვენს შემდგომ განვითარებაზე. ამიტომ აქ ჩვენ მაგრად უნდა მოვიკიდოთ ფეხი, თავს უნდა ვგრძნობდეთ მტკიცედ, უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ამით დამატებითი ამოცანების გადაჭრა უფრო ადვილი იქნება და მტკიცე ნაბიჯებით გავსწევთ საბოლოო გამარჯვებისაკენ.

პოლიტიკურ დებოშს არ დაუშვებთ

რომ ზემოხსენებული ამოცანის გადაჭრა შეიძლება, — ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, ჩვენ მოგვეპოება ყველა წინასწარი პოლიტიკური პირობები ნაყოფიერი სამეურნეო მუშაობისათვის. ეს თუნდაც იქიდანაც სჩანს, თუ რას წარმოადგენს ამიერ - კავკასიის კონტრ - რევოლიუცია. როგორც იცით მას მისამართი საკმაოდ დაშორებული აქვს იმ პუნქტიდან, სადაც ის ბატონ - პატრონად სთვლის თავს. ეს მისამართი არის ვარშავა, პრაღა, სტამბოლი, თავრიზი, —ამაზე ახლოს არ არის.

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების შიგნით ამ კონტრ - რევოლიუციას ამჟამად არ აქვს ის ნიადაგი, რომელიც საშუალებას მისცემდა ეფიქრა რამე სერიოზულ გამოსვლებზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. არ შეიძლება თვალის დახუჭვა იმაზე, რომ ბევრია უკმაყოფილო საბჭოთა ხელისუფლებით, მთელი წოდება ჩვენგან შეურაცხყოფილია, მთელი კლასი ექსპროპრიაციაქმნილია ჩვენს მიერ ეკონომიურად და პოლიტიკურად. მაგრამ ამ შეურაცხყოფილ ფენებს, ყოფილ მემამულეებს, ყოფილ კაპიტალისტებს არ აქვთ საკუთარი კლასიური ძალა, არ აქვთ კლასიური ხერხემალი. მათ არ შეუძლიათ ფიქრი შინაურ ბრძოლაზე, კლასიურ ძალთა გადაჯგუფებაზე. მაგრამ ამ კონტრ - რევოლიუციას აქვს იმედი, რომ ლონდონიდან, პარიზიდან, ვარშავიდან და სხვ. მიღებული „ძმური“ დახმარებით ისინი მოახერხებენ უკმაყოფილო ელემენტების ნაწილის მობილიზაციას, რამე პოლიტიკურ დებოშისათვის. საერთოდ ჩვენი სამხრეთი ზოგჯერ ვიღაცაებს აქეზებს დებოშისაკენ. ზოგჯერ ეს დებოში ატარებს ქუჩურ, პოლიციურ, სისხლის სამართლის ხასიათს, მაგრამ ხომ შესაძლებელია პოლიტიკური დებოშიც? ეს დებოში შესაძლებელია, მით უფრო, რომ ის საზრდოობს ოქროთი, რომელიც ჯერ-ჯერობით აქეთ იგზავნება გაზეთების, ჟურნალების სახით, ისეთი „ნაციონალური“ პარტიების (პარიზში) ჟურნალ-გაზეთების სახით,რომელთაც იმდენი წევრიც არ გააჩნიათ, რომ საზღვარ - გარეთის ბიურო ან კომიტეტი შეადგინონ. მაგრამ ეს ნაციონალ-დემოკრატები და მენშევიკები, ცალ-ცალკე და „წმინდა გიორგის“ ფაშისტებთან კავშირში, ყველა ჯურის დაშნაკელები ამჟამად იწყებენ ჩხირკედელაობას, ფიქრობენ დებოშის მოწყობას, ვინაიდან უფრო რამე სერიოზულისათვის ძალები არ გააჩნიათ. ჩვენ ვებრძვით პოლიტიკურ, ქუჩურ, სისხლის სამართლის ხასიათის დებოშებს, მით უფრო წინ უნდა აღუდგეთ ყოველგვარ პოლიტიკურ დებოშის მოხდენის ცდას ჩვენში. ყოველგვარ ცდას მოახდინონ ჩვენში დებოში იმპერიალისტების დავალებით, ჩვენ ღირსეულ პასუხს გავსცემთ. მთელი ჩვენი არსენალით თავს დავატყდებით ყველას, ვინც მოინდომებს მუშურ - გლეხურ წესრიგის დარღვევას. დეე ამ წესრიგის დამრღვევმა გაიგოს ჩვენი მაგარი ხელის სიმძიმე, რომელიც მხრებზე დააწვება ყველა დებოშირებს.

მტერს-მტრულად, მეგობარს-მეგობრულად

ამ იმედით, ამხანაგო კომკავშირელებო შეუდგებით შემდგომ მუშაობას თქვენს კონფერენციაზე, რომელიც, იმედი მაქვს, დაწვრილებით განიხილავს ჩვენი პარტიისა და თქვენი კავშირის წინაშე არსებულ ძირითად საკითხებს და ამოცანებს. (ტაში).

იმედი გვაქვს, რომ თქვენი კონფერენციის მუშაობას დაამთავრებთ ერთსულოვანი შეგნებული დამოკიდებულებით იმ მაღალი მოვალეობისადმი, რომელიც ეკისრება თქვენი კავშირის თვითეულ წევრს.

თქვენ პირველ რიგებში უნდა იბრძოდეთ რაციონალიზაციისათვის, გამხრწნელ ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების ყველა იმ ნაშთების აღმოსაფხვრელად, რომელთაც კიდევ ადგილი აქვთ ჩვენს საბჭოთა დაწესებულებებში, ფაბრიკებში, სავაჭრო ორგანიზაციებში.

თქვენ პირველ რიგებში უნდა იბრძოდეთ ამიერ - კავკასიის იმ ხალხთა ახალგაზრდობის კულტურული ზრდისათვის, რომლებმაც თავის ძლიერება ცხადყვეს მჩაგვრელ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და თავიანთი ძალები გაართიანეს ამიერ - კავკასიის ფედერაციის ძმურ კავშირში.

დეე, არ შესუსტდეს თქვენი ენერგია ყველა იმ სიძნელეების დასაძლევად, რომელთაც წააწყდებით თქვენს ძნელ გზაზე. მეგობარს მოეპყარით მეგობრულად, გაუწოდეთ მას ხელი იმისათვის, რომ გასწიოთ წინ სოციალიზმისაკენ, ხოლო ბოროტ მტერს, რომელიც შეეცდება თქვენი გზის გადაჭრას, მოექეცით ისე, როგორც ამას გავალებთ თქვენი კავშირის „სიმბოლო სარწმუნოებისა“: ხელი ყელში, ფეხით გულზე. (ხანგრძლივი მქუხარე ტაში).

თავდასხმის შემდეგ

პრესის გამოძახილი

ინგლისის პრესა

ლონდონი, 17 მაისი. ეხება რა მუშათა წრეების აზრს იმის შესახებ, რომ არკოსზე და საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის მზგავს მოქმედებას არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა სხვა სახელმწიფოების მნიშვნელოვან ორგანიზაციის შენობის მიმართ, „მორნინგ პოსტ“ სწერს:

„ჩვენ არ გავგზავნით პოლიციას მათი სეიფების გასახსნელად, ვინაიდან არ შეგვიძლია დავაბრალოთ მათ ქურდობა, ან შეთქმულების მოწყობა“.

მეორე ადგილას გაზეთი სწერს, რომ ხიქსის სიტყვა 19 მაისს თემთა პალატაში არ მოახდენს სენსაციას, ვინაიდან „ნაპოვნ დოკუმენტებს შორის ზოგიერთებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ და მათი გამოქვეყნება ზიანს მიაყენებდა საზოგადოების ინტერესებს“.

ლიბერალური „დეილი ნიუზ“ აცხადებს: „ხიქსის განცხადებამ თემთა პალატაში, რომ დაკარგული დოკუმენტი არკოსში არ აღმოჩნდა, ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო კონსერვატორები“.

მუშათა პარტიის ორგანო—„დეილი გერალდ“ აღნიშნავს, რომ არკოსის გაჩხრეკის დროს მთავრობამ უკუაგდო მეგობრულ სახელმწიფოებს შორის არსებულ თავაზიანობის ჩვეულებრივი წესები. „ეჭვს გარეშეა, სწერს გაზეთი, რომ „თავდასხმას არა მარტო ინგლისში, არამედ მთელ ქვეყანაში სთვლიან რუსეთის აშკარა შეურაცხყოფად“. გაზეთი აცხადებს, რომ თავდასხმის საკითხი რაც შეიძლება ფართოდ და ზედმიწევნით უნდა იქნეს განხილული კამათის საშუალებით თემთა პალატაში და, თუ საჭირო იქნება, სხვა მეთოდების საშუალებითაც (ადს).

საფრანგეთის პრესა

პარიზი, 17 მაისი. ხიქსის მიერ შეკითხვებზე გაცემულმა პასუხმა თემთა პალატაში აიძულა გაზეთები შეეწყვიტათ ანტი-საბჭოთა კამპანია. გაზეთები უკვე ავანსათ გამოსთქვამენ თავიანთ აზრს მოსალოდნელ მხილებათა შესახებ.

„არაფერი არ არის უფრო სასაცილო, სწერს „პოპიულერ“ (სოციალისტების ორგანო), ვინემ შუბლმაგართა განგაში ბოლშევიკურ პროპაგანდის შესახებ. ყველამ, ვინც განახლა ურთიერთობა რუსეთთან, იცოდა, რომ ბოლშევიკები არ შესწყვეტდენ პროპაგანდას. რაც შეეხება ჯაშუშობას, ამ საქმეს ეწევიან ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოები თვით მოკავშირე ქვეყნებშიაც კი. „ჯაშუშობას“ და „პროპაგანდას“ ინგლისი ამჟამად იყენებს საშინაო პოლიტიკურ მიზნებისათვის. ეს წინასწარი საარჩევნო მანევრია“.

ველური დიპლომატია

პარიზი, 17 მაისი. სოციალისტური პარტიის ორგანო „პეპლ“ სწერს: „ჩვენ გვაშინებს ინგლისის მთავრობის ცდა ჩაშალოს ურთიერთობა საბჭ. კავშირთან. უკეთესი იქნებოდა, რომ ინგლისის მთავრობას აშკარად ეკისრა პასუხისმგებლობა ურთიერთობის გაწყვეტისათვის და არ მიემართა ველური დიპლომატიური მეთოდებისათვის, რომლებიც დღემდი დაუშვებლად ითვლებოდა ცივილიზაციურ სახელმწიფოებში“.

ამერიკის პრესა

ჰკიცხავენ თავდასხმას

ნიუ-იორკი, 17 მაისი. ლიბერალური „ბალტიმორ სენ“ არკოსზე თავდასხმის შესახებ სწერს რომ, თუ არ იქნა წარმოდგენილი თავდასხმის მიზეზების დასაბუთებული ახსნა-განმარტება, ეს ნაბიჯი მიიღებს დიდი დიპლომატიური შეცდომის სახეს და ხელს შეუშლის მოლაპარაკებას ჟენევაში“.

ლიბერალური „ნიუ-იორკ ტელეგრამ“ აცხადებს, რომ თავდასხმა საფრთხეში აგდებს საყოველთაო მშვიდობიანობას (ადს).

რას წარმოადგენდა „დაკარგული დოკუმენტი“

ბერლინი, 18 მაისი. ნაციონალისტების ორგანო „დერ ტაგ“ იტყობინება, რომ გუშინ საღამოს ბერლინის დიპლომატიურ წრეებში გავრცელდა ხმა, თითქოს ინგლისის პოლიცია არკოსში ეძებდა დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენდა ინგლის-საფრანგეთის გალაშქრების გეგმას გერმანიაზე და საბჭოთა კავშირზე და ჯარების გადაყვანის გეგმას გერმანიის ტერიტორიაზე, თუ ვინიცობაა გერმანია პირს იბრუნებდა ლოკარნოდან და უფრო ახლო თანამშრომლობას დაიწყებდა საბჭოთა კავშირთან.

ამ ხმებმა პოლიტიკურ წრეებში დიდი სენსაციური შთაბეჭდილება დასტოვა. ამის გამო გაზეთი სწერს:

„უკანასკნელი თვეების განმავლობაში ევროპაში კვლავ შეიქმნა მძიმე მდგომარეობა იტალია-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტთან დაკავშირებით. სამხრეთ-სლავიამ, რომელიც აღმოჩნდა გარშემორტყმულ მეზობლებს შორის, რომლებზედაც იტალია ახდენდა გავლენას—საფრანგეთის წინადადებით დაიწყო მოლაპარაკება ოსმალეთთან სამხედრო კავშირის შესაკრავად. ამასთანავე ბელგრადს და მოსკოვს შუა კვლავ გაებენ ძაფები. ამ ამბებმა აიძულეს, ალბათ ინგლისი დაახლოვებოდა საფრანგეთს“.

დასასრულ გაზეთი ეჭვს გამოსთქვამს, რომ ინგლისი აიღებდა ისეთ ვალდებულებას, როგორც ეს დოკუმენტიდან სჩანს. (ადს).

თავდასხმის შედეგები

ლონდონი, 18 მაისი. არკოსის თავმჯდომარის მოადგილემ სოროკინმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

„ჩვენ ვშიშობთ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით არკოსზე მოწყობილი თავდასხმა ცუდათ იმოქმედებს ინგლის-საბჭოთა ვაჭრობაზე. თავდასხმის წინ ჩვენ მოველოდით საბჭოთა კავშირიდან მსხვილი დაკვეთების მიღებას და იმედი გვქონდა, რომ ახლო მომავალში არკოსი განაწილებდა ინგლისში დაკვეთებს 10 მილ. გირვ. სტერლინგის რაოდენობით. ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის გამოცოცხლების იმედი გამოწვეული იყო სავაჭრო წარმომადგენლობის შეთანხმებებით ინგლისის ერთ-ერთ მსხვილ ბანკთან. ამ შეთანხმებას უნდა მოჰყოლოდა საბჭოთა დაკვეთების ზრდა ინგლისში. არკოსის სავაჭრო ბრუნვამ მისი არსებობის განმავლობაში გადააჭარბა 100 მილ. გირვ. სტერლინგს.

არკოსის გაჩხრეკამ და უსაფუძვლო თავდასხმამ ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ თითქოს ყოველი სავაჭრო წარმოება, რომელსაც საქმიანი კავშირი აქვს გაბმული საბჭოთა კავშირთან, არ არის უზრუნველყოფილი ისეთ თავდასხმისა და უხეში მოპყრობისაგან, როგორიც მოახდინეს არკოსზე.

ამჟამად შეუძლებელია გათვალისწინება იმის, თუ რა ზომებს მიიღებენ ჩვენი კლიენტები თავდასხმის შემდეგ, მაგრამ ერთი სავსებით ცხადია; სახელდობრ ის, რომ თავდასხმამ დიდი ზიანი მიაყენა ინგლის-საბჭოთა ვაჭრობას“. (ადს).

ლონდონი, 17 მაისი. „არკოსის“ თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. სოროკინმა 15 მაისს შინაგან საქმეთა მინისტრს ხიქსს მიმართა შემდეგი წერილით:

„ჩვენ გვინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ იმაზე, რომ ორდერი „არკოსის“ შენობის გ ჩხრეკაზე წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ერ საათის შემდეგ გაჩხრეკის დაწყებიდან, და ა რეთვე იმ გარემოებაზე, რომ ჩხრეკა ოთახებ ზოგან დაიწყო და მოხდა ჩვენი წარმომადგ ლების დაუსწრებლად. პოლიციას, რომელ ჩხრეკა მოახდინა, კვლავ უჭირავს ჩვენი შენ ბა. ჩხრეკით გამოწვეულმა დეზორგანიზაც გვაიძულა შეგვეწყვიტა მთელი მუშაობა, სა პოლიცია არ იქნება გაყვანილი შენობიდ ამის გამო მე უნდა გთხოვოთ თქვენ, ვაც ბოთ, რა მოსაზრებით მოხდა ასეთი განსაკ რებული გამოსვლა „არკოსის“ წინააღმდეგ. გიძლიათ თუ არ თქვენ წარმოვვიდგინოთ რაიმე პრეტენზიები ჩვენი შენობისა და ქო დების გამოკვლევის შემდეგ, თუ შეგიძ ათ, სახელდობრ როგორი. თქ [illegible] ჩქარო სუხის მოლოდინში გვსურს გამო [illegible] კადოთ რგიული პროტესტი, როგორც ჩხრეკის, ისე მეთოდების წინააღმდეგ, რომლითაც ხდებო ეს ჩხრეკა“. (ადს).

ფინ-იუი-სიანის ჯარების შეტევა პეკინზე

ჩან-ძო-ლინის ჯარები ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევენ ფინ-იუი-სიანის არმიას

იაპონია და საფრანგეთი უკმაყოფილოა ინგლისის პოლიტიკით ჩინეთში

ხან-კოუს ნაციონალურ-რევოლიუციონური მთავრობა აფრთხილებს ინგლისს

საგანგებო გადასახადები კანტონში.,

შანხაი, 17 მაისი. ლი-ტაი-სინმა კანტონელი ვაჭრები დაბეგრა დამატებითი საგანგებო გადასახადით, რომელიც ოფიციალურად ჩრდილოეთის ექსპედიციის მიზნებისათვის არის დანიშნული (ადს).

იმპერიალისტები ნერვიულობენ

პეკინი, 17 მაისი. ინგლისის ელჩი მაილს-ლემპსონი გაემგზავრა შანხაიში ჩან-კაი-შისთან მოსალაპარაკებლად. ამის გამო ფრანგული გაზეთი „ჟურნალ დე-პეკენ"-ი სწერს: „ჯერ ინგლისი მოითხოვდა ბოდიშის მოხდას ჩან-კაი-შისაგან ნანკინის ამბებისათვის, ახლა კი მას ავანსებს ალუთქვამს. ამრიგად, ინგლისმა დაჰკარგა არა მარტო მთელი თავისი პრესტიჟი, არამედ მეორე ლოყასაც უჩვენებს სილის გასაწნავათ, თავისი სხეულის ერთ ნაწილს კი—კარგი პანღურისათვის" (ადს).

ჯალათი-სპეციალისტი.

პეკინი, 17 მაისი. ჩან-ცზუ-ჩანმა თავისი მრჩეველი თეთრგვარდიელი რაზუმოვი გაგზავნა პეკინში, სადაც მან მონაწილეობა უნდა მიიღოს გამოძიებაში საბჭოთა საელჩოს დაპატიმრებულ თანამშრომლების საქმეზე (ადს).

მუხლმაგართა ახალი ტრიუკი.

ლონდონი, 17 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის წარმომადგენელს ხანკოუში უკან იწვევენ. ინგლისის მთავრობის ამ აქტს აფასებენ, როგორც უარყოფითი დამოკიდებულების გამოჩენას უხანის მთავრობისადმი (ადს).

იაპონია უკმაყოფილოა ინგლისის ხრიკებით ჩინეთში

ტოკიო, 17 მაისი. ლიბერალური „ოსაკა ასახ"-ში მოთავსებულია მოწინავე წერილი, რომელიც გამოხატავს იაპონიის საზოგადოებრივი აზრის შიშს იმ ცნობის გამო, რომ ინგლისი აპირებს თავისი პოლიტიკის შეცვლას. ინგლისის ელჩის მაილს ლემპსონის შანხაიში გამგზავრებას, გაზეთი უკავშირებს ინგლისის ცდას შეუთანხმდეს ჩან-კაი-შის შანხაის თავისუფალ ნავთსადგურათ გამოცხადების, უცხოეთის კონცესიების ქალაქის ჩინურ ნაწილთან შეერთების და უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების მუნიციპალიტეტში ჩარიცხვის შესახებ. გაზეთი ფიქრობს, რომ ინგლისის მხრივ ასეთი ნაბიჯების შემდეგ იაპონიას უფლება აქვს იმოქმედოს, როგორც მას მოეხასიათება (ადს).

უხანის პიონერები სალამს უგზავნიან მოსკოვს

ხანკოუ, 17 მაისი. 1 მაისს უხანის პიონერებმა დაადგინეს გაუგზავნონ მოსკოვის პიონერებს მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „უხანის პიონერებმა პირველ მაისს დაათვალიერეს თავიანთი რიგები. ჩვენ ორგანიზაციაში შედის 30.000 კაცი. მათ შორის სამი მეხუთედი მუშაობს ფაბრიკებში, ერთი მეხუთედი—მაღაზიების მოსამსახურეებია და ერთი მეხუთედი—მოწაფეები. იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში ჩვენ გამარჯვებას ვიზეიმებთ საერთაშორისო კაპიტალიზმის საფლავზე. მხურვალე სალამი უხანის ყველა პიონერებისაგან" (ადს).

ისევ უ-პეი-ფუ

პეკინი, 17 მაისი. უ-პეი-ფუმ, რომელმაც ჩან-ძო-ლინისაგან მიიღო მატერიალური დახმარება, დაიკავა თავისი ჯარების ნაშთების მთავარსარდლის თანამდებობა. ჯარების საერთო რიცხვი 50.000 კაცამდე აღწევს (ადს).

პროვოკაცია გრძელდება

შანხაი, 17 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით პეკინიდან, ინგლისის საელჩომ პეკინში ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან მიიღო ინსტრუქცია, რომ ურჩიოს ინგლისელ მოქალაქეებს ინგლისში არ ვაემგზავრონ ციმბირის გზით. (ადს).

უხანის შეტევა

შანხაი, 17 მაისი. შანხაის პრესის ცნობით, ფინ-იუი-სიანმა აიღო ჩინგ-ზუ-გუანი, ჩი-ტე-ჩუ და სწრაფად წინ მიიწევს კუნ-სენისაკენ, რომელიც მდებარეობს 80 ვერსის დაშორებით ლოიანიდან. პრესა აღნიშნავს, რომ ფინ-იუი-სიანს სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ უწევენ. იაპონიის სააგენტო ტოხო იუწყება, რომ უ-პეი-ფუმ ჩან-ძო-ლინის მიმართა თხოვნით დახმარების შესახებ და რომ ამასთან დაკავშირებით პეკინში ჩავიდა უ-პეი-ფუს წარმომადგენელი. ზოგიერთი ცნობების მიხედვით, ჩან-ძო-ლინმა უ-პეიფუს თხოვნაზე უარი უთხრა. პრესა აღნიშნავს ფინ-იუი-სიანის ჯარების არაჩვეულებრივ სიმტკიცეს და რკინის დისციპლინას (ადს).

ინგლისის ჯარები

შანხაი, 17 მაისი. მიუხედავათ ჩემბერლენის განცხადებისა, რომ მომავალში აღარ არის საჭირო ჯარების გაგზავნა ჩინეთში, 16 მაისს გონკონგში ჩავიდა ინგლისის დამატებითი ჯარები 5 ბატალიონის შემადგენლობით (ადს).

ევგ. ჩენის განცხადება

შანხაი, 17 მაისი. რეიტერის კორესპონდენტთან საუბრის დროს ნაციონალურ მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა ევგენი ჩენმა განაცხადა: „ჩვენ გავიკვალავთ გზას პეკინისაკენ და იქ ჩინეთის სახელით გომინდანი ალაპარაკდება ისეთი ენით, რომელსაც უყურადღებოთ ვერ დასტოვებს ჩემბერლენი. ჩემბერლენის განცხადება იმის შესახებ, რომ უხანის მთავრობა იმყოფება სასიკვდილო და უაღრესად ტრაგიკულ მდგომარეობაში, მოწმობს მხოლოდ იმას, რომ ჩემბერლენი არ იცნობს საქმის ნამდვილ მდგომარეობას". აღნიშნა რა შემდეგ უხანის მთავრობის სიმტკიცე და რევოლიუციონურ არმიების ძლიერება, ევგენი ჩენმა განაცხადა: „პირველი შემთხვევა არაა, რომ ინგლისი შემცდარათ აფასებს მდგომარეობას ჩინეთში. ინგლისი ბევრს დაკარგავს, თუ მან განაგრძო არშიყობა ჩან-კაი-შისთან, რომლის არსებობა ზაფხულს ვეღარ გასცილდება". უარყო რა შემდეგ, ხმები თითქოს უხანის მთავრობამ დაარღვია ომლიოთან დადებული ხელშეკრულება, ევგენი ჩენმა განაცხადა: „ის სამწუხარო ამბები, რომლებიც ჩამოსთვალა ჩემბერლენმა, არის ინგლისის ჯარების შანხაიში ყოფნით შექმნილ პირობების შედეგი". (ადს).

პილსუდსკის რესპუბლიკაში

მუშებმა გაიმარჯვეს.

ვარშავა, 17 მაისი. კონფლიქტი დომბროვის რაიონში მოგვარებულია. ორივე მხარემ უარი სთქვა ხელფასის გადასინჯვაზე. მწარმოებლები მოითხოვდენ ხელფასის შემცირებას 8 პროცენტით (ადს).

„მაიმუნების" პროცესი.

ვარშავა, 17 მაისი. ამჩინის (პოლონეთის სილეზია) დაწყებითი სკოლის მასწავლებელი მშობლების ერთმა ჯგუფმა პასუხისგებაში მისცა ბავშვებისათვის დარვინის თეორიის ახსნის გამო (ადს).

უკრაინელების დევნა.

ვარშავა, 17 მაისი. გაზეთების ცნობით, პოლიციამ სამბროვში ვითომდა აღმოაჩინა უკრაინელების სამხედრო ორგანიზაცია. დააპატიმრეს მრავალი ხალხი (ადს).

საბჭოთა ხელოვნების გამოფენა იაპონიაში

ტოკიო, 17 მაისი. 15 მაისს მოხდა საბჭოთა ხელოვნების გამოფენის საზეიმო გახსნა. გახსნას დაესწრო ათასამდე კაცი. სრულუფლებიან წარმომადგენელმა დოვგალევსკიმ და გამოფენის ხელმძღვანელებმა ორკინმა და პუნინმა წარმოსთქვეს სიტყვები საბჭოთა ხელოვნების და გამოფენის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც მოწოდებულია განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა და ერთიერთ გაგება იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის. აუდიტორიის აღფრთოვანებულ ოვაციებმა დაადასტურა იაპონიის საზოგადოების ღრმა ინტერესი საბჭოთა ხელოვნებისადმი და საბჭოთა კავშირის ცხოვრებისადმი საერთოდ (ადს).

ბისმარკის კანონების განახლება გერმანიაში

ბერლინი, 17 მაისი. რეიხსტაგში რესპუბლიკის დაცვის შესახებ კანონის განხილვის დროს კომუნისტმა კრეცბერგმა განაცხადა, რომ ეს კანონი წარმოადგენს ბისმარკის მიერ სოციალისტების შესახებ გამოცემული კანონის განმეორებას.

„დღემდი ამ კანონით მხოლოდ რევოლიუციონერების წინააღმდეგ სარგებლობენ,—განაცხადა კრეიცბერგმა.—ამ კანონის თანახმად ბავარიაში აკრძალულია კომუნისტური პარტია, რომლის წევრობისათვის იქ სჯიან ხუთი წლის ციხით.

განსაკუთრებით საყურადღებოა კანონპროექტის მუხლი, რომლის ძალით შეიძლება აკრძალული იქნეს ყოველგვარი ორგანიზაცია, რომელიც ომის წინააღმდეგ ილაშქრებს".

დასასრულ კრეიცბერგმა გაკიცხა სოციალ-დემოკრატია, რომელმაც მხარი დაუჭირა კანონს, ისეთ კანონს, რომელიც არ იძლევა გარანტიებს ყოფ. იმპერატორის დაბრუნების წინააღმდეგ.

გერმანიის რეიხსტაგში

ბერლინი, 17 მაისი. გერმანიის რეიხსტაგმა ყველა ხმების უმრავლესობით კომუნისტებისა და ტევტონელების ხმების წინააღმდეგ პირველი წაკითხვით მიიღო მთავრობის პარტიების მიერ შეტანილი კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც კანონს რესპუბლიკის დაცვის შესახებ ორი წლით უგრძელდება ვადა. რეიხსტაგმა უარჰყო კომუნისტური ფრაქციის მიერ შეტანილი შესწორება. კომუნისტებმა უნდობლობის ვოტუმი შეიტანეს გერმანიის ფოსტის მინისტრისადმი იმის გამო, რომ მისი განკარგულებით გადიდებულ იქნა ფოსტის ტარიფები (ადს).

სამხრეთ-სლავიის

დამოუკიდებელ პროფკავშირთა კონფერენცია.

ვენა, 17 მაისი. სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელი პროფკავშირები 12 ივნისს ბელგრადში იწვევენ კონგრესს. დამოუკიდებელ პროფკავშირების ორგანო „ორგანიზოვანი რადნიკ" აცხადებს, რომ დამოუკიდებელ პროფკავშირთა საბჭომ კონგრესზე მიიწვია პროფინტერნი, ამსტერდამის ინტერნაციონალი, ინგლის-რუსეთის კომიტეტი და ამერიკის შრომის ფედერაცია (ადს).

მისისიპის ადიდება

საშიშ ხასიათს იღებს.

ნიუ-იორკი, 17 მაისი. მისისიპის ადიდება უფრო და უფრო კატასტროფიულ ხასიათს იღებს. ჯებირი ვაიუდეგლეზის ახლო რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე გაარღვია წყალმა, რომელმაც დაჰფარა კიდევ 1.000 კილომეტრის სივრცე. წყალი დაფარვით ემუქრება აგრეთვე დაბლობს მექსიკის ყურეს მიმართულებით. წყლით დაფარული სივრცე სამჯერ აღემატება სიდიდით ჰოლანდიას.

ბრიანი და დუმერგი ლონდონში

ლონდონი, 18 მაისი. „ვესტმინსტერ გაზეტი" ეხება დუმერგისა და ბრიანის ჩამოსვლას ლონდონში და სწერს:

— პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ დუმერგისა და ბრიანის სტუმრობა ლონდონში დაკავშირებულია რუსეთის საკითხთან. — უწინ —განაგრძობს გაზეთი — ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს თვალსაზრისი მდგომარეობდა იმაში, რომ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებათა შეწყვეტა იმდენად წაათამამებდა ბალტიის სახელმწიფოებს და განსაკუთრებით პოლონეთს, რომ შესაძლებელი გახდებოდა საზღვრების გადალახვა და სხვა მტრული ინციდენტები. ამას კი მოჰყვებოდა სერიოზული შედეგები ევროპის სხვა სახელმწიფოთათვის.

ეხლა კი ჩემბერლენი აღარ ადგია ასეთ თვალსაზრისს და იგი მხოლოდ უცდის ამბების შემდეგ განვითარებას (ადს).

დუმერგი ინგლისის მეფესთან

ლონდონი, 17 მაისი. ბუკინგემის სასახლეში დუმერგის და ბრიანის პატივსაცემად შესდგა ბანკეტი. მეფე გეორგმა და დუმერგმა მიმართეს ერთი მეორეს ტრაფარეტული სიტყვებით მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ საფრანგეთის და ინგლისის მთავრობებს შორის. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

გამოძახილი დეპუტატთა პალატაში

ლონდონი, 18 მაისი. კონსერვატორმა დეპუტატმა დავიდსონმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა შეკითხვა, რომელშიაც იგი ეკითხება საგარეო საქმეთა მინისტრს — გაეცნო თუ არა იგი დღეს დილით გაზეთებში გამოქვეყნებულ საბჭოთა მთავრობის მკაცრ ნოტას, რომელიც ეხება ლონდონის ზოგიერთ შენობებში მომხდარ ჩხრეკას.

მუშათა პარტიის დეპუტატმა კენვორტიმ შეიტანა შეკითხვა — მიიღო თუ არა საგარეო საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა მთავრობისაგან რაიმე პროტესტი ან ნოტა არკოსში და სავაჭრო წარმომადგენლობის შენობებში ჩატარებული ჩხრეკის გამო. შეკითხვაზე პასუხი გასცა ლოკერ ლემპსონმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ნოტა საბჭოთა მისიამ გადასცა პრესას და ამგვარად დღეს გამოქვეყნდა პრესაში. ინგლისის მთავრობას ჯერ არ გაუცია პასუხი". (ადს).

პურის საცხობი ქარხანა

მოსკოვი. 18 მაისი. გაცხარებული მუშაობა სწარმოებს საბჭოთა კავშირში პირველი პურის საცხობი ქარხნის ასაგებათ. ქარხნის ასაგებათ ყოველ-დღიურათ მუშაობს 200 მუშა და ქარხანა მზად იქნება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავისათვის.

ქარხანაში პურის გამოცხობა იწარმოებს მექანიკურად (ადს).

უუპირათობისათვის

მოსკოვი, 18 მაისი. მუშათა და გლ. ინსპექციის მიერ, საკავშირო ს. მ. უ. ს. უცხოეთის ტეხნიკის ბერლინის ბიუროში შენიშნულ იქნა უუპირათობის ფაქტები, რის გამოც ს მ. უ. ს. მიერ გამოცემული ბრძანებით საყვედური გამოეცხადა ბერლინში ს. მ. უ. ს. რწმუნებულს ჟუკოვსკის, ს. მ. უ. ს. ყოფილ მოსამსახურეებს ბერლინში — ფაიგნერს და სმირნოვს, ბიუროს ყოფილ გამგეს ხერცენბერგს. ბიუროს გამგის მოადგილე რაიტმანი მოხსნილია სამსახურიდან იმ უუპირათობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა საქმეზე (ადს).

სტეპანოვის პროცესი

ვენა, 18 მაისი. უნგრეთის რევოლიუციონერ შორის სტეპანოვის პროცესი გადადებულია გამოურკვეველ დრომდე. (ადს).

მექსიკა შეერთებულ შტატების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 17 მაისი. მექსიკის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ჰკიცხავს შეერთებულ შტატების პოლიტიკას ნიკარაგუაში (ადს).

ამერიკის კომპარტიის კონფერენცია

ნიუ-იორკი, 17 მაისი. „უორკერს პარტი"-ს ცენტრალური კომიტეტი 10 ივლისს იწვევს სრულიად ამერიკის კომპარტიის კონფერენციას. (ადს).

მუშათა პარტიის დელეგატების „ბავშობა"

ლონდონი, 17 მაისი. ლიბერალური და კონსერვატიული პარტია ჰკიცხავენ მოქმედებას მუშათა პარ. საპარლამენტო ფრაქციისა, რომელმაც სრული შემადგენლობით დემონსტრატიულად დატოვა პალატის სხდომა ნიშნად პროტესტისა იმის გამო, რომ კამათი პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართული კანონპროექტის შესახებ შესწყვიტეს. კონსერვატიული პრესა დემონსტრაციას „ბავშობას" უწოდებს.

საგანგებო ტრიბუნალი მუშაობს

რომი, 18 მაისი. სახელმწიფოს დამცველმა საგანგებო ტრიბუნალმა უკანასკნელ დღეების განმავლობაში გაარჩია, მთელი რიგი საქმეები, რომელშიაც უმთავრესად ბრალს სდებენ მუშებს სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებაში.

რომის კომუნისტური ორგანიზაციის 5 წევრს მიუსაჯეს თორმეტი წლის ციხე, თითოს კომუნისტურ ლეგალურ ორგანოებში ლიტერატურული თანამშრომლობისათვის. მათ შორის არის ამხ. პელუზო, რომელსაც ჰქონდა მოსკოვის „იზვესტიაში" გაგზავნილი წერილის ასლი და რომელიც დააპატიმრეს მხოლოდ ამ მიზეზით.

ინგლისელები მუშაობენ

ნიუ - იორკი, შანხაიდან მოსული ცნობებით ჩინეთის რკ. გზის აქციების ინგლისელი მეპატრონენი დასთანხმდენ ნანკინის რკ. გზის მოძრავი შემადგენლობა გადაიტანონ მდ. იანზის ჩრდილო სანაპიროზე. ჩან-კაიშის ცდა რომ გამოეყენებია ეს მოძრავი შემადგენლობა თავის ჯარების გადასაჯგუფებლათ — მარცხით დამთავრდა.

ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა უ-ჩაო-ჩუმ ამის გამო პროტესტით მიმართა ინგლისელებს. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ოსმალეთის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 18 მაისი. მოსკოვში ამჟამად იმყოფება კონსტანტინოპოლის მუნიციპალური საბჭოს დელეგაცია, რომელშიაც შედიან: პრეფექტი - მუხედინ ბეი და მუნიციპალურ საბჭოს ორი წევრი. დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია მოსკოვისა და ლენინგრადის კომუნალური მეურნეობის მდგომარეობასთან გაცნობა.

მოსკოვში დელეგაცია გაეცნობა ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს, ქალაქის ტრანსპორტს, წყალსადენის მეურნეობას, ქალაქის რკინისგზებს, სასაკლაოების მუშაობას, გლეხთა სასახლეს, ინახულებს ტრეტიაკოვის გალერიას, რევოლიუციის მუზეუმს, ზოოლოგიურ ბაღს, დაათვალიერებს კრემლს და სხვ. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 18 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია ეწვია ცენტროსოიუზს. დელეგაციას მიესალმა ცენტროსოიუზის თავმჯდომარე ამხ. ლიუბიმოვი, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ჩეხო-სლოვაკიის და საბჭოთა კავშირის კოოპერატიულ სისტემებს შორის მეგობრული და ძმური დამოკიდებულება არსებობს.

დელეგაციის თავმჯდომარემ საპასუხო სიტყვაში ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის სახელით მადლობა გადაუხადა ამხ. ლიუბიმოვს მოპატიჟებისა და გულითადი შეხვედრისათვის.

მისალმების შემდეგ დელეგაციამ მოისმინა ამხ. ლიუბიმოვის მოხსენება საბჭოთა კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სპილენძი

მოსკოვი, 18 მაისი. საკავშირო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო დააკმაყოფილოს ა.-კ. სპილენძის სამმართველოს შუამდგომლობა, მისთვის 1926—27 წ. განმავლობაში დამატებითი ასიგნების გაცემის შესახებ 500000 მან. რაოდენობით. (ადს).

ციანამიდის ქარხანა სომხეთში

მოსკოვი, 18 მაისი. საკავშირო ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა მოისმინა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება კალაგერანის ჰიდრო-ელსადგურის აგების შესახებ.

შრ. და თავდაცვის საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ადგილობრ. მრეწველ-ბის და მშენებლობის 5 წლიან გეგმაში შეიტანოს ციანამიდის ქარხნის აგება სომხეთში.

გემი „გურზუფი"-ს დაღუპვა

სევასტოპოლი, 18 მაისი. უკანასკნელ ქარიშხალების დროს იალტას მახლობლად დაიღუპა გემი „გურზუფი" (ადს).

ტყის ხანძარი

ჩიტა, 18 მაისი. ზაბაიკალიეს ხილოკის რაიონში ტყე იწვის. სამი საათის განმავლობაში 6 ვერსის მანძილზე გადაიწვა მთელი ტყე და 15 ხის ხიდი. ცეცხლის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოცხადებულია საყოველთაო შრომითი ბეგარა. (ადს).

საბჭ. და სავაჭრო მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი, 18 მაისი. დაიხურა საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების ყრილობა. უკანასკნელ სხდომაზე აირჩიეს ახალი ცენტრალური კომიტეტი 75 კაცის შემადგენლობით.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

მოსკოვი, 18 მაისი. 18 მაისს, 17 საათზე გაიხსნა კომინტერნის აღმასკომის მორიგი პლენუმი. დღის წესრიგში დასმულია — საკითხი ომის საშიშროების და მასთან ბრძოლის შესახებ, ჩინეთის რევოლიუციის პრობლემები, კომინტერნის მეექვსე მსოფლიო კონგრესის მოწვევა და სხვ. საკითხები. (ადს).

გემის დაღუპვა ვოლგაზე

ყაზანი, 18 მაისი. დიდი ღელვის დროს ვოლგაზე სვიაჟესკის მახლობლად დაიღუპა გემი „ნეპტუნი", ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. (ადს).

ქარ - ბუქი მდინარეებზე

ყაზანი, 18 მაისი. მეოთხე დღეა მდ. ვოლგაზე და კამაზე საშინელი ქარბუქია. ზოგიერთმა გემებმა და ბარკასებმა ვერ გაუძლეს ქარბუქს და დაიღუპნენ.

ქარბუქისაგან დანგრეულია რამოდენიმე სახლი და წაღებულია სატყეო მასალა. (ადს).

19 კაცის დაღუპვა დნეპრზე

კიევი, 18 მაისი. დნეპრზე ნავით გადაცურვის დროს ძლიერმა ქარმა გადააბრუნა ნავი, რომელზედაც იჯდა 25 გლეხი. გლეხები მიდიოდენ კიევში რძის პროდუქტების გასასყიდად.

კატასტროფის ადგილას სასწრაფოთ მოვიდა გემი „კომსომოლეც", რომელმაც გადაარჩინა 6 კაცი. დანარჩენები — დაიღუპნენ. (ადს).

ა.-კ. ფედერაცია

საქართველო

რიონის ჰიდროელსადგური

ქუთაისი, 18 მაისი. საბჭ. საქ. შინ. საქ. სახ. კომ. ამხ. გეგეჭკორის მეთაურობით და პროფესორ კუკელ-კრაევსკის თანხლებით ჩამოვიდა კომისია, რომელიც შეუდგა რიონის ჰიდროელსადგურის ასაგები ადგილის დათვალიერებას, რის შემდეგ გამოტანილი იქნება დასკვნა ინჟ. მელიქ-ფაშევისა და პროფ. ლიუდინის პროექტების შესახებ. (ადს).

აზერბეიჯანი

გაფლანგვა

ბაქო, 18 მაისი. აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ პასუხისგებაში მისცა „პრავდა"-ს და „ბედნოტა"-ს ბაქოს განყოფილების პასუხისმგებელი გამგე—ფედოსეევი. ფედოსეევს ბრალდება თავის წინამოადგილის ჯამაგირის მითვისება, დაუშვებელი მოპყრობა თავის მოვალეობისადმი და მფლანგველობა. (ადს).

ამხ. დიბენკო ბაქოში

ბაქო, 18 მაისი. ბაქოში შეჩერდა მოსკოვში მიმავალი მ. და გლ. წითელი არმიის მომარაგების უფროსი ამხ. დიბენკო.

ბაქოს აღმასკომის საღამოს სხდომაზე ამხ. დიბენკო გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც იგი წითელი არმიის სახელით მიესალმა ბაქოს პროლეტარიატს და დაახასიათა წითელი არმიის მდგომარეობა. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ფასების დაკლების შემოწმება

თანახმად თბილისის კომიტეტის დადგენილებისა, 20 მაისამდე უნდა ჩამოყალიბებულ იქნას ფართო მუშათა კომისიები კოოპერაციაში და სახელმწიფო ვაჭრობაში ფასების დაკლების გამოსარკვევად. ასეთი კომისიების გამოყოფა მიზნად ისახავს პარტიის დირექტივების ცხოვრებაში გატარების შემოწმებას.

განზრახულია თბილისში შესდგეს 4 კომისია, თითო კომისია თითო რაიონში.

კომისია უნდა შესდგებოდეს არა უმეტეს 30 კაცისაგან. კომისიაში უნდა შეყვანილ იქნას თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიული სექციის 2 წარმომადგენელი, თითო წარმომადგენელი მუშკოოპის, საქ. პროფკავშირთა საბჭოსი და რაიკომის. ამას გარდა უნდა შეყვანილ იქნას 3-დან 5-მდე სადუქნო კომისიების წევრები რაიონის მსხვილ დუქნებიდან. ამ დუქნებს გამოჰყოფს მუშკოოპი პროფსაბჭოსთან შეთანხმებით. რაც შეეხება კომისიის მუშათა ნაწილს, ასეთი უნდა შესდგეს იმ მუშებისაგან, რომლებიც უშუალოთ მუშაობენ წარმოებაში დაზგასთან და რომლებსაც ირჩევენ ან საერთო ან და მუშების სადელეგატო კრებები. კომისიების მუშაობას ხელმძღვანელობენ საქ. პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები. უფრო მეტი ნაყოფიერი მუშაობის მიზნით კომისიები უნდა დაიყონ ცალკე ქვეკომისიებათ, რომლებიც შეუდგებიან დუქნების მდგომარეობის გამორკვევას. დუქნის გამორკვევის დროს კომისიამ უნდა ჩაიბას ამ მუშაობაში ამავე დუქნის სადუქნო კომისია მთელი შემადგენლობით.

კომისიები უნდა შეუდგენ მუშაობას 20 მაისს და უნდა დაამთავრონ იგი 1-ლი ივნისისათვის.

გამოკვლევის ჩატარების შემდეგ კომისიებს ევალებათ გააკეთონ მოხსენებები მათი მუშაობის შედეგების შესახებ მუშების საერთო კრებებზე.

მომავალ ფართე უპარტიო მუშათა კონფერენციებზე კი მათ უნდა წარადგინონ ვრცელი ანგარიში გამოკვლევის შედეგების შესახებ.

მუშკოოპს და შინავაჭრობის კომისარიატს დაევალა ვრცელი ინსტრუქციის დამუშავება ამ კომისიების სახელმძღვანელოთ.

ი. რ.

რა სთქვა უჯრედის მდივნების თათბირმა

(მეოთხე რაიონი)

გუშინ საქ. კ. პ. მე-4-ხე რაიკომში შესდგა ქალაქის რაიონში შემავალ უჯრედის მდივნების და ორგკომისიის თავმჯდომარეთა თათბირი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები.

1. უჯრედის ბიუროების საანგარიშო კამპანიის ჩატარება, 2. მუშკოოპის საქმიანობა, 3. უჯრედის კრებებზე თავმჯდომარეობის სისტემის შესახებ და სხვა.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. დარახველიძე. მან აღნიშნა, რომ ამ ზაფხულში ბიუროების გადარჩევები არ ჩატარდება. ნაცვლად ამისა უნდა ჩავატაროთ საანგარიშო კამპანია. რაც შეეხება იმ უჯრედებს, რომლის გადახალისება აუცილებელია, იქ არჩევნები უნდა მოხდეს. უჯრედების ბიუროების საქმიანობის არსებითად გაცნობის მიზნით საჭიროა გამოიყოს თვითგამომკვლევი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ: 1. ბიუროს წარმომადგენელი, 2. უჯრედის ერთ-ერთი წევრი და 3. რაიკომის წარმომადგენელი. უჯრედებში, სადაც ბიურო გადარჩევა არ მოხდება, დღის წესრიგში წამოყენებული იქნება ერთი საკითხი:—ბიუროს საანგარიშო მოხსენება. სადაც გადარჩევა აუცილებელია, იქ უნდა გაკეთდეს როგორც ბიუროს საანგარიშო მოხსენება, აგრეთვე გამომკვლევ კომისიის თანამოხსენებაც. დასასრულ ამხ. დარახველიძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჭიროა უჯრედს პარტიულმა მასამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პოლიტ-განათლების სკოლების საქმიანობას, მასიურ მუშაობის საკითხებს, პარტიის ზრდას და სხვა.

მეორე საკითხზე ილაპარაკა ამხ. ვ. ბოლქვაძემ, მან აღნიშნა, რომ კოოპერაციაში შემავალი პარტიული მასის რაოდენობა შედარებით უმნიშვნელო რიცხვს წარმოადგენს, კოოპერაციის გამაგრების ინტერესები მოითხოვს, რათა პარტიული და უპარტიო მასის საკმაო რაოდენობა იქნას დარაზმული კოოპერაციის რიგებში, ამასთანავე ამხ. ბოლქვაძე აღნიშნავს, რომ საპაიო გადასახადი 5 მანეთიდან უნდა გადიდებულ იქნას 10 მანეთამდე. ამის გარშემო შესაფერისი მუშაობა სწარმოებს თბილისის სხვა და სხვა ორგანიზაციებში; თათბირმა დაადგინა რათა უჯრედებში ჩატარდეს მუშაობა და თვითეული მუშა-მოსამსახურის თანხმობით შეტანილი იქნება ნაწილ-ნაწილად საპაიო გადასახადი. მესამე საკითხზე ილაპარაკა ამხ. ფიშერმა, რომელმაც აღნიშნა: წარსულში სისტემაში შემოღებული იყო უჯრედის კრებებზე მორიგეობითი თავმჯდომარეობა, რაიც ხშირად სუსტი თავმჯდომარეების გამო იწვევდა უწესრიგობას. ეს სისტემა შეცვლილი უნდა იქმნას და მის მაგიერად კრებებზე მომავალში არჩეულ იქნება თავმჯდომარეები უჯრედის მიერ.

ვ—ა.

კომკავშირში

ა.-კ. კომკავშირის მე-2 კონფერენცია

18 მაისის დილის სხდომა

დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. რახმანოვის მოხსენების გარშემო. ქალ - დელეგატის ამხ. პოლიაკოვის გამოსვლამ დიდი აღტაცება გამოიწვია. ის მოკლედ შეჩერდა უმუშევრობის საკითხზე ახალგაზრდობაში და სთქვა, რომ თუ სოფლის კომკავშირელებს აუხსნით ქალაქად უმუშევრობის მიზეზებს, მაშინ მათი ასეთი შეუწყვეტელი დენა ქალაქისაკენ აუცილებლად შეჩერდება. შემდეგ ის გადადის ქალთა სამუშაოების წარმოების შესახებ და ამბობს, რომ ორივე სქესის ურთიერთ - არანორმალური დამოკიდებულება აფერხებს ამ საქმეს.

კამათში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ამხ.: **ხაჩიანმა, რაზუმანიანმა, გასიევმა, სალუქვაძემ, შახსუდოვმა, არუთინიანმა, მარიამ ორახელაშვილმა, გულიაკმა, ეგოროვმა, მარტიროზიანმა, კიკნაძემ, დანელიანმა, ტეხტეცმა, კაზანჩუკმა** და **კრივოშეინმა**. დიდი ინტერესი გამოიწვია ამხ. მარიამ ორახელაშვილის გამოსვლამ, რომელიც სოფლის ახალგაზრდობის განათლების საკითხზე შეჩერდა.

გლეხური ახალგაზრდობის განათლების სკოლებმა თავისი დანიშნულება გაამართლა,—ამბობს ამხ. მარიამ ორახელაშვილი — მაგრამ ჯერ - ჯერობით მათში ვერ იქნა ჩაბმული ღარიბ ახალგაზრდობის საკმაო ნაწილი, რადგან სკოლებთან საერთო საცხოვრებელი ბინები არ არის მოწყობილი.

დანარჩენი ამხანაგები უმთავრესად შეეხენ მუშა - ახალგაზრდობის შრომის და განათლების საქმეს, ბეჭედის საკითხს, გასამხედროების, პიონერ მოძრაობის და იდეოლოგიურ ფრონტზე არსებულ გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას.

18 მაისის საღამოს სხდომა

გრძელდება კამათი ამხ. რახმანოვის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდენ. ამხ. **ნასიროვი, ტალანოვი, გეგეჭკორი, ახუნდ - ზადე** და **კოვალიევი**.

ამხანაგი გეგეჭკორი — ეხება ეკონომიურ საკითხებს, რაციონალიზაციის გატარების საქმეში კომკავშირის მონაწილეობისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხებს.

რაციონალიზაციის გაშუქება უნდა ხდებოდეს კომკავშირის მასის მიერ კონკრეტულ ფორმებში, მუშა - ახალგაზრდობამ ცოცხალი მონაწილეობა უნდა მიიღოს საწარმოო თათბირებში.

აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას მდივნის ამხ. ახუნდ - ზადეს გამოსვლამ დიდი აღტაცება გამოიწვია.

კავშირში ჯერ საჭიროა გავზარდოთ შესამჩნევად მუშური ბირთვი — სთქვა მან, რომ უზრუნველყოთ პროლეტარული ხელმძღვანელობა. საჭიროა ფართოდ დავრაზმოთ კ. კავშირის გარშემო მშრომელი ახალგაზრდობა და ამავე დროს გავაძლიეროთ ბრძოლა საერთოდ ახალგაზრდობაში იდეოლოგიურ ფრონტზე. თუმცა აზერბეიჯანის სინამდვილეში — არ არის არავითარი ჯგუფობრივობა — ტროცკისტულ და მენშევიკურ ჯგუფების მაგვარად როგორიც იყო სომხეთსა და საქართველოში — მაგრამ აზერბეიჯანში ახალგაზრდობას იდეოლოგიურ დაპყრობის ბრძოლის პირობები მაინც რთულია. იქ მუსავატები — შოვინიზმის ღვარძლ ანთხევენ.

შემდეგ გადადის რა აქტივის შესახებ, ამბობს რომ ჩვენი აქტივი მოისუსტებს ის ვერ იცნობს მასებს არ არის გაცნობილი პარტიის და კავშირის ძირითად დადგენილებებთან. იდეოლოგიური ცოდნა მას სუსტი აქვს და ხშირად ყოველივე საკითხებზე ზოგადი, შაბლონიური წარმოდგენა აქვს. აქტივის გაჯანსაღების და გაწვრთნას იდეოლოგიურად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. რახმანოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ იხურება კონფერენციის საღამოს სხდომა.

ა. ლ. კ. კ. ზრდის მოწესრიგება

17 მაისის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ზრდის და მისი სოციალური შემადგენლობის მოწესრიგების შესახებ. პრეზიდიუმმა აღიარა, რომ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციაში დაიწია მუშათა ბირთვის პროცენტი (1 იანვრიდან პირველ აპრილამდე 0,5 პროც.) და ეს იმ დროს, როცა კომკავშირში არ არის ჩაბმული ახალგაზრდა მუშების 23 პროც.

სუსტია კავშირში მუშა ქალების ჩაბმა და არასაკმაოა ორგანიზაციის ზრდა ქალიშვილების ხარჯზე (მაგ., ქალიშვილების მიღება ქალაქში გაიზარდა 14,3 პროცენტიდან 14,8 პროცენტამდე, მაზრაში—1,4 პროც.). მიუხედავათ იმისა, რომ წვრილ ხელოსანთა ახალგაზრდობის რაოდენობა საკმაოა კომკავშირში მისაღებათ, უკანასკნელთა რიგებიდან მიღებულია მხოლოდ 11 ამხანაგი.

არ არის საკმაო ორგანიზაციის ზრდა ბოგანო ახალგაზრდა გლეხების ხარჯზე. პირიქით, ასეთების პროცენტი დაიწია (1926 წლის 1 ოქტომბერს იყო 3,6 პროც., ეხლა არის მხოლოდ 3,0 პროც.).

ჰასაკ გადასულთა რიცხვი უდრის 574, უმთავრესათ უმაღლეს სასწავლებლების და გლეხი ახალგაზრდობის წრიდან.

პარტიული ბირთვის პროც., რომელიც გაიზარდა 1926 წლის ოქტომბრიდან 1927 წლის იანვრამდე, უკანასკნელ ხანებში იჩენს დაწევის ტენდენციას, რომელიც უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ პარტიული ბირთვის ზრდა ვერ ასწრებს კომკავშირის ორგანიზაციის საერთო ზრდას. (პარტიული ბირთვის პროცენტი იანვარში შეადგენდა 13,4 პროც., აპრილში 13,1 პროც.).

სოციალურ შემადგენლობაში უნდა აღინიშნოს მოსამსახურეთა დიდი პროცენტი (36 პრ.) და არასაკმაო პროცენტი მუშებისა (54 პროც.).

თბილისის კომიტეტმა მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ზემოაღნიშნული, დაადგინა:

გაძლიერებულ იქნას კომკავშირის ორგანიზაციის ზრდა მუშა-ახალგაზრდობის ხარჯზე, რისთვისაც საჭიროა პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის გაფართოება.

მიექცეს დიდი ყურადღება მუშა-ქალიშვილების შორის მუშაობას და გაძლიერებულ იქნეს მათი მიღება კომკავშირში, განსაკუთრებით იმ წარმოებებში, სადაც ასეთები წარმოადგენენ უმრავლესობას. გაძლიერებულ იქნას წვრილ ხელოსანთა ახალგაზრდობის შორის კულტურულ-განმანათლებელი და ეკონომიური მუშაობა.

შემოღებულ იქნას პრაქტიკაში კომკავშირის უჯრედების შეფობა ხელოსნებზე და ასეთი გზით ჩაბმულ იქნან ისინი კომკავშირში.

აღებულ იქნას ხაზი კომკავშირში ბოგანო ახალგაზრდა გლეხების მიღებისაკენ. ამისათვის ორგანიზაციამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ბოგანო ახალგაზრდა გლეხების კომიტეტის მუშაობაში.

კომკავშირის ზრდის საკითხებში უნდა სახელმძღვანელოთ იქნას მიღებული საკავშირო კომკავშირის მე-5 კონფერენციის დადგენილებანი. საჭიროა უმთავრესათ იმ ღარიბი და საშუალო ახალგაზრდა გლეხობის საუკეთესო აქტივის მიღება, რომელიც გასინჯულია, როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში.

მოწაფე ახალგაზრდობიდან საჭიროა დაბალ ჯგუფების მოწაფეების მიღება, რომლებიც ახლო დგანან საბჭოთა ხელისუფლებასთან და პოლიტიკურათ საიმედონი არიან.

საჭიროა ჩატარებულ იქნას მუშაობა ჰასაკ გადასულთა შორის სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმის საშუალებით.

ამასთან ერთად უნდა დაისვას საკითხი ჰასაკ გადასულთა საუკეთესო აქტივის პარტიაში გადაყვანის შესახებ.

მიღწეულ უნდა იქნეს პარტიული ბირთვის პროცენტის გადიდება და მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება მუშების პარტიაში გადაყვანის საშუალებით.

ი—ი.

სად რამდენი დაუკლეს ფასებს

გუშინ, საღამოს საქ. ვაჭრობის კომისარიატში შესდგა ფასების დამკლებ საუწყებათაშორისო კომისიის თათბირი, რომელსაც დაესწრენ ყველა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ნ. აბესაძე, რომელმაც გააცნო სხდომას ფასების დაკლების მდგომარეობა თბილისის ბაზარზე.

ფართლეულობის ბაზარზე

ფართლეულის გაიაფება გასული თვის—აპრილის 25 რიცხვისათვის იძლეოდა შემდეგ სურათს: მუშკოოპში 1-ლ მარტის ფასებთან შედარებით მანუფაქტურა საშუალოთ გაიაფებულა 9,6 პროცენტით, „ზაკტპოს" მაღაზიებში—10,2 პროც., სამხედრო კოოპერატივ „მეომარი"-ს მაღაზიებში—10,2 პროცენტს, სახელმწ. საპაიო ამხანაგობის მაღაზიებში—12,2 პროცენტს, და „ტექსტილტორგის" მაღაზიებში—9,1 პროც.

კერძო ბაზარზე

ფასების დაკლების კამპანიამ დიდი გავლენა მოახდინა კერძო ვაჭრებზედაც. კომისიის გამორკვევით ფასების დაკლება კერძო ბაზარზე დაახლოებით აღწევს 5 პროცენტამდე.

გამოკვლევისას კომისიამ აღნიშნა რომ კერძო ვაჭრებს მაღაზიებში აქვთ მხოლოდ დაკრული ფართალი, რაც იმის დამადასტურებელია, რომ კერძო ვაჭრები ამ საქონელს იძენენ კოოპ და სახელმწიფოებრივ სავაჭროებიდან.

ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია

ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციაში შედის საპონი, თამბაქოს პროდუქცია, ქვეფენილობა, მაკარონი დასხ. აღნიშნული პროდუქტებზე ფასების დაკლება განხორციელებულ იქნა მთავრობის სამომხმარებლო კოოპერატივებში. საშუალო ფასების დაკლება 25 აპრილისათვის 1-ლი მარტის ფასებთან შეფარდებით უდრის 4 პროცენტს.

საგრძნობათა გაიაფებულია აგრეთვე ტყავეულობის პროდუქტები. მუშკოპში აღნიშნული პროდუქტები 25 აპრილისათვის იძლეოდა 12,1 პროც. დაკლებას. „ზაკტპოში"—12,5 პროც., სახ. საპაიო ამხანაგობის მაღაზიებში—7 პროც. ს. მ. უ. ს. მაღაზიებში—4,7 პროც.

ლითონის ნაწარმოები ქურჭელეულობა და სხ. ხელსაწყობები გაიაფებულან—მუშკოოპში — 4,6 პროცენტით.

სილიკატებზე ფასების დაკლება უდრის საშუალოთ 11 პროცენტს.

მზა ტანისამოსი თბილისის ბაზარზე გაიაფებულია 13,1 პროცენტით. სულ გასასყიდათ მოიპოვება 26 სახელწოდების დამზადებული ტანისამოსი.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე ბ. ლეჟავა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამამზადებელი მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა განმარტა რომ ამ მიზნით „სოფლის კავშირსა" და მუშკოოპს შორის უნდა დადებულიყო ცალკე ხელშეკრულება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ხელშეკრულების დადება ვერ მოხერხდა.

თათბირმა დაადგინა დაავალოს აღნიშნულ ორგანიზაციებს მოაგვარონ ეს საქმე ერთი თვის განმავლობაში.

მოსახლეობა ქვეყნის თავდაცვის სადარაჯოზე

თავდაცვა - ავიაქიმის ხელშემწყობი საზოგადოების მოწოდება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშებო, მუშა-ქალებო, გლეხებო, გლეხ-ქალებო, სამხედრო მოსამსახურენო, მოსამსახურენო და ყველა პატიოსანო მოქალაქენო!

კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობანი ენერგიულად ემზადებიან მომავალი ომისათვის. დიდძალ თანხებს სდებენ შეიარაღებისათვის, ადიდებენ არმიებს რიცხობრივად და აძლიერებენ თვისობრივად.

სამხედრო ტეხნიკის მიღწევანი უკანასკნელ წლებში სავსებით სცვლიან მომავალი ომის ხასიათს.

თუ წარსულ იმპერიალისტურ ომში იყო ფრონტები, რომელთაც იცავდა მშვიდობიანი მოსახლეობა ზურგში, თუ დღემდე ზურგს შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო და საფრთხის შიში არ ჰქონოდა, სამხედრო ავიაციის და ქიმიის განვითარებამ ზურგი და მშვიდობიანი მოსახლეობა მომავალ ომის ისეთივე მონაწილე გახადა, როგორც არმია ფრონტზე.

კაპიტალისტური მთავრობები თავის ფაბრიკებსა და ქარხნებში ამზადებენ ასი ათასი ფუთობით მომშხამველ გაზებს, აშენებენ ათი ათასობით თვითმფრინავებს, ჰქმნიან ძლიერ სამხედრო საზღვაო ფლოტს, არტილერიას, ტანკებს, ჯავშნებს და სხვ. აღმშენებლობა ომისათვის ერთი წუთითაც არ ჩერდება. არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო ვითარდება, მიუხედავად კაპიტალისტების ფარისეველურ განცხადებათა განიარაღების შესახებ ერთა ლიგაში და სხვადასხვა „სამშვიდობო" კონფერენციებზე.

ომისათვის, მშრომელებზე გაფთრებული თავდასხმისათვის ამ მზადებაში კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ენერგიულად ეხმარებიან ბურჟუაზიული საზოგადოება და სოციალ-დემოკრატია, ყოველ ქვეყანაში მთელ რიგ საზოგადოებრივ ორგანიზაციების შექმნით, რომელთა წევრები ფაქტიურად რეზერვია არმიისათვის.

კაპიტალისტებმა იციან, რომ მომავალი ომი მოითხოვს მაქსიმალურ ენერგიას ყოველი მოქალაქისაგან, მიუხედავად წლოვანებისა და სქესისა, და ამიტომ ისინი ჰქმნიან თავის კლასიურ ბურჟუაზიულ ორგანიზაციებს რომელთაც შეეძლება დამყარონ ომის დროს.

ჩვენი დიდი კავშირი, რომელსაც უჭირავს დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი, რომელსაც აქვს დიდ სივრცეზე გაჭიმული საზღვრები, გარშემორტყმულია კაპიტალისტური ქვეყნებით, რომელთა მთავრობები ადრე თუ გვიან დაგვესხმიან თავს, შეეცდებიან გაანადგურონ მშრომელთა ხელისუფლება.

ისინი ჩვენ თავს დაგვესხმიან თავისი სამხედრო ტეხნიკის მთელი ძალღონით. სამხედრო ავიაცია და ქიმია გადამწყვეტ როლს ითამაშებს. ჩვენ წინასწარ უნდა მოვემზადოთ თავდასხმისათვის და მოვიგერიოთ იგი.

თვითმფრინავი და გაზი არ ინდობს არავის, არც მოხუცებს, არც ქალებს და არც ბავშვებს.

ყველა მოქალაქეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ომში, რომ დაიცვან თავისი თავი, თავისი ნათესავები და ახლობლები. ჩვენი კავშირის მთელმა მოსახლეობამ თავის დროზე უნდა შეისწავლოს თავისი თავისა და თავისი ახლობლების დაცვა, მთელმა მოსახლეობამ უნდა შეიძინოს სამხედრო ცოდნა.

კავშირის მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებს, რომ მოემზადოს კაპიტალისტების თავდასხმისათვის.

ჩვენ გვყავს ძლიერი სახელოვანი წითელი არმია, ჩვენ თვითონ ვაშენებთ წითელ თვითმფრინავებს, რომელნიც თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება საზღვარ-გარეთის თვითმფრინავებს. ჩვენ ვქმნით საკუთარ ქიმიურ მრეწველობას. მაგრამ ყოველივე ეს არაა საკმაო იმისათვის, რომ დამშვიდებული ვიყოთ მომავალი ომის შედეგისათვის. 150 მილ. მოსახლეობის მომზადებას თავდაცვისათვის ვერავითარი მთავრობა ვერ შესძლებს, თუ ამაში მას არ დაეხმარა თვით მოსახლეობა. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ჩვენ მშრომელთა მთავრობას, რომ დაგვიცვას თავდასხმისაგან. საზოგადოება ავიაქიმმა თავისი არსებობის სამი წლის განმავლობაში დაუფასებელი სამსახური გაუწია ჩვენს კავშირს მისი თავდაცვის გაძლიერების საქმეში.

თავდაცვისათვის ხელის შემწყობი საზოგადოებაც ვითარდებოდა და მუშაობდა თავდაცვის განმტკიცებისათვის.

მშრომელთა ეს ორი საზოგადოება დღემდე თავის მუშაობას აწარმოებდენ დამოუკიდებლად.

მაგრამ მათი მუშაობის ძირითადი ამოცანები ერთი და იგივეა.

ავიაქიმის საკავშირო ყრილობამ და თავდაცვის ხელის შემწყობი საზოგადოების საბჭოს პლენუმმა თავის გაერთიანებულ სხდომაზე მოსკოვში გადასწყვიტა ამ ორი საზოგადოების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანება სახელწოდებით „თავდაცვა—ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოება", რომ პარალელური მუშაობა არ ყოფილიყო და არ დაფანტულიყო აქტიური ძალები.

ეს გაერთიანება უკვე გატარებულია ჩვენს ცენტრალურ ორგანოში მოსკოვში, ამიერ-კავკასიის ცენტრში და საქართველოს რესპუბლიკაში.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის და საავიაციო ქიმიური აღმშენებლობის მეგობართა საზოგადოების ძირითად მიზანს შეადგენს დახმარება გაუწიოს ჩვენს დიდ კავშირს თავდაცვის საქმეში.

ჩაეწერე ამ საზოგადოების რიგებში. ლიკვიდაცია მოუხდინე შენს სამხედრო უცოდინარობას, ისწავლე თავდაცვა გაზებისაგან და არავითარი მტერი არ იქნება შენთვის საშინელი. იმუშავე საზოგადოებაში აქტიურად, შეიტანე შენი წვლილი და შენი ძალა თავდაცვის საქმეში და ჩვენი კავშირი უძლეველი იქნება. საქართველოს მშრომელნო, გახსოვდეთ, რომ კაპიტალისტები განსაკუთრებით ცდილობენ, რომ მენშევიკ სოციალ-გამცემლების დახმარებით მოსპონ საბჭოთა კავშირი, თქვენი ხელისუფლება საქართველოში. იყავით მზად თავდასხმისათვის.

თავდაცვა—ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოების მეორე ამოცანას შეადგენს საავიაციო და ქიმიური ცოდნის შეტანა მშრომელთა მასებში. ავიაციას და ქიმიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

ბრძოლა მინდვრის, ტყის, ბოსტნების მავნებლებთან—ჩვენი მეურნეობის ამ მტრებთან, რომელნიც ჩვენს გლეხობას ართმევენ რამოდენიმე მილიონ მანს ყოველწლიურად, ეს ბრძოლა მეტად წარმატებით სწარმოებს ავიაციის და ქიმიის დახმარებით.

ჩვენ ღარიბნი ვართ მიწით და არ ვიცით მისი კულტურული დამუშავება. მიწა ჩვენს გლეხს არ აძლევს ყოველივე იმას, რისი მოცემა შეუძლია, თუ მას გავანოყიერებთ და კულტურულად დავამუშავებთ.

ქიმია მათ ეხმარება ამაში და იძლევა მიწის განოყიერების საშუალებას, რომელიც ბევრად ადიდებს მოსავალს.

გლეხებო, შედით თავდაცვა—ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოების რიგებში, იგი შეგასწავლით თქვენ, თუ როგორ უნდა გამოიყენოთ ავიაცია და ქიმია თქვენს მეურნეობაში და როგორ უნდა გაადიდოთ მიწის შემოსავალი. იმუშავე საზოგადოებაში აქტიურად, მოაწყვე საცდელი ადგილები, ებრძოლე შენი მეურნეობის მავნებლებს, საზოგადოება დაგეხმარება შენ რჩევით და ქიმიური პროდუქტებით.

მშრომელებო, თავდაცვა—ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოების საშუალებით მიიღეთ მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში.

თქვენი დახმარებით აგებული საავიაციო და ქიმიური ფაბრიკები საქართველოს და მთელი კავშირის მშრომელთ მისცემს თავდაცვის საშუალებებს, ჩვენი სახალხო მეურნეობის გაუმჯობესების და აღორძინების საშუალებებს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის თავდაცვა—ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოების პრეზიდიუმი მოუწოდებს საქართველოს ყველა მშრომელ მოქალაქეთ, რომ შევიდენ ამ საზოგადოების რიგებში და ამით განამტკიცონ ჩვენი კავშირის თავდაცვა და დახმარება გაუწიონ ჩვენი სახალხო მეურნეობის განმტკიცება-განვითარებას.

„საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განმტკიცება ყველა მშრომელთა საქმეა".

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. თავდაცვა – ავიაქიმის ხელშემწყობი საზოგადოების თავმჯდომარე ფ. მახარაძე,
პასუხისმგებელი მდივანი ბზეკალავა.

ჩვენი ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ოსმალეთთან

საუბარი საბჭოთა კავშირის კონსულთან არზრუმში—ამხ. რომანოვსკისთან

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ახლად დანიშნული კონსული არზრუმში—ამხ. **რომანოვსკი**, რომელმაც საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ოსმალეთთან ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს.

შეიძლება სრული იმედი ვიქონიოთ, რომ სავაჭრო ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება.

ხელშეკრულების განხორციელება ყველაზე მეტ გავლენას იქონიებს ოსმალეთის აღმოსავლეთ ვილოეთებზე, რადგან ეკონომიურათ ისინი მჭიდროთ არიან დაკავშირებული ამიერ-კავკასიასთან. ამ კავშირის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არზრუმ-ლენინაკანის რკინის გზა.

სხვათა შორის მე არჩეული ვარ რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის წევრ-კორესპონდენტათ და დავალებული მაქვს მივიღო ზომები სავაჭრო ურთიერთობის გასაცხოველებლად.

რაც შეეხება კულტურულ კავშირს, ჩემს მიერ გადადგმულია მთელი რიგი ნაბიჯები ამ კავშირის განსამტკიცებლად და გასაფართოებლად. საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის დამყარების საზოგადოებისაგან მე მივიღე მრავალი მასალები სოფლის მეურნეობაზე, სანიტარიაზე, ვეტერინარიაზე და კომუნალურ მეურნეობაზე, რომელიც მიმაქვს ოსმალეთში.

რამოდენიმე ხნის წინად არზრუმში გაიხსნა კინო-თეატრი. მე იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში იქ შესაძლებელი იქნება საბჭოთა სურათების ჩვენება. ამ მხრივ ჩემ მიერ მიღებულია საჭირო ზომები. შეუთანხმდი აზერბეიჯანის სახელმწიფო კინო-მრეწველობას სათანადო შინაარსის კინო-სურათების მიწოდებაზე და სხვა.

მე დარწმუნებულ ვარ, რომ ჩემი არზრუმში მუშაობა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის არსებული მეგობრულ ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

— ამხ. რომანოვსკი კონსულად დანიშვნამდი უკანასკნელი ხუთ წლის განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში, სადაც ეჭირა მთელი რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობანი. მას გათავებული აქვს აღმოსავლეთ ენების ლაზარევის ინსტიტუტი და იურიდიული ფაკულტეტი.

რკ. გზ. საუბნო დელეგატთა ყრილობა

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს პლეხანოვის სახელობის კლუბში (ნაძალადევში) გაიხსნა ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის დელეგატთა თბილისის უბნის მე-8 ყრილობა.

საპატიო პრეზიდიუმში ყრილობამ ერთხმათ აირჩია ამხ.: სტალინი, რიკოვი, ს. ორჯონიკიძე, ცხაკაია, ელიავა, რუძუტაკი, ტომსკი და კალინინი. საქმიან პრეზიდიუმში აირჩიეს 27 კაცი, მათ შორის ამხ. მ. კახიანი და გ. ყურულაშვილი.

დღის წესრიგში დამტკიცებულ იქნა შემდეგი საკითხები: მოხსენება საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ, საუბნო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები, ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის მოხსენება, საუბნო დამზღვევ სალაროს და სარევიზიო კომისიის მოხსენებები, საუბნო შრომის დაცვის ინსპექტორის მოხსენება და არჩევნები.

საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მ. კახიანი, რომელსაც დარბაზი მქუხარე და ხანგრძლივ ტაშის ცემით შეეგება.

რეზოლიუცია ამხ. მ. კახიანის მოხსენების გამო

ამხ. კახიანის მოხსენების შესახებ ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

— მოვისმინეთ რა ამხ. კახიანის მოხსენება საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ, ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტის მე-8 ყრილობა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია, ახალ ბაზრების დაპყრობის მიზნით, უკანასკნელ ხანებში გადავიდა აშკარა და აქტიურ იმპერიალისტურ პოლიტიკაზე, რათა ამით თავი დააღწიოს მწვავე ეკონომიურ კრიზისს.

იმპერიალიზმი გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ, იმის გამო, რომ ის უფრო და უფრო გრძნობს რევოლიუციის საფრთხეს.

მიუხედავად კაპიტალისტური ქვეყნების შინაგანი წინააღმდეგობისა და ბაზრის მდგომარეობის გამწვავებისა, ისინი აშკარად ხედავენ ჩინეთის რევოლიუციის გაღრმავებას და სოციალიზმის ქვეყნის — საბჭოთა კავშირის განმტკიცებას, და ამის გამო ერთიან ფრონტით აწყობენ თავდასხმებს ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობაზე და საბჭოთა კავშირზე.

ჩინეთში ამჟამად ადგილი აქვს კაპიტალისტური ქვეყნების ნიღაბ ახვეულ ინტერვენციას ჩინეთის კონტრ - რევოლიუციონერებთან — ჩან-კაი-შისთან, ჩან-ძო-ლინთან და სხვებთან ერთად. ჩინეთის განმათავისუფლებელ რევოლიუციის წინააღმდეგ.

საბჭოთა წარმომადგენლობებზე თავდასხმის მოწყობა ჩინეთში და ინგლისში, კაპიტალისტების მხრივ არის ომის გამოწვევის აშკარა ცდა.

მაგრამ საბჭოთა კავშირი არ აჰყვება მათ პროვოკაციას და უფრო გაბედულად გაატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას და ნორმალურ სავაჭრო - სამეურნეო დამოკიდებულებას სხვა და სხვა ქვეყნებთან.

საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობა ჟენევის ეკონომიურ კონფერენციაზე წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების აშკარა და უტყუარ ცდას დაამყაროს სხვა ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობა. საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული მშვიდობიანობის პოლიტიკის წყალობით და სხვა ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებით, — მტკიცდება მისი პოზიცია საერთაშორისო ურთიერთობაში.

კაპიტალისტურ ქვეყნების წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლით და საბჭოთა კავშირში უმაღლეს ტეხნიკურ საფუძველზე განვითარებული ინდუსტრიალიზაციით — გაიმარჯვებს სოციალიზმი.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასის ერთიან ფრონტს — კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით — კაპიტალიზმის წინააღმდეგ!

საქ. პროფკავშირთა მეექვსე ყრილობა

ორშაბათს, 23 მაისს, საღამოს 6 საათზე თბილისში გაიხსნება სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეექვსე ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე. მომხსენებელია ამხ. **მიხ. კახიანი**.
2. ანგარიში საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელია ამხ. **გ. გულივერდაშვილი**.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ. მომხსენებელია ინჟ. **ბ. ქიქინაძე**.
5. რესპუბლიკის სოც. დაზღვევის სამმართველოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელია ამხ. **ლ. მორჩილაძე**.
6. ცეკავშირის მოხსენება კოოპერაციის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ.
7. საქართველოს პროფმოძრაობის მორიგი ამოცანები:
   ა) საორგანიზაციო დარგში—ამხ. **ფანცხავა**.
   ბ) სატარიფო-საეკონომიო დარგში—ამხ. **მარიამიძე**.
   გ) კულტურულ-განმანათლებელ დარგში—ამხ. **პელიძე**.
8. არჩევნები.

ყრილობა გაიხსნება საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.

საქართველოს ცაკში

პენსიები და დახმარებები

საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, გორის სამაზრო აღმასკომის სოც. უზრ. განყოფილებას მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ ნახევარში თავის საშუალებებიდან პენსიების და დახმარებების სახით დაურიგებია ინვალიდებისათვის და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებისათვის—1.156 მან. და 50 კაპ.

გლეხის სასახლეში

ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, თბილისში გლეხის სასახლეში აპრილში საქართველოს სხვადასხვა მაზრებიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოვიდა და—3.874 ჯერ ღამე გაათია—1.032 გლეხმა. სასახლეში ჩამოსულ გლეხებში იყო 660 ქართველი, 120 სომეხი; 98 თურქი და 109 რუსი. აღნიშნულ თვეში უფასოდ ღამე გაათევინეს 236 ღარიბ გლეხს. უფასოდ ასადილეს—108 გლეხი და ფასდაკლებით მისცეს სადილი—128 გლეხს. უფასოდ აბანავეს—942 გლეხი. აპრილში გლეხის სასახლემ უფასოდ საჭირო იურიდიული რჩევა დარიგება აღმოუჩინა—27 გლეხს და გლეხებს 48-ჯერ შუამდგომლობები აღუძრა სხვადასხვა დაწესებულებების და ორგანიზაციების წინაშე სხვადასხვა საქმეებზე. ამ დროის განმავლობაში გლეხის სასახლემ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინა—75 გლეხს. გლეხის სახლის ბაკში გაიარა გლეხის 293 ურემმა 950 სულმა საქონელმა. გლეხებისათვის აპრილში სასახლეში სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე გაიმართა საუბრები და მოხსენებები 12-ჯერ, და მოეწყო კინო-სურათი შვიდჯერ ლექციებს და საუბრებს აპრილში დაესწრო—991 გლეხი, კინო სურათს კი—1.1000 კაცი. რადიოს საშუალებით გლეხის სასახლეში გადაცემული კონცერტები და მოხსენებები მოისმინა—750 გლეხმა. აპრილში გლეხის სასახლის სამკითხველოთი ისარგებლა—1.184 კაცმა. აპრილში გლეხის სასახლეს გამოწერილი ჰქონდა 30 ცალი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და თავის წიგნსაცავში ჰქონდა—884 ცალი წიგნი.

დახმარება ინვალიდებს და ქვრივ-ობლებს

საქართველოს ცაკში მიღებული ცნობით ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა მიმდინარე წლის იანვარში, თებერვალში და მარტში თავის ფონდიდან ინვალიდებს, ქვრივ-ობლებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ გლეხებს დახმარებათ მისცა 5.213 მან. და 90 კაპ.

გორის მუშგლეხკორთა

კონფერენცია

კონფერენციის მისალმებანი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას

„გორის მუშკორთა, გლეხკორთა, ახკორთა; კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრებისა და სოფლის ქოხ-სამკითხველოების გამგეთა პირველი სამაზრო ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს კომუნისტური პარტიის შტაბს—ცენტრალურ კომიტეტს. პარტიის სწორი და მტკიცე ხელმძღვანელობით წარმოიშვა და განვითარდა მუშგლეხკორთა მოძრაობა. კონფერენცია დარწმუნებულია, რომ პარტია შემდეგშიც მტკიცე ხელმძღვანელობას გაუწევს მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსულ კორესპონდენტების საქმიანობას.

ჩვენ ფიცს ვსდებთ, რომ მთელ ძალღონეს მოვახმართ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაზეთების რედაქციებს.

გორის სამაზრო მუშკორთა, გლეხკორთა; სამხკორთა და ახკორთა პირველი კონფერენცია მხურვალე სალამს მოგიძღვნით თქვენ.

გორის მაზრის მუშკორები, გლეხკორები; ახკორები და სამხკორები არიან და იქნებიან თქვენთან ერთად სოციალისტურ აღმშენებლობის და პროლეტარულ რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებით დაგვირგვინების საქმეში".

ქრონიკა

საქ. სასწორის სამმართველოს გაუქმება

საქ. სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭომ დაადგინა გააუქმოს სახელმწიფო სასწორის სამმართველო და მისი ფუნქციები გადასცეს ლითონის ტრესტს.

სახელმწიფო სასწორის სამართველოს ლიკვიდაციის ჩასატარებლად და მასთან დაკავშირებულ საკითხების მოსაგვარებლად არჩეულია სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან: სამეურნეო საბჭოს საწარმოო-საგეგმო განყოფილებიდან ამხ. შ. კანდელაკი, სახ. სასწორის და ლითონ-ტრესტის მმართველები. კომისია მუშაობას დაამთავრებს 1 ივნისამდე.

კულტთათბირი

შაბათს, 21 მაისს, დილის 9 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგება კავშირების კულტგანყოფილებების გამგეთა და მუშათა კლუბების გამგეობების თავმჯდომარეთა თათბირი.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) პროფსკოლების და კურსების გამოშვების შესახებ, 2) საზაფხულო მუშაობის შესახებ, 3) საზაფხულო ბილეთების განაწილება.

ჟურნალი „შრომა"

საქართველოს პროფსაბჭოს ორგანო ჟურნალ „შრომა"-ს მეორე ნომერი გამოვა 20 მაისს.

ჭადრაკი

დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ფიზკულტურის ბიუროში შესდგება პროფსაბჭოს ჭადრაკის სექციის სხდომა. გასარჩევია შემდეგი საკითხები: სექციის მუშაობა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, გეგმის დამტკიცება საზაფხულო პერიოდისათვის და მიმდინარე საქმეები.

ფიზკულტურის ბიურო

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურის ბიურო დამტკიცებული იქნა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **პოდოლსკი** (თავმჯდომარე), **აბდულაევი, ქშონძერი, პალლერი** და **ერგარდი.**

მტკვრის დონე

გუშინ მტკვრის დონე უდრიდა ორ მეტრს და 7 სანტიმეტრს. მდინარე გუშინდელთან შედარებით ადიდდა 27 სანტიმეტრით.

ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, მდინარის კატასტროფიულ ადიდებას ჯერ ადგილი არ აქვს და მისი, ეხლანდელი ადიდება ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

თბილისის აღმასკომში

◆ **ქურთების კლუბი.** ამ დღეებში თბილისში გაიხსნება ამხ. ლუკაშინის სახელობის ქურთების კლუბი.

◆ **ორთაჭალის მამულის** საჭიროებისათვის გადაიდო 8500 მანეთი.

◆ **სახალხო სახლთან** არსებულ ბიბლიოთეკას ეწოდა ალიოშა ჯაფარიძის სახელი.

◆ **ავეჯის ქარხანა.** აღმასკომი თბილისში აგებს გრეხილ ავეჯეულობის ახალ ქარხანას.

ს. მ. უ. საბჭოში

◆ **წარმოებების გამოკვლევა.** საქ. მეურ. უმ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მიავლინოს პრეზიდიუმის წევრები ადგილობრივ წარმოებების და ახლად დაწყებულ წამოწყებების მუშაობის გამოსაკვლევად.

◆ **კერძო მრეწველობა.** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას დაევალა გამოიკვლიოს კერძო მრეწველობის მდგომარეობა.

◆ **გეოლოგიური რუქა.** სამეურნეო საბჭო მიმდინარე წელში შეუდგება საქართველოს გეოლოგიურ რუქის შედგენას.

◆ **ფასების დაკლება.** სამეურნეო საბჭომ დაადგინა გადასინჯოს ყველა ტრესტების კვალიფიკაცია და გამოიმუშაოს გეგმა ტრესტების ნაწარმოების თვითღირებულების გასაიაფებლად და ფასების დასაწევად.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ მოწინავე წერილში შეპარულია კორექტურული შეცდომა, რომელიც აზრს ამახინჯებს; პირველი აბზაცის უკანასკნელი ნაწილი ასე უნდა იკითხებოდეს:

„...მაგრამ ხიკსი სხვა „ლოღიკის" პატრონია, —ის ამბობს, რომ „დოკუმენტი" იყო ან არის არკოსის შენობაში, ხოლო „ტაიმს", აშკარაა, ხიკსის კარნახით, აღნიშნავს, რომ ეს „დოკუმენტი" ალბად დასწვეს, სამაგიეროდ ვითომდა აღმოჩნდა სხვა მასალები, რომლებიც საბჭოთა წარმომადგენლების ანტიბრიტანულ მუშაობას ამტკიცებს ინგლისში".

შემთხვევები

◆ **ხანძარი.** 17 მაისს, საღამოს სიონის ქ. № 43 მიკირტიჩ ხაჩატურიანის საგალანტერიო სავაჭროს გაუჩნდა ხანძარი. ზარალი უდრის 25000 მანეთს. ცეცხლი ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა. ცეცხლი გაჩნდა პაპიროსის ნამწვავის ჩუღლებში ჩაგდების გამო.

◆ **ყალბი ჩეკით** „ტექსტილტორგი"-ს მაღაზიიდან № 1 საქონლის გამოტანისათვის შეიპყრეს ბოროდინ დათიკაშვილი.

◆ **კოვზების ქურდი.** 17 მაისს პლეხ. გამზირი № 124 ასკარ ოღლის სავაჭროდან 2 ვერცხლის კოვზის მოპარვისათვის შეიპყრეს გურგენ ვართანიანცი.

◆ **ქურდობა.** 17 მაისს კაბგეროვის ქ. № 52 გაქურდეს ავეტიკ მატეზოვის საწვრილმანო სავაჭრო.

◆ ამავე დღეს მალაკნის ქ. № 31 გაქურდეს თედორე ფცქიაძის ბინა.

◆ **ქურდობისათვის** 17 მაისს დააპატიმრეს გრიგოლ ნიკოლოზის ძე ბალაევიჩი.

◆ **აფერისტი ქალი.** 17 მაისს შეიპყრეს აფერისტი ქალი ელისაბედ დოგადოვა.

სასამართლო

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი

მეთერთმეტე დღე

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა მოწმე **ჩხიკვაძე** („ემსის" ყოფილი ბუხჰალტერი). ის დაწვრილებით უამბობს სასამართლოს, როგორ აღმოაჩინა მან ანგარიშ ქვეშ გაცემულ თანხების ხანგრძლივი გაჩერება, საანგარიშო ნაწილში ყალბი საბუთების შედგენა; რის შესახებ მან თავის დროზე მოახსენა „ემსის" მაშინდელ გამგეს—**აფანასიევს.**

მოწმე **ჯაფარიძე** (დამცველთა კოლეგიის წევრი) აცხადებს, რომ ბრალდებული **ბაქრაძე** და **გრიშაშვილი** დაპატიმრებამდე იყვნენ მასთან და უთხრეს; რომ „ემსში" ზოგიერთ თანამშრომელი სისტემატიურად ეწევა სახაზინო ფულების მითვისებას და გაფლანგვას და რა ზომები უნდა მიიღონ, რომ მოსალოდნელი სასჯელის თავიდან აიცილონ. მოწმემ ურჩია მათ დანაკლისის დაფარვა ან და პროკურატურაში გამოცხადება.

დაკითხულ იქნა აგრეთვე მთელი რიგი მოწმეები, რომელთა ჩვენებას არავითარი ახალი გარემოება არ შეაქვს საქმეში.

ბოროტმოქმედება სამხედრო კოოპერატივში

(პოპოვის და კოვალიოვას საქმე)

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ლაშხის** თავმჯდომარეობით დაიწყო **ანდრო პოპოვის** და **სოფიო კოვალიოვას** გასამართლება.

პოპოვს ბრალდება საქონლის მოპარვა სამხედრო კოოპერატივ „მეომარში" ნოქრათ ყოფნის დროს, ხოლო კოვალევას კი კოოპერატიული საქონლის მითვისება.

ბრალს სდებს პროკურორი **ლ. კუპრაშვილი,** ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **მ. ღვამიჩავა** და **ჯაფარიძე.**

კოვალიოვას ქალი ხშირად დაიდოდა აღნიშნულ კოოპერატივში და პოპოვთან შეთანხმებით გამოჰქონდა პირველ საჭიროების პროდუქტები და შემცირებულ საფასურს იხდიდა. კოოპერატივიდან გატანილ საქონელს კოვალიოვა ჰყიდდა და აღებული თანხის ნახევარს უნაწილებდა პოპოვს.

მაღაზიის გამგემ შეამჩნია, რომ პოპოვი რაღაც კომბინაციებს აკეთებდა.

ერთ დღეს, კოვალიოვის ქალი შევიდა მაღაზიაში, იყიდა ორი მან. და 18 კაპ. საქონელი და კალათა კი გავსებული გაჰქონდა საქონელით. გამგემ საჩქაროდ მოახდინა ნაყიდი საქონლის შემოწმება და იგი აღმოჩნდა 20 მანეთის ღირებულების. ამის გამო პოპოვი და კოვალოვი დააპატიმრეს და საქმე გადაეცა პროკურატურას.

გამოძიებით ბოროტ. ფაქტი დადასტურდა, გამოირკვა, რომ კოოპერატივს აკლია 3.218 მანეთის საქონელი.

დაპატიმრების შემდეგ პოპოვის ბინაზე აღმოაჩინეს 35 გირ. შაქარი, ჩულქები: დუხები; სამართებელი დანები და სხვა საქონელი.

ბრალდებულმა პოპოვმა სასამართლოში თავი სცნო დამნაშავედ.

კოვალოვას ქალმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

გასამართლებას დიდძალი საზოგადოება ესწრება.

სასამართლოს პროცესი გაგრძელდება რამოდენიმე დღეს.

ყაჩაღებს—დახვრეტა

ოზურგეთი, 18 მაისი. შეიარაღებული თავდასხმისათვის სამ ვაჭარზე, მუქარის ქვეშ ფულის გამოტყუებისათვის და მილიციელებისათვის თოფების დაშენის გამო საოლქო სასამართლომ ებრალიძეს, დოლიძეს და ტრაპაიძეს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა (ადს).

ხელოვნება

სახალხო მომღერალი

დედას ლევანა თბილისში

შაბათს, 21 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიმართა საღამო, სადაც კახეთიდან (სოფ. შილდა) მოწვეულია სახელგანთქმული სახალხო მომღერალი დედას ლევანა თავისი ამხანაგით ალექსი ელოშვილით. მთელ კახეთმა იცის ამ ორი მომღერლის სახელი, ახლო ნაცნობ და ნათესავების მეტმა არავინ იცის დედას ლევანას ნამდვილი გვარი (საბაშვილი). მას იცნობენ, როგორც მომღერალს, დედას ლევანას სახელით განთქმულს. ხშირად მსახიობები და მწერლები სახელს და გვარს თვითონ იცვლიან ხოლმე ფსევდონიმით, დედას ლევანას კი თვით ხალხმა მისცა ეს სახელწოდება. უკანასკნელ წლებში თბილისში გახშირდა კახური მრავალჟამიერის, ჩაკრულას და სხვების მღერა, მაგრამ ეს სიმღერები მეტისმეტად დაზიანა ზოგიერთი „კომპოზიტორის" და შემსრულებლების ცუდათ გაგებამ.

პირველსაც და მეორესაც შედარებით უკეთესად, მღეროდნენ ძმანი კავსაძეები, მაგრამ ნამდვილთან მაინც შორს იყვნენ და ქალაქის გავლენა მასში დიდი იყო. ამ სიმღერების ამსრულებლის სახელები დღესაც ხალხს გულით დააქვს და დედას ლევანას გარდა, იგონებენ უკვე დიდი ხნის განსვენებულ ვინმე ჯაჭვაძეს, ჯოლაურს და სხვებს.

რასაკვირველია, დედას ლევანა ის აღარ არის, რაც იყო ამ 30 წლის წინად. მაგრამ იგი მაინც საუცხოეოდ გადმოგვცემს ხალხურ სიმღერებს.

დედას ლევანა და ელოშვილი იმღერებენ სათითაოდ ურმულსაც.

ჩვენში ყოველი გლეხიც კი თავისებურად მღერის ურმულს. ელოშვილი და დედას ლევანა ორივე შილდელები არიან, მაგრამ სულ სხვა და სხვაინაირად იმღერებენ ერთსა და იმავე სიმღერას ურმულს.

ი. მ—ლი.

ხელოვნების ქრონიკა

— **რუსთაველის თეატრში** შაბათს, 21 მაისს გაიმართება კახური სახალხო სიმღერების კონცერტი. ამ კონცერტისათვის გამოწვეულნი არიან კახეთში ცნობილი სახალხო მომღერლები სოფ. შილდელნის გლეხები დედას ლევანა და ალექსი ელოშვილი.

ქაღალდის ქარხანა

აგებულ იქნება სოფ. ჯვარში

ს. მ. უ. ს. მიერ მოწვეულმა ქაღალდის მრეწველობის სპეციალისტთა კომისიამ გამოიტანა დასკვნები ქაღალდის ქარხნის ასაგებ ადგილის ამოსარჩევათ. კომისიის აზრით ქარხნის ასაგებათ ყველაზე ხელსაყრელ პუნქტს წარმოადგენს სოფ. ჯვარი, სადაც ყოველგვარი პირობები შეუწყობენ ხელს ქაღალდის მრეწველობის განვითარებას.

სპეციალისტთა კომისიის დასკვნა გაიხილულ იქნება ს. მ. უ. საბჭოში და საგეგმო კომისიაში.

გაფლანგვა

ფოსტელთა პროფკავშირში

საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია იმ ბოროტმოქმედების გამოსარკვევად, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველ ცენტრალურ გამგეობაში.

კომისიამ გამოარკვია, რომ ძველი გამგეობის ყოფ. თავმჯდომარემ **ქ. კუჩუაშვილმა,** ყოფ. პასუხისმგებელმა მდივანმა **ივ. კობაიძემ,** ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამართველოს ადგილკომის ყოფ. ტეხნიკურმა მდივანმა **ელიზბარ ფურცელაძემ** და ცენტრ. ბიბლიოთეკის გამგე **ლეო კოლელიშვილმა** გაფლანგეს საკავშირო ფულები 4.316 მანეთის 68 კაპ. რაოდენობით.

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა საქმე გადასცეს რესპუბლიკის პროკურორს აღნიშნულ პირების პასუხისგებაში მისაცემად.

ამასთანავე ცენ. გამგეობამ დაადგინა სთხოვოს პროკურორს გაფლანგული საკავშირო ფულების ასანაზღაურებლად ყადაღა დადოს აღნიშნულ პირთა ქონებას.

ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საოლქო გამგეობის და ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რათა მას გაეწიოს მატერიალური დახმარება, რადგან ის ამ ჟამად იმყოფება მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში უსახსრობის გამო და მუშაობის ნორმალურად წარმოება შეუძლებელი ხდება.

ამინდი

15 მაისიდან თითქმის მთელ საქართველოში ისევ ცუდი ამინდები დაიჭირა. დღევანდლამდე განუწყვეტლივ წვიმს. გუშინ სოხუმში, ფასანაურში, გუდაურში, თიანეთში; ყარაიაზში, ცხინვალში; მუკუზანში და გუდაუთში ძლიერ წვიმდა. სუსტი წვიმა მოდიოდა ფოთში, ბათომში, სამტრედიაში; ჭიათურაში, სურამში; ტყიბულში და თბილისში. გორში და ბორჯომში მოვიდა სეტყვა.

რამ გამოიწვია ცუდი ამინდი?

15 მაისს ჩრდილო-დასავლეთიდან ჩვენსკენ დაიძრა ანტიციკლონი, მან 16 მაისს მოიცვა მთელი ჩრდილოეთ-კავკასია. ამავე დროს მცირე აზიის სამხრეთში იმყოფებოდა ციკლონი. მათ შუა მოხვდა სწორედ კავკასია; რამაც გამოიწვია ნალექიანობა, ხოლო მისი შედეგი—წვიმა. ზოგიერთ ადგილებში, განსაკუთრებით 17 მაისს, მოვიდა სეტყვაც. წვიმების დროს ადგილი ჰქონდა ქუხილს.

18 მაისს აღნიშნულ ანტიციკლონმა შესუსტება იწყო. მაგრამ იგი მაინც არ მიდის. ამის გამო ნალექიანობა ხანგრძლივ ხასიათს ატარებს. ნალექებთან ერთად აღსანიშნავია ტემპერატურის დაწევა (აციება).

ძლიერი წვიმა თბილისში

გუშინ ნაშუადღევს თბილისში მოვიდა ძლიერი წვიმა. ბევრ ქუჩაზე დადგა წყალი. საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქუჩაზე იმდენად დიდი იყო ნიაღვარი, რომ მან მთელი ქუჩა დაფარა.

ამის გამო შეუძლებელი შეიქნა ამ ქუჩაზე ტრამვაის მიმოსვლა დღის 5 საათის შემდეგ. ყველა ტრამვაის რონოდები, რომლებიც დადიან ამ ქუჩით რიყისა და თავისუფლების მოედნისაკენ გაუშვეს სადგურის ქუჩით და პლეხანოვის პროსპექტით.

ტრამვაის მოძრაობა შესწყდა აგრეთვე კომუნალურ ქუჩაზე ორთაჭალაში.

ნაძალადევის რაიონში ადგილი ქონდა დიდ ნიაღვარს.

ხიდის ჩანგრევა

ქუთაისი, 18 მაისი. ოსეთის სამხედრო გზაზე ქუთაისიდან 15 ვერსის მოშორებით, ნიაღვრების გამო ჩაინგრა ერთი ძველი ქვის ხიდი. სასწრაფოდ დაიწყო დროებითი ხის ხიდის აგება (ადს).

ლუდი

თბილისის ლუდის ქარხნის საწარმოო პროგრამა წელს გაცილებით მეტია, ვინემ შარშან. გასული წლის პროგრამით დამზადებულ იქნა 60.000 ვედრა ლუდი, წელს კი გათვალისწინებულია 85.000 ვედრა ლუდის დამზადება.

წრევანდელი პროდუქცია, თავის ხარისხით უკეთესია; ვინემ შარშანდელი. წრევანდელი ლუდი გამოდის ბაზარზე სარდაფებში ხანგრძლივი დაყენების შემდეგ. ამასთანავე გაუმჯობესებულია ლუდის დუღების პროცესიც; ამისათვის წელს მოწყობილია ახალი სადუღარი, წელს გაუმჯობესებულია ლუდის გაგრილების საქმეც; რაც ხდება სპეციალური მანქანების საშუალებით.

შარშან ვერ იყო საკმაოდ მოგვარებული რაიონებისა და მაზრებისათვის ლუდის მიწოდების საქმე, წელს იგი უკეთ არის დაყენებული; ლუდი კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით მიეწოდება: მთელ დასავლეთ საქართველოს (ბათომის გამონაკლისით), გორს, ბორჯომს; ხაშურს; სურამს; ახალციხეს და სხვა ადგილებს.

ვინაიდან შარშან ქარხანა ვერ ასწრებდა ლუდის ჩამოსხმას, ბოთლებში ამისათვის წელს დაყენებულია ორი სარეცხი მექანიკური მანქანა და ორი ფილტრი.

ლუდზე გაცხოველებული მოთხოვნილების გამო, მოსალოდნელია წრევანდელმა პროდუქციამ ვერ დააკმაყოფილოს ბაზარი. მიღებულია ზომები ახალ ქარხნის მოსაწყობად. ამისათვის მოსკოვიდან მოწვეულია ინჟ. გიროშნიკოვი, რომელიც უკვე მუშაობს ამ საქმეზე.

წელს შარშანდელთან შედარებით ლუდზე ფასი დაკლებულია 12 პროცენტით; ბოთლი ლუდი კოოპერატივებში იყიდება 30 კაპ. ფასის გადიდება მოსალოდნელი არ არის.

მუშათა რაიონებში ლუდის ხელმისაწდომ ფასებში გასავრცელებლად, ქარხანამ მიმართა კოოპერაციას—გახსნას იქ სპეციალური პუნქტები, რაზედაც მუშკოოპი დასთანხმდა.

ლუდის ქარხნები ნედლი მასალით სავსებით უზრუნველყოფილია.

ექსკურსია

სახელმწიფო უნივერსიტეტში

15 მაისს, დილის 11 საათზე, განათლების კომისარიატთან არსებულ ქართულ ენის და საქმის წარმოების პრაქტიკულ კურსის მე-3 ჯგუფელებმა. მასწავლებელ გომელაურის ხელმძღვანელობით დაათვალიერა სახ. უნივერსიტეტის მუზეუმი.

ძველ ნაშთების დათვალიერებამ და გაცნობამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. დათვალიერებას დაესწრო 40-მდე მსმენელი.

ჩათახის რაიონის

გამოკვლევა

გუშინ, საკავშირო გეოლოგიური კომიტეტის დავალებით ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა სამთო ინჟენერი **მ. იუნეევი,** რომელიც ამ დღეებში მიემგზავრება ჩათახის რაიონში მაგნიტომეტრიული საცდელი გამოკვლევების ჩასატარებლათ.

ინჟ. მ. იუნეევმა, ინახულა ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების ხელმძღვანელები, რომელთანაც მას ჰქონდა საუბარი მომავალი მუშაობის ჩატარების შესახებ.

მაგნიტომეტრიული გამოკვლევების ჩატარების მიზანია, ე. წ. მაგნიტომეტრიული რუქის შედგენა—რკინის მადნების მდებარეობისა და მარაგის გამორკვევა.

ჩათახის რაიონში ასეთი გამოკვლევის ცდა პირველათ ხდება და თუ ამ ცდამ კარგი შედეგი მოიტანა, ეს დიდათ გააადვილებს მადნების ექსპლოატაციას.

ინჟ. იუნეევის ვარაუდით მთელი გამოკვლევები დასრულდება ერთ თვეში.

შირაქის მორწყვა

წყალთა მეურნეობის სამართველომ შირაქის ველის მორწყვის საკითხის გამოსარკვევად ადგილობრივ მიავლინა ინჟ. ხეთაგუროვი, რომელმაც თან წაიყვანა სპეციალური გამომკვლევი კომისია.

შირაქის ველი გამოკვლეულ იქნება აგრეთვე გეოლოგიურათაც, რის შემდეგაც შემუშავებულ იქნება ველის მორწყვის სისტემა. აღნიშნული ტეხნიკური კომისია ადგილობრივ შეამოწმებს მორწყვის სხვადასხვა სისტემის (კაპტაჟი, ალაზნის წყლის საქაჩავები და სხ.).

ფეხბურთი

ქალაქის პირველობის გათამაშება

15 მაისს დამთავრდა პირველობის გათამაშება პროფკავშირების ფეხბურთელთა გუნდებს შორის. გათამაშებაში მონაწილეობას იღებდა სულ 14 გუნდი. პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის გუნდი.

რკინის გზელთა გუნდებს შორის პირველობის გათამაშება ცალკე სწარმოებდა. აქ პირველ ადგილზე გამოვიდა ორი გუნდი—„მარლენი" და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს რკინისგზის განყოფილების გუნდი, რომლებმაც ერთეულებს ერთნაირი რაოდენობა მოაგროვეს. მათ შორის პირველობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით ამ გუნდებს უკვე ჰქონდათ ერთი შეჯიბრი, მაგრამ იგი უშედეგოთ დამთავრდა. აღნიშნული გუნდების საფინალო შეჯიბრი გაიმართა მიმდინარე კვირაში. გამარჯვებული მათ შორის, და აგრეთვე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის გუნდი მონაწილეობას მიიღებენ საკლუბო გუნდებთან ერთად ქალაქის პირველობის გათამაშებაში.

კლუბების გუნდებიდან პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ „დინამო", „არსრაიონი", წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი (წ. ა. ფ. ს.) და უმაღლესი სასწავლებლების გუნდები.

გათამაშების დაწყება განზრახულია კვირას, 22 მაისს ლენინის სახელობის სტადიონზე.

დღეს ფიზკულტურის თბილისის საბჭოს დარბაზში მოწვეულია გათამაშებაში მონაწილე ფეხბურთელების საერთო კრება, რომელზედაც მათ განუმარტავენ ქალაქის პირველობის გათამაშების წესებს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

იმ წესების დამტკიცების შესახებ, რომლითაც მილიციის ორგანოები მოვალენი არიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში დახმარება გაუწიონ საგადასახადო გარე - ზედამხედველობის ორგანოთ ვაჭრობისა და რეწაობის სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები, მილიციის ორგანოების მოვლეობის შესახებ დახმარება გაუწიონ საქართველოს სსრ-ში საგადასახადო გარე - ზედამხედველობის ორგანოთ ვაჭრობისა და რეწაობის სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი— **ა. სალარიძე.**

1927 წ. მაისის 9.

წესები

მილიციის ორგანოების მოვალეობის შესახებ დახმარება გაუწიონ საქართველოს სსრ-ში საგადასახადო გარე - ზედამხედველობის ორგანოთ ვაჭრობისა და რეწაობის სახელმწიფო გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს.

მილიციის ორგანოები მოვალენი არიან დახმარება გაუწიონ საქართველოს სსრ-ში საგადასახადო გარე - ზედამხედველობის ორგანოთ ვაჭრობისა და რეწაობის სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს (საგადასახადო ზედამხედველობის შესახებ 1926 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღით გამოცემული დებულების მე-14 და 16 მუხ. და სახელმწიფო სარეწავი გადასახადის შესახებ 1926 წ. სექტემბრის 24-ს თარიღით გამოცემული დებულების მე-11 და 49 მუხ.), რისთვისაც უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი წესები:

1. უკეთუ საგადასახადო გარე - ზედამხედველობის ორგანო მოსთხოვს მილიციის უფროსს ან სათანადო აღმასკომს მილიციის აგენტების მივლინებას საგადასახადო გარე - ზედამხედველობის ორგანოს განკარგულებაში ვაჭრობისა და რეწაობის სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს დახმარების აღმოსაჩენად, ასეთი თხოვნა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესრულებული.

2. მილიციის აგენტი, რომელსაც დავალებული იქნება საგადასახადო გარე - ზედამხედველობის ორგანოსათვის. დახმარების აღმოჩენა, მოვალეა დაესწროს ამ ორგანოს მიერ ოქმის შედგენას უპატენტო ან არა სათანადო პატენტით ვაჭრობისა და რეწაობის შესახებ და მოაწეროს ხელი ასეთ ოქმს, როგორც მოწმემ, უკეთუ საწარმოს პატრონი ან მისი მაგიერი პირი ხელის მოწერაზე უარს განაცხადებს.

3. მილიციის აგენტი, მიიღებს თუ არა წერილობითი მოთხოვნას პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორისა და ან მისი თანაშემწისაგან. სარეწავი გადასახადის დებულების 11 მუხ. წესისამებრ, საწარმოს დახურვის შესახებ (მოთხოვნაში გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული, რა ფასისა ან რა ხარისხის პატენტის უქონლობისათვის იხურება საწარმო), დახურავს საწარმოს შესასვლელი კარების დაბეჭდვით ან სხვა ისეთი საშუალებით, რაც ადგილობრივი პირობების მიხედვით უფრო მიზანშეწონილი იქნება რეწაობის ან ვაჭრობის შესაწყვეტად. საწარმოს დახურვის შესახებ მილიციის აგენტი შეადგენს განსაკუთრებულ ოქმს, რაც დაუყოვნებლივ პირდაპირ გადასახადთა სათანადო ინსპექტორს გაეგზავნება.

4. როდესაც საწარმოს პატრონი წარუდგენს მილიციას მის მიერ აღებულ პატენტს, მილიცია გამოარკვევს — შეესაბამება იგი თავისი ფასით და ხარისხით იმ პატენტს, რაც პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორის ან მისი თანაშემწის წერილობით მოთხოვნაშია აღნიშნული და, უკეთუ შეესაბამება, დაუყოვნებლივ ახსნის დახურულ საწარმოს ბეჭედს ან გააუქმებს ვაჭრობაზე და სარეწავზე დადებულ აკრძალვას. საწარმოს გახსნას მილიცია დაუყოვნებლივ აცნობებს პირდაპირ გადასახადთა სათანადო ინსპექტორს წარდგენილი პატენტის ხარისხისა, გაცემის დროისა და ნომრის აღნიშვნით.

5. უკეთუ პირდაპირი გადასახადის ინსპექტორი ან მისი თანაშემწე აღმოაჩენს უპატენტოდ ფეხზე ვაჭრობას ან ვაჭრობას ისეთ სადგომში, რომლის დაბეჭვდაც ტეხნიკურად მოუხერხებელია, აგრეთვე უკეთუ აღმოჩენილ იქნება უპატენტოდ საქონლის შესყიდვა სხვისთვის მისაყიდად. და ამის გამო საჭირო იქნება გასაყიდი ან დამზადებული საქონლის შეკვრა სარეწავი გადასახადის დებულების მე-12 მუხლისამებრ, მილიციის აგენტი მოვალეა დაესწროს საქონლის აღწერას და შეკვრას. აგრეთვე საჯარო ვაჭრობით გაყიდვასაც, რასაც მოახდენს პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორი ან მისი თანაშემწე. გადასახადთა აკრეფის დებულების სათანადო მუხლების მიხედვით, უკეთუ, სამი დღის განმავლობაში დღიდან საქონლის დაკავებისა, მოთხოვნილი პატენტი წარდგენილ არ იქნება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი 34) ხუთშაბათს ა. წ. 19 მაისს საღამოს ხუთ საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომაზე.

ა) ა. კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის უჯრედიდან: 1) სერგეი გერასიმესძე ოგაჯანიანი, 2) მამედოვი მამედ მუსტაფა-ოღლი, 3) ტარას სტეფანესძე ჰელიძე, 4) მახარამ კარარეესძე ვარაევი, 5) ალი-ბალა მამედ საფაროვი; 6) ალექსანდრე საველისძე ჭუმბურიძე, 7) ილია მიხეილისძე ლეჟავა; 8) გაიბულა გაშლი გულიევი, 9) იასონ კუზმასძე ხარებოვი, 10) რაგიმ იგამ-კულიოღლი ჯორჩიევი.

ბ) ცენტრალურ პარტსკოლის უჯრედიდან. 11) ვასილ ანტონისძე ლობჟანიძე, 12) ივანე ბაგრატისძე რამიშვილი, 13) აბდულ სკანდარისძე ხალვაში.

გ) თბილისის საბჭოთა პარტსკოლის უჯრედიდან. 14) არტემ როსტომისძე მურაჩაშვილი, 15) გიორგი ივანესძე გოგიაშვილი, 16) კუზმა ნიკოლოზისძე საბუგასოვი, 17) ვარლამ ალექსისძე ბუციშვილი, 18) ივანე გიორგისძე სიმონიანცი და დ) ამხანაგები: 19) ივანე სამსონისძე აბოსოვიჩი, 20) რაჟდენ გიორგისძე სვანიძე; 21) გაბრიელ ალექსანდრესძე ცატუროვი, 22) მიხეილ მაქსიმესძე ცაგურია, 23) ლეონტინ ნიკოლოზისძე დავიდოვსკი, 24 ივანე ანდრიასძე ლიპტაკი; 25) იულიან ზოსიმესძე ორბელიძე, 26) ალექსანდრე თომასძე კვაჭაძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში 19 მაისს დილის 9 საათზე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: მაქსიმენკო (ა. კ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს უჯ.), ხარაბაძე (იუსტიციის სახ. კომისარიატი), სოლოვიოვი (მერვე ლეგიონი), ფანცულაია (მბეჭდავებ.), ჯაფარიძე (ქალაქის აღმასკომის უჯრედი), კარახანიანი (ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის უჯრედი), ბუისკი („ბოეც კ. კ. ა."), ასათიანი (განათლების სახ. კომისარის უჯრ.).

ხუთშაბათს 19 მაისს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში **შესდგება აგიტპროპკოლეგიის სხდომა.**

ხუთშაბათს 19 მაისს დილის 9 საათზე **შესდგება უჯრედების აგიტპროპმუშაობის გამომკვლევ კომისიის საორგანიზაციო თათბირი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა, შესდგება ხუთშაბათს, 19 მაისს, საღამოს 5 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილების შენობაში (ოთახი № 34).

მიმღები კომისიის წევრებს ვთხოვთ გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ამხ. **ტერ-სიმონიანს** შემოიაროს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში 19 მაისს.

თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებულ კომუჯრედის ბიუროს სხდომა დანიშნულია დღეს, 19 მაისს დღის 2 საათზე (მეორე სართულზე პროფკომის ოთახში) გარდა ბიუროს წევრების და კანდიდატებისა ბიუროს სხდომაზე ევალებათ გამოცხადება აგრეთვე შემდეგ პირებს. გოგუაძე აქსენტი, კაჭარავა ლეონტი, წულაია სტეფანე, ცხადაძე ნიკოლოზი, მარგალიტაძე ნესტორ, იყროშიძე.

ს. კ. პ. ც. ს. კომისია წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ საკ. კომისიაში (რუსთაველის გამზირი, მესამე სართული, ოთახი № 13, ამხ. ის. ფირცხალავასთან) მაისის თვის ბოლომდე, დილის 9 საათიდან 2 ნახ. საათამდე:

სამხარაძე ნიკოლოზ, აფაქიძე არტემ, მურადოვი ოგანეზ, არჩვაძე კოტე, ოგანეზოვი მიხეილ, ბურცევი ნიკოლოზ, კაჭახიძე ონიფანტე, კაკულია მიხეილ, შავშიაშვილი დავითი, ხახანოვი მიხეილ, აიგეროვი ერვანდ, კობერიძე ანდრია.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. ქალთა განყოფილებაში ხუთშაბათს 19 მაისს, საღამოს 6 საათზე შესდგება მორიგი თათბირი.

თათბირს უნდა დაესწროს შემდეგი ამხანაგები:

ა. კ. ქალთა განყ. გამგე ამხ. შავერდოვა, ც. კ. ქალთა განყ. გამგე ჯაფარიძე, ც. კ. ქალთა განყ. ინსტრუქტორები: ესაიანი, დელიბაში და ჩერქეზიშვილი, თბ. კომიტ. ქალთა განყ. გამგე ადამიძე, თბ. კომიტ. ქალთა განყ. ინსტრუქტორი ცილიკია, ც. კ. საორგ. განყ. გამგე მაშკევიჩი, ც. კ. ინსტრუქტორები: მირიმანოვი, ბკლპოვი, სვანიძე და გაბუნია, საგიტ. საპროპ. განყ. გამგე მუშიშვილი, მთავარ პოლიტსამმართველოდან შუშანია, საქ. პროფკავშირიდან მარკმანი, ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. მდივანი გობეჩია:

უღრმესად დამწუხრებული მშობლები: მამა ვლასა, დედა სარა, ძმა ნიკოლოზ ებრალიძენი და კატუშა ებრალიძე-თოხაძისა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს, რომ შაბათს, 21 მაისს, ერთი წლის თავზე, ტრაღიკულად დაღუპულ

კარლო ვლასას-ძე ებრალიძის

მოსაგონარად დღისით პირველ საათზე. ქ. ლანჩხუთში გადახდილი იქნება პანაშვიდი წმ. გიორგის ეკლესიაზე. 2786

მუდამ ჟამს მწუხარებაში მყოფნი დედ-მამა ელენე დავითის ასული და მიხეილ მახარობელის-ძე, დები თამარი და ეთერი, ძმები შოთა და აკაკი ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 22 მაისს, შუადღის 12 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის ძვირფასთ და საყვარელ

ქეთო ❦ თინა სიხარულიძეების

უდროოთ დაკარგვის ექვსი თვის შესრულების გამო. 2785

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბარბარე იაკიმეს ასული, დები: ელენე რამაზაშვილისა, ანნა ლებანიძისა და ბარბარე სარიევისა მეუღლეებით და შვილებით, ბიძაშვილი შიო დავლაშერიძე მეუღლით და შვილებით, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ სამშაბათს, 17 მაისს უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ იაგორის-ძე დავლაშერიძე

პანაშვიდი ყოველდღე საღ. 7 საათ., დაკრძალვა კვირას, 22 მაისს, პეტრე-პავლეს სასაფ. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (შუა ბაზარი 74) დილის 10 საათზე კალო უბნის ეკლესიაში. ნ. 1205

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—14 ნ. 1094

ქსენია დესნი და ვალტერ სლეზაკი
სეზონის საუკეთესო სურათში
„ქალი პროვინციიდან"
ყველამ უნდა ნახოს ეს განსაკუთრებული შედევრი

გრანდიოზული დადგმის სურათი
„დეკაბრისტები" 8 ნაწილად
რეჟისორი—ივანოვსკი
(ცნობილი სურათის „სასახლე და ციხე"-ს დამდგმელი)
მთავარ როლებში: მაქსიმოვი, გრიბუნინი, ტამარინი, ანენკოვა, გოდლევსკაია, მიჩურინი, ბორონიხინი.

პირველად თბილისში
„შავი მგლის შვილი" (მეტის)
მთავარ როლში დუგლას ფერბენქსი
ანონსი: ამ დღეებში „ნიუ-იორკის საიდუმლოებანი"

ანონსი: მალე საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მაქსიმ მაქსიმიჩ"

დღეს და ყოველდღე
კინო თეატრებში
არფასტო და სოლეი
სეზონის
საუკეთესო
სურათი
„დეკაბრისტები"
8 ნაწილად
რეჟისორი **ივანოვსკი**
(ცნ. სურ. „სასახლე და ციხე"-ს დამდ-ლი)
მთავარ როლებში:
მაქსიმოვი, გრიბუნინი, ტამარინი, ანენკოვა, გოდლევსკაია, მიჩურინი, ბორონიხინი
ნ. 1206

თანახმად სახალხო განათლების კომისარის განკარგულებისა, ამა წლის 20 ივნისს შესდგება უკანასკნელი

სახელმწიფო საგამოცდო სესია

კბილის ექიმის ხარისხის მისაღებათ.

გამოცდებზე დაშვებული იქნებიან ის პირნი, ვისაც წარსულში დამთავრებული აქვთ კბილის საექიმო სკოლა. მსურველებმა განცხადება სათანადო საბუთებით უნდა შემოიტანონ კბილის სნეულებათა კლინიკაში (პლეხანოვის გამზირი № 126), არა უგვიანეს 15 ივნისისა. 2693 10—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების. 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი
კონსტ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო ორგანოების, ვენერიული, სიფილისი, კანის ავადმყოფობანი და ქირურგიული ავადმყოფობანი (სიმსივნე, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, სიფილისი, სუსუნატი). ელექტრონით წამლობა. პლეხანოვის გამზ. 10, ვორონცოვის მახლობლად. ავადმყოფები მიიღება დილის 7 საათიდან შუადღის 12-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ქალები მიიღება 2-დან 3 საათამდე. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

საქ. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიული ტრესტი

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს 25 მაისს დღის 1-ლ საათ. ტრესტის სამმართველოს ბინაზე (ბროსეს ქ. № 2) შესდგება

საჯარო ვაჭრობა

ტრესტის 1-ლ სტამბაში (პლეხანოვის გამზ. № 91) მუშებისათვის ზედტანსაცმელის შესანახ შენობის აშენების შესახებ. განცხადებები და პირობები მიიღება დახურულ ბარათებით. შემჯიბრებლები მოვალე არიან განცხადებასთან ერთად დართონ ქვითარი ტრესტის სალაროში შეტანილ თანხისა განაცხადი ჯამის 5 პროც. რაოდენობის.

ბარათების გახსნის შემდეგ შესაძლებელია გამართულ იქნას ხელახალი ზეპირი შეჯიბრება.

ყოველივე საჭირო ცნობების და გეგმების მიღება შეიძლება ტრესტის სამმართველოში ინჟენერ ს. ე. გასპარიანთან დილის 9 საათიდან შუადღის 12 საათამდე.

1208 პოლიგრაფტრესტი

პირველ ივნისიდან

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საჩვენებელ სამკურნალო დაწესებულებებში თავისუფლდება თანამდებობები:

ა) ფსიქიო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში უმცროს ორდინატორის **ორი თანამდებობა**
ბ) სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტში უმცროს ორდინატორის **ერთი თანამდებობა**
გ) ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში ქირურგიულ განყოფილებაში უმცროს ორდინატორის (უროლოგის) **ერთი თანამდებობა**
და იმავე განყოფილებაში უმცროს ორდინატორის (დოსტოქარის) **ერთი თანამდებობა**

პირობების გაგება შეიძლება ჯანსახკომისარიატის სამკურნალო განყოფილებაში, მესანგრეთა ქუჩა № 30.

ვისაც სურს გატარდეს კონკურსში აღნიშნულ თანამდებობების დასაკავებლად, ა. წ. 27 მაისამდე უნდა შემოიტანონ ჯანსახკომისარიატში განცხადებები სათანადო საბუთებით „curriculum vitae"-თი და სახ. დართვით. ნ. 1199

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში რევოლუციის ქუჩაზე დარაბა № 10 დანიშნულია 23 მაისს 1927 წ. დილის 12 საათ. **საჯარო ვაჭრობა** იორდანე იობიძის ქონების გასაყიდათ, ქონება შესდგება რესტორანის მოწყობილების ნახევარი ნაწილის უფლებიდან, კონიაკების, არყის მაგიდების, ტიკები ღვინით და სხვებისაგან—შეფასებულია ნახევარი ნაწილი 60 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება სიმონ ჩიხლაძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1203

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, ლიბკნეხტის ქუჩაზე რესტორან „ნოეს ვაზი" № 38 დანიშნულია 24 მაისს 1927 წ. დილის 10 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა ვლადიმერ მეძმარიაშვილის და სერაფიონ გიორგაძის ქონების, ორი მესამედი ნაწილის უფლების რესტორანის მოწყობილობაზე, მაგიდების, სკამების, კედლის საათის, სარკის, ქვაბების, დანაჩანგლის, ტიკების, კონიაკების, ბლუდების და სხვა დაფასებული 2|3 ნაწილი 325 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება კესარია ჩიჩიანის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

სია იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

(გაგრძელება № 3).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმოოს საგანი	ძირითადი კაპიტალი	სარეწაო მოწმობის ხარისხი
42.	13 მაისი 27 წ.	მოლოდინაშვილი, ნიკოლოზ ივანეს-ძე	თბილისი, ღვინის აღმართი, № 63.	ღვინის სარდაფი	1.500 მ.	მე-4-ხე
43.	14 მაისი 27 წ.	ტურაშვილი მიხეილი მალხაზ.	თბილისი, ღვინის აღმართი, № 7.	სასადილო	528 „	„
44.	„	ყაძაშვილი, გიორგი ვასილ.	თბილისი, 19 თებერვლის ქ. № 80.	„	800 „	„
45.	„	ყაზაროვი, გაბო ოგანეზის-ძე	თბილისი, 19 თებერვლის ქ., № 95.	„	500 „	„
46.	„	ხუციშვილი, ვასილ ზაქარიის-ძე	თბილისი, კახეთის მოედანი, № 10.	„	500 „	„
47.	„	ოდიშვილი, ტატო ბაქარის-ძე	თბილისი, ნერსესოვის ქ., № 5.	„	500 „	„
48.	„	არჩვაძე, პარმენ სპირიდონ.	თბილისი, ლენინის ქ., № 30.	„	860 „	„
49.	„	აკოპოვი, სიმონ ბეგლარ.	თბილისი, 19 თებერვლის ქ., № 93.	„	500 „	„
50.	„	ლვიწერია, ისიდორე დიანოს.	თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 91.	„	700 „	„
51.	„	მაისურაძე, სიმონ სოფრომის-ძე	თბილისი, საბაჟოს ქ., № 4.	„	900 „	„
52.	„	ბარსონიძე, ანთიმოზ თადეოზ.	თბილისი, აბასთუმნის ქ. № 84.	„	1000 „	„
53.	„	სხირტლაძე, გრამიტონ მარკოზ.	თბილისი, სადგურის ქ., № 20.	„	1700 „	„
54.	„	კერესელიძე, სერგო გიგოს-ძე	თბილისი. კარლ მარქსის ქ., № 2.	„	1900 „	„
55.	„	მელაძე, გიორგი ლევანის-ძე	თბილისი, გასავალი პუშკინის, № 2.	„	600 „	„
56.	„	ცაგურიშვილი, მიხეილ ივანეს-ძე	თბილისი, პუშკინის გასავალი, № 2.	„	450 „	„
57.	„	კოტრიკაძე, ამბაკო სიმონის-ძე	თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 87.	„	745 „	„
58.	„	მეტრეველი, ზაქარია ქრისტეფ.	თბილისი, კლარა ცეტკინის ქ., № 222.	„	1300 „	„
59.	„	ყაზაზიშვილი, ალექსანდრე სტეფ.	თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 111.	„	550 „	„
60.	„	კობახიძე, ვასილ ყარამანის-ძე და დავლიანიძე, ანტონ ასლანის-ძე	თბილისი, პლეხანოვის გამზირი, № 116.	„	1100 „	„
61.	„	ციხისელი, რომანოზ ნესტორ.	თბილისი, პლეხანოვის გამზირი, № 43.	„	900 „	„
62.	„	სირაძე, ილია ალექსის-ძე	თბილისი, სადგურის ქ., № 18.	„	420 „	„
63.	„	ავალიანი, კონსტანტინე მინას-ძე	თბილისი, საბაჟოს ქ., № 6.	„	560 „	„
64.	„	გძელიშვილი, სიმონი პავლეს-ძე	თბილისი, საბაჟოს ქ., № 2.	„	400 „	„
65.	„	მამედ-იბრაგიმ-ოღლი	თბილისი, აბანოს ქ., № 4.	„	540 „	„
66.	„	წითელი ჯვრის ს—ბა	თბილისი, ყორესის ქ., № 16.	აფთიაქი	საკ. თანხა არ აქვს	
67.	„	თბილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივი	თბილისი, ახალი ბაზარი.	განმანაწილებელი წერტილი	„	„
68.	„	„	თბილისი, კახეთის ქ., № 43.	ფურნე № 3	„	„
69.	„	„	თბილისი, წისქვილ. შესახვევი, № 2.	„ № 2	„	„
70.	„	„	კლარა ცეტკინის ქ., № 113.	„ № 1	„	„
71.	„	„	საბჭოს ქ., № 109.	მაღაზია	„	„
72.	„	„	თბილისი, ძნელაძის ქ., № 28.	„	„	„
73.	„	„	თბილისი, ღვინის შესახვევი, № 8.	ღვინის სარდაფ.	„	„
74.	„	„	თბილისი, ბამბის რიგი, № 3.	მაღაზია № 91	„	„
75.	„	„	თბილისი, ბამბის რიგი, № 2.	„ № 90	„	„
76.	„	„	თბილისი, პლეხანოვის გამზირი, № 49.	„ № 68	„	„
77.	„	„	თბილისი, ლენინის ქ., № 3.	„ № 67	„	„
78.	„	„	თბილისი, პუშკინის ქ., № 19.	„ № 52	„	„
79.	„	„	თბილისი, ლაზარევ. ქ., № 1.	„ № 46	„	„
80.	„	„	თბ., კუთხე სადგურის და მალაკნის ქ. №	„ № 45	„	„
81.	„	„	თბილისი, ღვინის შესახვევი, № 8.	„ № 42	„	მე-5-თე
82.	„	„	კუთხე ლ. დუმბაძის ქ. და სომხის ბაზრის	„ № 40	„	მე-4-ხე
83.	„	„	თბილისი, ლენინის ქუჩა, № 2.	„ № 39	„	„
84.	„	„	თბილისი, სოლოლაკის ქ., № 4.	„ № 36	„	„
85.	„	„	თბილისი, ბესიკის ქ., № 10.	„ № 35	„	„
86.	„	„	თბილისი, ლენინის ქ., № 34.	„ № 34	„	„
87.	„	„	ნავთლუღი, ვარვარის ქ., № 1.	„ № 33	„	„
88.	„	„	თბილისი, საბჭოს ქ. № 97.	„ № 32	„	„
89.	„	„	თბ., კუთხე პლეხან. გამზ. და კრილოვ. ქ.	„ № 31	„	„
90.	„	„	თბილისი, რუსთაველის გამზირი, № 40.	„ № 30	„	„
91.	„	„	თბილისი, ამაღლების ქ., № 9.	ფურნე № 25	„	„
92.	„	„	თბილისი, კუთხე კ. ცეტკინის და ყორესის ქ.	„ № 21	„	„
93.	„	„	თბილისი, პუშკინის ქ., № 9.	„ № 20	„	„
94.	„	„	თბილისი, პუშკინის ქ, № 5.	„ № 19	„	„
95.	„	„	თბილისი, კლარა ცეტკინის ქ., № 151	„ № 17	„	„
96.	„	„	თბილისი, სადგურის ქ. № 11.	„ № 16	„	„
97.	„	„	თბილისი, პლეხანოვის გამზარი, № 121.	„ № 14	„	მე-5-თე
98.	„	„	თბილისი, ლენინის ქ., № 40.	„ № 13	„	„
99.	„	„	თბილისი, ლენინის ქ. № 3.	„ № 12	„	„
100.	„	„	თბილისი, რუსთაველ. გამზირი, № 25.	„ № 11	„	„
101.	„	„	თბილისი, თავისუფლების მოედანი	„ № 9	„	მე-6-სე
102.	„	„	თბილისი, 19 თებერვლ. ქ., № 10.	„ № 8	„	მე-4-ხე
103.	„	„	თბილისი, კახეთის მოედანი.	„ № 7	„	„
104.	„	„	თბილისი, საბაჟო ქ. № 4.	„ № 6	„	„
105.	„	„	თბ., კუთხე ლენინის ქ. და ელბაქიძის დაღმ.	„ № 1	„	მე-6-ხე
106.	„	„	თბილისი. ყორესის ქ., № 17.	ცენტრალ. მაღაზია	„	მე-4-ხე
107.	„	„	თბ. პლეხანოვის გამ. და ყორესის ქუჩ.	ცენტ. მაღაზ. (სავაჭ. ლუდით)	„	
108.	„	„	თბ., „ „	ცენტრ. მაღაზ. (უნივერსალი)	„	მე-6-სე
109.	„	„	თბილისი, საბაჟოს ქ. № 6. „	ვაგზლის პასაჟი		
110.	„	„	თბ. რუსთაველის გამზ., № 4	პასაჟი (კაფე)	„	მე-4-ხე
111.	„	„	თბ. „ „	„	„	მე-6-სე
112.	„	„	თბილისი ყორესის ქ. № 7	სამმართველო		
113.	16 მაისი 27 წ.	ა. კ. საქც. ს-ბის გამომც. და სავაჭ. „ზაკკნიგა"	რუსთაველის გამზირი № 24	მაღაზია, № 1	„	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**

ნ. 1207.

სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ძ. ორჯონიკიძე**

დაჰკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 17329, ა. ლ. კ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 1341, დამზღვევ წიგნაკის ტალონი № 75 იოსებ ხელაძის სახელზე, ჩ. გ. 2783

დაჰკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 900 გაცემული ქარელის რაიონის სამხედრო მაგიდის მიერ ალექსანდრე რატკოს სახელზე, ჩ. გ. 2790

დაჰკარგე საანგარიშო წიგნაკი ნიკოლოზ ჯანდიერის სახელზე, ჩ. გ. 2784

დაჰკარგე სასურსათო ბილეთი № 0487915, გაცემული ვენედიქტე ხუჯაძის სახელზე, ჩ. გ. 2789

დაჰკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1368 ნინა ივანეს ასული იოსელიანის სახელზე, ჩ. გ. 2788

დაჰკარგე პარტიული წიგნაკი № 0857907 ვასო ზაქარიასძე ბუღდიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2787

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. 4—82 №

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმდვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—8

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

პროფესორმა
ზრ. მ. მუხაძემ
ლენინგრადში გამგზავრების გამო
შესწყვიტა
ავადმყოფების მიღება 15 ივნისამდე. 10—1

მედმუშაკთა კოლექტივი
აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის **ექიმთა გამოძახება სახლში**
მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:
1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკიის) ოლღას ქუჩაზე.
2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.
ექიმის გამოძახება—60 კ.
საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე.
იქვე ექიმების მორიგეობა ღამით. 25—19